

ISSN 2449-2507

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი

Georgian National Academy of Sciences
Adjara Autonomous Republic Regional Scientific Centre

შრომები
X
Transactions

ბათუმი 2024 Batumi

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“

მთავარი რედაქტორი: **ვანო პაპუნიძე**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,
აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგია:

ვანო პაპუნიძე - თავმჯდომარე

მიხეილ დონაძე - კომპიუტერულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი, მოადგილე

მარინე არაშიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სწავლული მდივანი

ვლადიმერ ბალაძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნოდარ ბარამიძე - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი

დავით ბარათაშვილი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვაჟა ზერიძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ოთარ გოგოლიშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

როლანდ კობალიანი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ზაურ ლომთათიძე - აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

გურამ მემარნე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

მარიამ მეტრეველი - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

როინ მეტრეველი - აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

როინ მალაყმაძე - ისტორიის აკადემიური დოქტორი

ელგუჯა მემმარიაშვილი - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

გურამ პაპუნიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

უჩა ოქროპირიძე - ისტორიის აკადემიური დოქტორი

თამარ სირაძე - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

გაიოზ ფარცხალაძე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ანთაზ ქიქავა - გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ელიზბარ ჯაგელიძე - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

მერაბ ხალვაში - ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ნანა ცეცხლაძე - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი, ქართული ტექსტის რედაქტორი

ნინო არაშიძე - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი, ინგლისური ტექსტის რედაქტორი

**"Transactions" of the Adjara Autonomous Republic Regional Scientific Centre of the
Georgian National Academy of Sciences**

Editor-in-Chief - **Vano Papunidze**

Academic of the Georgian National Academy of Sciences,
Head of the Adjara Autonomous Republic Regional Scientific Center

EDITORIAL BOARD:

Vano Papunidze - Chairman

Mikheil Donadze - PhD in Computer Science, Associate Professor, Deputy Chairman

Marine Aroshidze - Doctor of Philological Sciences, Professor, Academic Secretary

Vladimer Baladze - Doctor of Physical and Mathematical Sciences, Professor

Nodar Baramidze - Doctor of Psychological Sciences, Professor Emeritus

Davit Baratashvili - Doctor of Biological Sciences, Professor

Vazha Beridze - Doctor of Economic Sciences

Otar Gogolishvili - Doctor of Historical Sciences, Professor

Roland Kopaliani - Academician of the Georgian Agricultural Academy of Sciences

Zaur Iomtadidze - President of the Abkhazian National Academy of Sciences, Academician

Guram Memarne - PhD in Agriculture

Mariam Metreveli - PhD in Biology

Roin Metreveli - Academician, President of the Georgian National Academy of Sciences

Roin Malakmadze - PhD in History

Elguja Medzmariashvili - Academician of the Georgian National Academy of Sciences

Guram Papunidze - Academician of the Georgian Agricultural Academy of Sciences

Ucha Okropiridze - PhD in History

Tamar Siradze - PhD in Philology, Professor

Gaioz Partskhaladze - PhD in Technical Sciences, Professor

Antaz Kikava - PhD in Geology-Mineralogy, Professor

Elizbar Javelidze - Academician of the Georgian National Academy of Sciences

Merab Khalvashi - PhD in History, Professor

Nana Tsetskhladze - PhD in Philology, Associate Professor, Editor of Georgian text

Nino Aroshidze - PhD in Philology, Associate Professor, Editor of English text

შინაარსი / TABLE OF CONTENTS**ინფორმატიკა - INFORMATICS****მ. დონაძე, ბ. ბერიძე, გ. გოლიუკი**

ინფორმაციულ სისტემებში მონაცემთა უსაფრთხოების ინოვაციური ტექნოლოგიები

M. DONADZE, B. BERIDZE, G. GOLIUKI

INNOVATIVE DATA SECURITY TECHNOLOGIES IN INFORMATION SYSTEMS 9

ი. მოცხოვილი

ღეროს კრიტიკული კალის განსაზღვრის ალგორითმის დავროგრამება MS EXCEL-ში

I. MOTSKOBILI

PROGRAMMING AN ALGORITHM DEFINITION, THE CRITICAL FORCE OF THE ROD IN MS EXCEL 20

ეკოლოგია - ECOLOGY**ი. კუპრეიშვილი*, ზ. ლომთათიძე****

ზოგიერთი ჰერბიციდის ბიოციდური თვისებების შესწავლა

I. KUPREISHVILI*, Z. LOMTATIDZE**

STUDY OF BIOCIDAL PROPERTIES OF SOME HERBICIDES 24

მიკრობიოლოგია - MICROBIOLOGY**ბ. უგრეხელიძე*, ზ. ლომთათიძე****

ყავისფერი ტიპის ნიადაგზე გაშენებული ვაზის ჯიში „რკაცთელის“ ბორღოს ხსნარისა და ტოპაზით შეფარების გავლენა რიზოსფეროს მიკროფლორაზე

B. UGREKHELIDZE*, Z. LOMTATIDZE**

VINE VARIETY CULTIVATED ON BROWN-TYPE SOIL, THE INFLUENCE OF "RKATSITELI" BORDEAUX SOLUTION AND TOPAZ POISONING ON THE MICROFLORA OF THE RHIZOME 29

ისტორია - HISTORY**ო. გოგოლიშვილი**

აჭარის საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის 50-70-იან წლებში

O. GOGOLISHVILI

THE PROBLEM OF UNITY OF GEORGIANS AND PUBLIC OPINION OF ADJARA IN THE 50-70S OF THE XIX CENTURY 33

ფსიქოლოგია - PSYCHOLOGY

ნ. ბარამიძე

სწავლებისა და განვითარების პრობლემის მცენიერული კვლევის ისტორიიდან

N. BARAMIDZE

FROM THE HISTORY OF SCIENTIFIC RESEARCH ON TEACHING AND DEVELOPMENT PROBLEMS 41

პედაგოგიკა - PEDAGOGY

ნ. ბასილაძე

თვითდასწავლა და მისი შესაძლებლობანი

N. BASILADZE

SELF-EDUCATION AND ITS POSSIBILITIES 48

ტყის საფარი ისტორია - HISTORY OF FOREST COVER

V. PAPUNIDZE

A BRIEF OVERVIEW OF THE HISTORICAL DEVELOPMENT OF THE FLORA AND VEGETATION OF AJARA IN CONNECTION WITH THE GEOLOGICAL PAST OF THE CAUCASUS

ვ. პაპუნიძე

აჭარის ფლორისა და მცენარეული საფარის განვითარების მოკლე მიმოხილვა კავკასიის გეოლოგიურ წარსულთან კავშირში 62

ბოტანიკა, ფარმაცია - BOTANY, PHARMACY

თ. ბარათაშვილი, ა. ბაკურიძე, მ. მებრეველი

სონიჯის გვარის (Nigella L.) სახეობები, მათი ღახასიათება და მნიშვნელობა

T. BARATASHVILI, A. BAKURIDZE, M. METREVELI

SPECIES OF THE GENUS NIGELLA (NIGELLA L.), THEIR CHARACTERISTICS AND IMPORTANCE 95

აგრარული მეცნიერება - AGRARIAN SCIENCE

G. PAPINIDZE, S. PAPUNIDZE, I. CHKHARTISHVILI, N. SEIDISHVILI,
 N. KUTALADZE, D. ADULADZE
 DIVERSITY OF GRAPE VARIETIES AND WINE PRODUCTION TECHNOLOGIES
 IN ADJARA
**ბ. კაკუნიძე, ს. კაკუნიძე, ი. ჩხარტიშვილი, ნ. სეიდიშვილი,
 ნ. კუტალაძე, დ. ადულაძე**
 ვაზის ჯიშების და სამრეწველო გადაწევა-წარმოების ტექნოლოგიების
 მრავალფეროვნება აჭარაში 101

ი. ჩხარტიშვილი, ბ. კაკუნიძე, ს. კაკუნიძე, ნ. სეიდიშვილი, დ. ადულაძე
 დიეტური საკვები ბოჭკო მანდარინის ყვავილის (Citrus Unshiu Flowers) ნარჩენიდან

I. CHKHARTISHVILI, G. PAPUNIDZE, S. PAPUNIDZE, N. SEIDISHVILI, D. ABULADZE
 DIETARY FIBER FROM THE RESIDUE OF MANDARIN BLOSSOMS (CITRUS UNSHIU
 FLOWERS) 105

მშენებლობის ინჟინერია - CONSTRUCTION ENGINEERING

თ. თურმანიძე
 ადრეული დატვირთვების გავლენა მონოლითური ბეტონის ფიზიკურ-მექანიკურ
 მახასიათებლებზე
T. TURMANIDZE
 THE INFLUENCE OF EARLY LOADING ON THE PHYSICAL AND MECHANICAL
 CHARACTERISTICS OF MONOLITHIC CONCRETE 112

ლინგვისტიკა - LINGUISTICS

K.TAVDGIRIDZE, K. SVANIDZE
 THE STRATEGIES OF VERBAL AGGRESSION IN GEORGIAN SOCIAL-POLITICAL
 DISCOURSE
კ. თავდგირიძე, კ. სვანიძე
 ვერბალური აგრესიის სტრატეგიები ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ
 დისკურსში 117

ფიზიკური აღზრდა - PHYSICAL EDUCATION

ბ. ციცაგი
 ფიზიკური აღზრდის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობაში
B. TSITSAGI
 THE ROLE OF PHYSICAL EDUCATION IN HEALTH PROMOTION 128

ბ. ციცაბი

ფიზიკური აქტივობის დეფიციტი და მისი შედეგები თანამედროვე ახალგაზრდებში

B. TSITSAGI

PHYSICAL ACTIVITY DEFICIT AND ITS CONSEQUENCES IN MODERN YOUTH 133

ტურიზმი - TOURISM

ნ. დვადჯე

ეკოლოგიური გამოწვევები და მათი გავლენა აჭარის ტურიზმის ინდუსტრიაზე: მდგრადი განვითარების პერსპექტივები

N. DEVADZE

ECOLOGICAL CHALLENGES AND THEIR IMPACT ON ADJARA'S TOURISM INDUSTRY: SUSTAINABLE DEVELOPMENT PERSPECTIVES 140

ვ. კაკუნიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების 2019-2023 წლებში შესრულებული კვლევითი და საორგანიზაციო საქმიანობის ძირითადი შედეგები და პერსპექტივები 148

მეგზური ავტორთათვის 161

GUIDE FOR AUTHORS 162

ინფორმატიკა

ინფორმაციულ სისტემაში მონაცემთა უსაფრთხოების ინოვაციური ტექნოლოგიები

მიხეილ დონაძე

ელ-ფოსტა: mikheil.donadze@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბუსიკ ბერიძე

ელ-ფოსტა: b.beridze@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი გოლიუკი

ელ-ფოსტა: giorgigoliuki@gmail.com

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: ნაშრომი ეხება ინფორმაციული უსაფრთხოების კრიტიკულ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია თანამედროვე ციფრულ სამყაროში. ნაშრომი ფოკუსირებულია ისეთ თემებზე, როგორცაა: ჰეშირების ფუნქციები, ელექტრონული ციფრული ხელმოწერა, თავდასხმის აღმოჩენის სისტემები და ინფორმაციული სისტემების დაცვა დამრღვევებისგან.

ზოგადად ჰეშირების ფუნქციების განხილვა წარმოაჩენს მათ მნიშვნელობას მონაცემთა მთლიანობისა და აუთენტიფიკაციის უზრუნველყოფაში. ელექტრონული ციფრული ხელმოწერის ანალიზი ხაზს უსვამს მის როლს ელექტრონული დოკუმენტების ვალიდურობისა და წარმომავლობის დადასტურებაში.

ნაშრომში ასევე დახასიათებულია თავდასხმის აღმოჩენის სისტემები, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ქსელური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვანია, როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან იგი ხელს უწყობს ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლების გაღრმავებულ გაგებას და იძლევა რეკომენდაციებს უსაფრთხო ციფრული გარემოს შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული უსაფრთხოება, ჰეშირების ფუნქციები, ელექტრონული ციფრული ხელმოწერა, თავდასხმის აღმოჩენის სისტემები

შესავალი. ინფორმაციული ტექნოლოგიების და ციფრული საზოგადოების განვითარების პირობებში კორპორატიული სისტემები და მომხმარებლების პირადი ინფორმაცია დაუცველია და ხშირად რისკის ქვეშ იმყოფება სხვადასხვა საფრთხეების გამო. მონაცემები შეიძლება შეიკვალოს ან წაიშალოს ტექნიკური გაუმართაობის ან კიბერშეტევების შედეგად.

ინფორმაციის უსაფრთხოება (ინგლისურად InfoSec) არის სისტემების მდგომარეობა, რომელშიც მისი ინფრასტრუქტურის ელემენტები ერთიანდება, მაგალითად: აღჭურვილობა, მონაცემთა გადაცემის არხები და მონაცემთა შენახვის სისტემების (საცავები) და მდგრადია გარე და შიდა საფრთხეების მიმართ.

მაგალითად, კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მონაცემები კლიენტებისა და შეკვეთების ან ფინანსური ანგარიშგების შესახებ. თუ ის მოხვდება კონკურენტების ხელში, დაზიანდება დამახინჯდება, წაიშლება ან განადგურდება, ეს ფირმის საქმიანობაში გამოიწვევს უარყოფით შედეგებს. რისკის ქვეშ იმყოფება ასევე მომხმარებლების პირადი ინფორმაცია - საბანკო ბარათების ნომრები, კონტაქტები ან მონაცემები ექიმთან ვიზიტის შესახებ. ასევე საფრთხის ქვეშ არის საიტების მონაცემთა შენახვის სისტემები. კიბერკრიმინალებს შეუძლიათ გამოიყენონ მონაცემები მომხმარებლის სახელით სესხის მისაღებად ან მისი კონტაქტები და პირადი ინფორმაცია მესამე პირებს მიყიდონ.

ინფორმაციული უსაფრთხოება არის ცოდნისა და პროფესიული მიმართულების სფერო. ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტები, ან IS სპეციალისტები, სწავლობენ სისტემებში მოწყვლადობას და ეძებენ გზებს, რათა გააუმჯობესონ მათი წინააღმდეგობა საფრთხეების მიმართ. თუ მომხმარებლებზე ვისაუბრებთ, ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სასარგებლო უნარი, რომელიც დაგეხმარებათ თავიდან ავიცილოთ კიბერთავდასხმები. თუმცა, ჯერ სასურველია კიბერუსაფრთხოების და ინფორმაციული უსაფრთხოების ცნებების გამოიჯანა. კიბერუსაფრთხოება გულისხმობს ციფრული ინფორმაციის დაცვას ციფრული ქურდობისგან. ინფორმაციული უსაფრთხოება მოიცავს ინფორმაციის დაცვის მეთოდებს, რომლებიც შეიძლება ინახებოდეს სხვადასხვა მედიაში - ღრუბელში, სერვერებზე ან ჩვეულებრივ დაბეჭდილ ქაღალდზე.

ინფორმაციული სისტემების საფრთხეებთან წარმატებით საბრძოლველად, IS-ს (Information Security) სპეციალისტებმა უნდა იცოდნენ არა მხოლოდ საფრთხეების ტიპები და მათგან დაცვის მეთოდები, არამედ დაეუფლონ დეველოპერებისა და მონაცემთა ანალიტიკოსების ზოგიერთ უნარს. შეისწავლონ ვებ აპლიკაციების დაუცველობის შესამოწმებლად და უსაფრთხო კოდის წერის საფუძვლები.

ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები. ინფორმაციის დასაცავად კომპანიები და მომხმარებლები იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტებსა და საშუალებებს. ისინი ძირითად იყოფა სამ ტიპად:

- ტექნიკური საშუალებები - წარმოადგენს აღჭურვილობისა და მეთოდების ნაკრებს ინფორმაციის დასაცავად, რომლებიც ზღუდავს მასზე წვდომას ფიზიკურ დონეზე. მაგალითად, სპეციალური მოწყობილობები, რომლებიც ბლოკავს ინტერნეტ სიგნალს შეხვედრების ოთახში, საკეტი და განგამის სისტემა, რომელიც ბლოკავს სერვერის ოთახში წვდომას ან ქაღალდის დოკუმენტების არქივს, ან ტელეფონზე პაროლის დაყენება, რის წყალობითაც მოწყობილობის მოპარვის შემთხვევაში თავდამსხმელს არ ექნება წვდომა მასზე არსებულ მონაცემებზე.
- პროგრამული უზრუნველყოფა - ვირტუალური პროგრამული საშუალებების ნაკრები, რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს და თავიდან აიცილოს ციფრულ მონაცემთა უსაფრთხოების საფრთხეები. იგი შეიძლება მოიცავდეს ანტივირუსულ პროგრამებს ან არალეგალური შეჭრის აღმოჩენისა და პრევენციის პროგრამულ უზრუნველყოფას. ასეთი პროგრამები აღმოაჩენს და ბლოკავს ანომალური ტრაფიკის აქტივობას, მაგალითად, ავტორიზაციას სხვა ქვეყნის კორპორაციულ სისტემაში.

ინფორმაციის დაცვის პროგრამული მეთოდები ასევე მოიცავს დაშიფვრის ტექნოლოგიებს. ისინი თარგმნიან მონაცემებს სიმბოლოების ერთობლიობაში, რომელთა გაშიფვრა შეუძლებელია გასაღებების გარეშე. ეს იცავს ინფორმაციას გაჟონვის შემთხვევაში.

მისილ ღონაპი, გუსიკ ზერიკი, ბიორგი ბოლიუკი

- ორგანიზაციული საშუალებები - კომპანიის მენეჯმენტის მიერ მიღებული ზომები. მაგალითად, კორპორატიული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და მისი შესაბამისობის მონიტორინგი, თანამშრომლების მომზადება და NDA-ების ხელმოწერა დაქირავებისას.

თუ ვსაუბრობთ პირადი ინფორმაციის დაცვაზე, ორგანიზაციული ღონისძიებები მოიცავს ინფორმაციის ჰიგიენის წესებს ინტერნეტში და ცხოვრებაში. მაგალითად, არ დააწკაპუნოთ საეჭვო ბმულებზე, არ დატოვოთ „გაჯეტები“ საჯარო ადგილებში უყურადღებოდ, გამოიყენეთ VPN კაფეში საჯარო Wi-Fi ქსელთან დაკავშირებისას.

არსებობს რამდენიმე პოპულარული მეთოდი და ტექნოლოგია, რომლებიც გამოყენება ინფორმაციის დაცვისათვისა და დაყოფილია კატეგორიებად:

კრიპტოგრაფია - მონაცემთა ტრანსფორმაციის ტექნოლოგია, რომლითაც ის დაშიფრულია სპეციალური გასაღებების ან მეთოდების გამოყენებით. კრიპტოგრაფიულ მეთოდებს იყენებენ, მაგალითად, სამთავრობო უწყებები ციფრული ხელმოწერების შესაქმნელად, ბანკების მიერ ფულის გადარიცხვისთვის და მომხმარებლების მიერ, როდესაც ისინი წვდებიან ინტერნეტში ჩართული VPN-ით.

ბლოკჩეინი - ტექნოლოგია დეცენტრალიზებული მონაცემთა შენახვისთვის. მონაცემები დაყოფილია ბლოკებად (ინგლისურ block) თითოეული ბლოკი უკავშირდება წინას, რითაც აშენებს ჯაჭვს (ინგლისურ chain) წინა ბლოკებში მონაცემთა შეცვლა დიდ რესურსზეა დამოკიდებული და ინტენსიური პროცესია, უმეტეს შემთხვევაში კი შეუძლებელი. ამიტომ ყველაფერი, რაც ბლოკჩეინის ქსელში შედის, სამუდამოდ უცვლელი რჩება. ეს მეთოდი გამოიყენება, მაგალითად, ჯანდაცვის სფეროში - ორგანიზაციები ინახავენ პაციენტის სამედიცინო ჩანაწერებს ბლოკჩეინზე.

Firewall - ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს დამცავ ფარს მოწყობილობასა და გარე ქსელებს შორის. Firewall-ის გამოყენებით, შესაძლებელია გაანაწილდეს ტრაფიკი მოწყობილობებს შორის და შეუზღუდოთ წვდომა გარკვეულ რესურსებზე. Firewall-ები დამონტაჟებულია, მაგალითად, სკოლებში მოსწავლეების წვდომის შეზღუდვისათვის ინტერნეტში აკრძალული ან საშიში შინაარსის კონტენტისგან. ან ორგანიზაციებში სპამის დასაბლოკად, რომელიც გაგზავნილია პოტენციური თავდასხმელების მიერ თანამშრომლების ელ. ფოსტაზე.

IDS სისტემები (Intrusion Detection System) - ტექნოლოგია სისტემაში შეჭრის აღმოსაჩენად. IDS აკონტროლებს ქსელის ტრაფიკს კორპორატიულ სისტემაში და განსაზღვრავს უჩვეულო აქტივობას, რომელიც მიუთითებს უსაფრთხოების შესაძლო დარღვევაზე. მაგალითად, ქსელის გატეხვის მცდელობები ან სერვერებზე თავდასხმა. IDS სისტემა შეიძლება დამონტაჟდეს ქსელის დონეზე ან ინდივიდუალური მოწყობილობის დონეზე. პირველ შემთხვევაში, სისტემა გაანალიზებს მთელ ტრაფიკს, მეორეში - მხოლოდ იმას, რაც გადის მოწყობილობაში.

IPS სისტემები (Intrusion Prevention System) - ტექნოლოგია სისტემაში შეჭრის თავიდან ასაცილებლად. IDS-ისგან განსხვავებით, ის არა მხოლოდ აღმოაჩენს უსაფრთხოების პოტენციურ საფრთხეებს, არამედ იღებს აქტიურ ზომებს ინფორმაციის დასაცავად. მაგალითად, ის ავტომატურად ბლოკავს IP მისამართებს, საიდანაც ისინი ცდილობენ სისტემის გატეხვას. ამავე დროულად, IPS აღმოაჩენს არა მხოლოდ გარე შეტევებს, არამედ შიდა - როდესაც თავდასხმა მოდის ერთ-ერთი თანამშრომლის სამუშაო კომპიუტერიდან. IPS სისტემას ასევე შეუძლია გადმოწერილი ფაილების სკანირება და მომხმარებლის კომპიუტერებზე ვირუსების დაყენების თავიდან აცილება.

DLP სისტემები - (მონაცემთა დაკარგვის პრევენცია) - ტექნოლოგია, რომელიც ხელს უშლის ინფორმაციის გაჟონვას. მაგალითად, ის ბლოკავს კონფიდენციალური მონაცემების გაგზავნას ელექტრონული ფოსტით ან მყისიერი მესენჯერებით. სისტემის გამოყენებით, თქვენ ასევე შეგიძლიათ აიკრძალოთ დოკუმენტების ბეჭდვა კონკრეტული მოწყობილობიდან. ეს ფუნქცია შეიძლება გააქტიურდეს თანამშრომლის წასვლის შემთხვევაში, რათა მან ვერ შეძლოს კორპორატიული ინფორმაციის წაღება ციფრული ან ბეჭდური ფორმით.

EDR სისტემები (Endpoint Detection and Response) - ტექნოლოგია მავნე აქტივობის აღმოსაჩენად ქსელის ბოლო კვანძებზე, როგორცაა კომპიუტერები ან სმარტფონები. EDR აკონტროლებს მომხმარებლის საეჭვო ქმედებებს ან მოწყობილობების გატეხვის მცდელობებს და აგზავნის შეტყობინებებს მათ შესახებ ინფორმაციის უსაფრთხოების სპეციალისტთან. სინამდვილეში სისტემები, როგორცაა EDR, უფრო თანამედროვე ტიპის ანტივირუსული პროგრამებია. ისინი იდენტიფიცირებენ მოწინავე საფრთხეებს, როგორცაა კორპორატიული ჯაშუშობის მავნე პროგრამა რეალურ დროში. EDR სისტემა აანალიზებს მოწყობილობის აქტივობას და აღმოაჩენს გადახრებს ჩვეული რეჟიმიდან.

UBA ანალიტიკა (User Behavior Analysis) (მომხმარებლის ქცევის ანალიტიკა) - ტექნოლოგია, რომელიც აანალიზებს მომხმარებლის ქცევას საინფორმაციო სისტემებსა და ქსელებში, რათა თვალყური ადევნოს საეჭვო აქტივობას. მაგალითად, UBA-ს შეუძლია აღმოაჩინოს მომხმარებლის ანგარიშზე არავტორიზებული წვდომა, მომხმარებლის ქცევაში გადახრების ანალიზით. ეს შეიძლება იყოს სხვა ქვეყნიდან შესვლა ან ფაილების ნახვა, რომლებიც ჩვეულებრივ მომხმარებელს არ სჭირდება თავისი საქმის შესასრულებლად. გადახრების აღმოჩენის შემდეგ, UBA სისტემას შეუძლია დაბლოკოს კომპრომეტირებული ანგარიში.

ელექტრონული ციფრული ხელმოწერა. დღეს ინფორმაციულ სისტემებში სულ უფო ფართოდ გამოიყენება ელექტრონული ციფრული ხელმოწერა (EDS), იგი საშუალებას იძლევა დაადასტუროთ ელექტრონული დოკუმენტის ავტორობა (იქნება ეს რეალური პირი თუ, მაგალითად, ანგარიში კრიპტოვალუტის სისტემაში). ხელმოწერა ასოცირდება როგორც ავტორთან, ასევე თავად დოკუმენტთან კრიპტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით და არ შეიძლება გაყალბდეს ჩვეულებრივი კოპირებით.

ელექტრონული ციფრული ხელმოწერით შესაძლებელია სატელეკომუნიკაციო არხებით გადაცემული ტექსტების აუთენტიფიკაცია და პრაქტიკაში იგი გამოყენება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის, სამოქალაქო ტრანზაქციების განხორციელებისას, სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების მიწოდებისას, მათ შორის სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების ერთიანი პორტალზე წვდომისას, სახელმწიფო და მუნიციპალური ფუნქციების შესრულებისას და ასევე ბიზნეს შეთანხმებების დროს.

ელექტრონული დოკუმენტების აუთენტიფიკაციის მიზანია მათი დაცვა შესაძლო სახის მავნე ქმედებებისგან, რომელიც მოიცავს:

- აქტიური ჩარევა - ქსელში ჩართული სამართალ დამრღვევი ახორციელებს დოკუმენტების (ფაილების) ჩაჭრას და ცვლის მათ;
- მასკარადი - აბონენტი C უგზავნის დოკუმენტს B აბონენტს, A აბონენტის სახელით;
- რენეგატი - აბონენტი A აცხადებს, რომ მან არ გაუგზავნა შეტყობინება B აბონენტს, თუმცა რეალურად გაუგზავნა;
- ჩანაცვლება - B აბონენტი ცვლის ან ქმნის ახალ დოკუმენტს და აცხადებს, რომ იგი A აბონენტისგან მიიღო;

მისილ ღონაპი, ზუსიკ ზპრიკი, ბიორგი ბოლიუკი

- გამორება - აბონენტი C იმორებს ადრე გადაცემულ დოკუმენტს, რომელიც A აბონენტმა გაუგზავნა B აბონენტს.


ციფრული ხელმოწერა ეფუძნება ასიმეტრიული შიფრების შექცევადობას, აგრეთვე შეტყობინების შინაარსის, თავად ხელმოწერისა და გასაღების წყვილის ურთიერთდაკავშირებას. ამ ელემენტებიდან თუნდაც ერთის შეცვლა შეუძლებელს გახდის ციფრული ხელმოწერის ავთენტურობის გადამოწმებას. ციფრული ხელმოწერა ხორციელდება ასიმეტრიული დაშიფვრის ალგორითმებისა და ჰეშის ფუნქციების გამოყენებით.

ციფრული ხელმოწერის სისტემა მოიცავს ორ ძირითად პროცედურას:

- ციფრული ხელმოწერის გენერირების პროცედურა;
- ციფრული ხელმოწერის გადამოწმების პროცედურა.
- ციფრული ხელმოწერის გენერირების პროცედურა.

ამ პროცედურის მოსამზადებელ ეტაპზე აბონენტი A - შეტყობინების გამგზავნი - აგენერირებს გასაღებების წყვილს: საიდუმლო გასაღები kA და საჯარო გასაღები KA . საჯარო გასაღები KA გამოითვლება მისი დაწვეილებული საიდუმლო გასაღებიდან kA -დან. საჯარო გასაღები K ნაწილდება ქსელის დანარჩენ აბონენტებზე (ან ხელმისაწვდომი ხდება, მაგალითად, საერთო რესურსზე) ხელმოწერის გადამოწმებისას გამოსაყენებლად.

ციფრული ხელმოწერის გენერირებისთვის გამომგზავნი A უპირველეს ყოვლისა ითვლის ხელმოწერილი ტექსტის M ჰეშის ფუნქციას $h(M)$ (ნახ.1). ჰეშის ფუნქცია ემსახურება ორიგინალური ხელმოწერილი ტექსტის M შეკუმშვას დიჯესტ t - შედარებით მოკლე რიცხვში, რომელიც შედგება ფიქსირებული მცირე რაოდენობის ბიტებისგან და ახასიათებს მთლიან ტექსტს M ჯამშჯი. შემდეგ, გამომგზავნი A დაშიფვრავს t დაიჯესტს-ს თავისი საიდუმლო გასაღებით kA -თი. მიღებული რიცხვების წყვილი წარმოადგენს ციფრულ ხელმოწერას მოცემული M ტექსტისთვის. შეტყობინება M ციფრულ ხელმოწერასთან ერთად ეგზავნება მიმღებს.



ნახ. 1 ელექტრონული ციფრული ხელმოწერის გენერირების სქემა


ციფრული ხელმოწერის გადამოწმების პროცედურა. ქსელის აბონენტებს შეუძლიათ მიღებული M შეტყობინების ციფრული ხელმოწერის გადამოწმება ამ შეტყობინების გამომგზავნის K საჯარო გასაღების გამოყენებით (ნახ. 2).

ციფრული ხელმოწერის შემოწმებისას B აბონენტი - M შეტყობინების მიმღები - შიფრავს მიღებულ t დაიჯესტს A გამომგზავნის საჯარო გასაღებით.

გარდა ამისა, მიმღები თავად ითვლის მიღებული შეტყობინების M -ის დაიჯესტს $h(M)$ ფუნქციის გამოყენებით და ადარებს მას გაშიფრულ შეტყობინებას. თუ ეს ორი დაიჯესტი - t და

t' - ემთხვევა, მაშინ ციფრული ხელმოწერა ნამდვილია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელმოწერა გაყალბებულია, ან შეცვლილია შეტყობინების შინაარსი.

ელექტრონული ციფრული ხელმოწერა არის უნიკალური რიცხვი, რომელიც დამოკიდებულია ხელმოწერილ დოკუმენტზე და აბონენტის საიდუმლო გასაღებზე. ნებისმიერი ფაილი შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელმოწერილ დოკუმენტად. ხელმოწერილი ფაილი იქმნება ხელმოწერელი ფაილიდან მასში ერთი ან მეტი ელექტრონული ხელმოწერის დამატებით.



ნახ. 2. ელექტრონული ციფრული ხელმოწერის გადამოწმების სქემა

ხელმოწერის ფაილში მოთავსებული ციფრული ხელმოწერის სტრუქტურა (ან ცალკე ელექტრონული ხელმოწერის ფაილი) ჩვეულებრივ შეიცავს დამატებით ინფორმაციას, რომელიც ცალსახად განსაზღვრავს ხელმოწერილი დოკუმენტის ავტორს. ეს ინფორმაცია ემატება დოკუმენტს ციფრული ხელმოწერის დაანგარიშებამდე, რაც უზრუნველყოფს მის მთლიანობას. თითოეული ხელმოწერა შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ხელმოწერის თარიღი;

- ამ ხელმოწერის გასაღების ვადის გასვლის თარიღი;
- ინფორმაცია იმ პირის შესახებ, ვინც ხელი მოაწერა ფაილს (სრული სახელი, თანამდებობა, კომპანიის მოკლე სახელი; ხელმოწერის იდენტიფიკატორი (საჯარო გასაღების დასახელება);
- თავად ციფრული ხელმოწერა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბოლოო მომხმარებლის თვალსაზრისით, ციფრული ხელმოწერის გენერირებისა და გადამოწმების პროცესი განსხვავდება გადაცემული მონაცემების კრიპტოგრაფიული დახურვის პროცესისგან შემდეგი გზებით.

ციფრული ხელმოწერის გენერირებისას გამოიყენება გამგზავნის დახურული გასაღები, ხოლო დაშიფრვისას გამოიყენება მიმღების საჯარო გასაღები. ციფრული ხელმოწერის გადამოწმებისას გამოიყენება გამგზავნის საჯარო გასაღები, ხოლო დაშიფრვისას - მიმღების დახურული გასაღები. გენერირებული ხელმოწერის გადამოწმება ნებისმიერ პირს შეუძლია, რადგან ხელმოწერის გადამოწმების გასაღები საჯაროა.

ასიმეტრიული დაშიფრვის მსგავსად, აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ ციფრული ხელმოწერის შესამოწმებლად გამოყენებული საჯარო გასაღების შეცვლა შეუძლებელი იყოს. თუ ვივარაუდებთ, რომ თავდამსხმელს P -ს აქვს წვდომა საჯარო გასაღებებზე, რომლებსაც B აბონენტი ინახავს თავის კომპიუტერში, მათ შორის A აბონენტის საჯარო გასაღები KA , მაშინ მას შეუძლია შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

მისილ დონაჰი, გუსიკ ზერიკი, ბიორგი გოლიუკი

- ფაილის წაკითხვა, რომელიც შეიცავს საჯარო გასაღების KA საიდენტიფიკაციო ინფორმაციას A აბონენტის შესახებ;
- დააგენერიროს საკუთარი გასაღების წყვილი kn და Kp , რომელშიც ჩაწერს A აბონენტის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას;
- შეცვალოს B აბონენტის მიერ შენახული საჯარო გასაღები KA მისი საკუთარი საჯარო გასაღებით Kn , რომელიც შეიცავს A აბონენტის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას.

რის შემდეგაც, თავდამსხმელს შეუძლია p აბონენტს გაუგზავნოს დოკუმენტები, ხელმოწერილი მისი საიდუმლო k გასაღებით. ამ დოკუმენტების ხელმოწერის შემოწმებისას B აბონენტი ჩათვლის, რომ დოკუმენტებს ხელს აწერს A აბონენტი და მათი ციფრული ხელმოწერა არის სწორი, ანუ ისინი არავის მიერ არ არის შეცვლილი. სანამ უშუალოდ A აბონენტთან ურთიერთობა არ გაირკვევა, B აბონენტს შეიძლება ეჭვი არ ეპარებოდეს მიღებულ დოკუმენტებში.

ციფრული ხელმოწერის ალგორითმი DSA DSA (Digital Signature Algorithm). ციფრული ხელმოწერის ალგორითმი შემოთავაზებული იქნა 1991 წელს სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტის (NIST) მიერ და გახდა აშშ-ს სტანდარტი 1993 წელს. DSA ალგორითმი არის El Gamal-ისა და K. Schnorr-ის ციფრული ხელმოწერის ალგორითმის შემუშავება. ქვემოთ მოცემულია გასაღების გენერირების, ხელმოწერის და ხელმოწერის გადამოწმების პროცედურები DSA ალგორითმში:

DSA გასაღების გენერაცია. ელექტრონული დოკუმენტის გამგზავნი და მიმღები გამოთვლებში იყენებენ დიდ მთელ p - მარტივ რიცხვებს, თითოეული L ბიტის სიგრძით ($512 \leq L \leq 1024$); q არის მარტივი რიცხვი 160 ბიტის რიცხვის გამყოფი ($p - 1$). რიცხვები g, p, q საჯაროა ქსელის ყველა მომხმარებლისთვის.

გამგზავნი ირჩევს შემთხვევით მთელ რიცხვს x , $1 < x < q$. რიცხვი x არის გამგზავნის საიდუმლო გასაღები ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესაქმნელად. შემდეგ გამგზავნი ითვლის მნიშვნელობას:

$$y = gx \text{ mod } p.$$

y არის საჯარო გასაღები გამგზავნის ხელმოწერის დასადასტურებლად. ნომერი y გადაეცემა ყველა დოკუმენტის მიმღებს.

DSA ხელმოწერის გენერაცია. ეს ალგორითმი უზრუნველყოფს ცალმხრივ ჰეშის ფუნქციის $h()$ გამოყენებას. სტანდარტი განსაზღვრავს $SHA-1$ უსაფრთხო ჰეშირების ალგორითმს. M შეტყობინების ხელმოსაწერად, მონაწილე A ასრულებს შემდეგ ნაბიჯებს:

- ინტერვალში ირჩევს შემთხვევით რიცხვს $k [1, q - 1]$.
- ითვლის $r = (gk \text{ mod } p) \text{ mod } q$.
- ითვლის $k^{-1} \text{ mod } q$.
- ითვლის $s = k^{-1} \{h(M) + xr\} \text{ mod } q$, სადაც h არის $SHA-1$ ჰეშირების ალგორითმი.
- თუ $s = 0$, გადაადით 1 საფეხურზე. (თუ $s = 0$, მაშინ $s \text{ mod } q$ არ არსებობს; s საჭიროა ხელმოწერის შემოწმების პროცედურის მე-2 საფეხურზე.)
- M შეტყობინების ხელმოწერა არის მთელი რიცხვების წყვილი (r, s) .

DSA ხელმოწერის შემოწმება. A მონაწილისგან M შეტყობინების ხელმოწერის (r, s) გადამოწმების მიზნით, მონაწილე B ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს:

- იღებს საჯარო გასაღების ორიგინალ ასლს A მონაწილისგან.
- ითვლის $\Omega = s^{-1} \text{ mod } q$ და ჰეშ მნიშვნელობა $h(M)$.

- ითვლის მნიშვნელობას $u1 = h(M) \Omega \bmod q$ და $u2 = (r \Omega) \bmod q$.
- y საჯარო გასაღების გამოყენებით, ითვლის მნიშვნელობა $v-s = (guiyu \bmod p) \bmod q$.
- $v = r$. აღიარებს ხელმოწერას (r, s) M დოკუმენტის ქვეშ, როგორც ორიგინალს, თუ $v = r$.

რადგან r და s არის მთელი რიცხვები, თითოეული კი q -ზე ნაკლებია, DSA ხელმოწერების ზომა 320 ბიტს შეადგენს. DSA ციფრული ხელმოწერის ალგორითმის უსაფრთხოება ეფუძნება დისკრეტული ლოგარითმის პრობლემის სირთულეებს.

ციფრული ხელმოწერის ალგორითმი ECDSA (Elliptic Curve Digital Signature Algorithm). ციფრული ხელმოწერის გენერაცია (მომხმარებელი A ხელს აწერს M შეტყობინებას):

გამოითვლება $H(M)$ შეტყობინების ჰეში;

• $1 < k < n - 1$; არჩეულია შემთხვევითი მთელი რიცხვი k , რომელიც არის n -ის თანაპრიმი (ანუ მას არ აქვს სხვა საერთო გამყოფები n -თან გარდა 1-ისა. ვინაიდან n მარტივი რიცხვია, ეს პირობა სრულდება ავტომატურად), $1 < k < n - 1$;

- წერტილი $(x, y) = kP$ და $r = x \bmod n$ გამოითვლება თუ $r = 0$, k -ს არჩევა მეორდება.
- გამოითვლება $s = k (H(M) + rd) \bmod n$;
- M შეტყობინების ციფრული ხელმოწერა არის რიცხვების წყვილი (r, s) .

ციფრული ხელმოწერის შემოწმება (მომხმარებელი B ამოწმებს A მომხმარებლის ციფრულ ხელმოწერას M შეტყობინებაში):

- თუ $r = 0$, მაშინ მიღებული ციფრული ხელმოწერა არასწორია;
- გამოითვლება $H(M)$ შეტყობინების ჰეში;
- გამოითვლება $u = s H(M) \bmod n$ და $v = s r \bmod n$;
- გამოითვლება წერტილი $(x, y) = uP + vQ$;
- გამოითვლება $r' = x \bmod n$;
- ციფრული ხელმოწერა ითვლება სწორად, თუ $r' = r$.

თავდასხმის აღმოჩენის სისტემები. სტანდარტული დაცვის საშუალებებთან ერთად, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია AS-ის ნორმალური ფუნქციონირება (როგორცაა firewall-ბი, სარეზერვო სისტემები და ანტივირუსული ხელსაწყოები), საჭიროა SOA (IDS, თავდასხმის ან შეჭრის აღმოჩენის სისტემების) გამოყენება. ქსელის შეტევებთან ბრძოლის ძირითადი საშუალებები.

ამჟამად, SOA (Service-oriented architecture) იწყებს სულ უფრო ღრმად დანერგვას კორპორაციული ქსელების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრაქტიკაში. თუმცა, არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რომლებსაც ორგანიზაციები აუცილებლად აწყდებიან თავდასხმის აღმოჩენის სისტემის დანერგვისას. ეს პრობლემები მნიშვნელოვნად ართულებს და ზოგჯერ აჩერებს IDS-ის დანერგვის პროცესს. აქ არის რამდენიმე მათგანი:

- SOA-ს მაღალი კომერციული ღირებულება;
- თანამედროვე SOA-ს დაბალი ეფექტურობა, რომელიც ხასიათდება დიდი რაოდენობის ცრუ გააქტიურებებით და გაუმართაობით. (false positives and false negatives).
- დიდი რაოდენობის რესურსების მოთხოვნა და ზოგჯერ SOA-ს არადაამაკმაყოფილებელი წარმადობა უკვე 100 მბიტ/წმ ქსელებზე;
- ქსელის შეტევებთან დაკავშირებული რისკების არასაკმარისი შეფასება;
- ორგანიზაციაში რისკის ანალიზისა და მართვის მეთოდოლოგიის არარსებობა, რომელიც საშუალებას აძლევს მენეჯმენტს ადეკვატურად შეაფასოს რისკის სიდიდე და გაამართლოს კონტროლებების განხორციელების ღირებულება;

მისილ ღონაპი, გუსიკ ზპრიკი, ბიორგი ბოლიუკი


- მაღალკვალიფიციური ექსპერტები თავდასხმების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც საჭიროა SOA-ს განსახორციელებლად და განლაგებისთვის.

ტიპიური თავდასხმის აღმოჩენის სისტემის არქიტექტურა ჩვეულებრივ მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- სენსორი (ინფორმაციის შეგროვების საშუალება);
- ანალიზატორი (ინფორმაციის ანალიზის ინსტრუმენტი);
- რეაგირების საშუალებები
- მართვის საშუალებები.

რა თქმა უნდა, ყველა ამ კომპონენტს შეუძლია ფუნქციონირება ერთ კომპიუტერზე და თუნდაც ერთ აპლიკაციაში, მაგრამ ხშირად ისინი განაწილებულია ტერიტორიულად და ფუნქციონალურად. SOA კომპონენტები, როგორცაა ანალიზატორები და მართვის ხელსაწყოები, სახიფათოა გარე ქსელის firewall-ის მიღმა განთავსება, რადგან თუ ისინი დაზიანებულია, თავდამსხმელს შეუძლია მიიღოს წვდომა შიდა დაცული ქსელის სტრუქტურის შესახებ ინფორმაციაზე, წესების ბაზის ანალიზის საფუძველზე, რომელიც იყენებს SOA-ს.

თავდასხმის აღმოჩენის სისტემის ტიპიური არქიტექტურა ნაჩვენებია ნახაზზე 3. ქსელის სენსორები ხელში იგდებენ ქსელურ ტრაფიკს, host სენსორები ინფორმაციის წყაროდ იყენებენ OS-ის მოვლენების ჟურნალს, DBMS და აპლიკაციებს. მოვლენების შესახებ ინფორმაცია ასევე შეიძლება მიიღოს host სენსორის მიერ უშუალოდ OS ბირთვიდან, ფაიერვოლიდან ან აპლიკაციიდან. ანალიზატორი, რომელიც მდებარეობს უსაფრთხოების სერვერზე, ცენტრალიზებულად აგროვებს და აანალიზებს სენსორებისგან მიღებულ ინფორმაციას.



ნახ. 3 SOA-ს ტიპიური არქიტექტურა

საპასუხო ინსტრუმენტები შეიძლება განთავსდეს ქსელის მონიტორინგის სადგურებზე, Firewall-ებზე სერვერებზე და LAN სამუშაო სადგურებზე. თავდასხმის საპასუხო მოქმედებების ტიპიური ნაკრები მოიცავს უსაფრთხოების ადმინისტრატორის გაფრთხილებას (ელფოსტის,

კონსოლის ან SMS-ის საშუალებით), ქსელის სესიების და მომხმარებელთა შესვლის დაბლოკვას თავდასხმების დაუყოვნებლივ შესაჩერებლად და თავდამსხმელის ქმედებების აღრიცხვას.

მართვის ინსტრუმენტები შექმნილია თავდასხმის აღმოჩენის სისტემის ყველა კომპონენტის ადმინისტრირებისთვის, უსაფრთხოების დარღვევების იდენტიფიკაციისა და რეაგირების ალგორითმების შემუშავებისთვის (უსაფრთხოების პოლიტიკა), ასევე დარღვევების შესახებ ინფორმაციის სანახავად და ანგარიშების შესაქმნელად.

დასკვნა. ნაშრომის ფარგლებში განხილული საკითხებიდან ცხადად ჩანს, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების მრავალმხრივი ბუნება და მისი კრიტიკული მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში. ჰემირების ფუნქციები და ელექტრონული ციფრული ხელმოწერები წარმოადგენენ მონაცემთა მთლიანობისა და აუთენტურობის გარანტს, ხოლო თავდასხმის აღმოჩენის სისტემები უზრუნველყოფენ პროაქტიულ დაცვას. კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ ინფორმაციული სისტემების ეფექტური დაცვა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტექნიკურ, ორგანიზაციულ და ადამიანურ ფაქტორებს.

ამ კვლევის შედეგად, ნათელი გახდა, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიებს უნდა ახასიათებდეს მოქნილობა, სკალაბელობა და მდგრადობა, რათა ეფექტურად უპასუხონ მუდმივად განვითარებად საფრთხეებს. ამასთან, მნიშვნელოვანია უწყვეტი მონიტორინგი, ანალიზი და განახლება, რათა შენარჩუნდეს უსაფრთხოების მაღალი დონე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით, მუდმივი სწავლითა და ინოვაციური მიდგომებით შევძლებთ შევქმნათ უსაფრთხო და სანდო ციფრული გარემო, რომელიც აუცილებელია ჩვენი საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის.

INFORMATICS

INNOVATIVE DATA SECURITY TECHNOLOGIES IN INFORMATION SYSTEMS

MIKHEIL DONADZE

e-mail: mikheil.donadze@bsu.edu.ge,

Batumi Shota Rustaveli State University

BESIK BERIDZE

b.veridze@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

GIORGI GOLIUKI

giorgigoliuki@gmail.com

Batumi Shota Rustaveli State University

ABSTRACT: The paper addresses critical information security issues that are important in today's digital world. The paper focuses on topics such as: hash functions, electronic digital signatures, intrusion detection systems, and protection of information systems from violators.

The general discussion of hash functions demonstrates their importance in ensuring data integrity and authentication. The analysis of electronic digital signatures emphasizes their role in validating and confirming the origin of electronic documents.

მისამართი, ავტორი, მისამართი, მისამართი

The paper also characterizes intrusion detection systems, which represent important tools for ensuring network security.

The presented research is significant from both academic and practical perspectives, as it contributes to a deeper understanding of information security fundamentals and provides recommendations for creating a secure digital environment.

KEYWORDS: information security, hash functions, electronic digital signature, intrusion detection systems

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ქობლამე, ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიები, თბ, 2018
2. ნ. ამილახვარი, გ. ამილახვარი ინფორმაციული უსაფრთხოება, სტუ თბ, 2020
3. Mark Stamp, Information Security: Principles and Practice", Wiley, 2011.
4. Julie J. C. H. Ryan Information Security Tools and Practices: What Works?, 2004
5. Academy of ICT Essentials for Government Leaders, Information Security and Privacy, 2021
6. William Stallings and Lawrie Brown, "Computer Security: Principles and Practice", Pearson, 2018.
7. Bruce Schneier, "Applied Cryptography: Protocols, Algorithms, and Source Code in C", 1996
8. Jonathan Katz and Yehuda Lindell, "Introduction to Modern Cryptography", 2015
9. William Stallings "Network Security Essentials: Applications and Standards", 2014
10. Mark Stamp, "Information Security Principles and Practice", 2005
11. William Stallings, "Cryptography and Network Security". 2017, UK
12. Alan G. Konheim, Hashing in Computer Science: Fifty Years of Slicing and Dicing 1st Edition, Wiley-Interscience, 2010, John Wiley & Sons Inc
13. Hash Functions in System Security, <https://www.geeksforgeeks.org/hash-functions-system-security/> 2023 [08.12.2024]
14. <https://practicum.yandex.ru/blog/tehnologii-zaschity-informatsii/> [08.12.2024]
15. <http://ypn.ru/207/electronic-digital-signature-and-hashing-function/> [08.12.2024]

ინტროდუქცია

PROGRAMMING AN ALGORITHM DEFINITION, THE CRITICAL FORCE OF THE ROD IN MS EXCEL

IA MOTSKOBILI

e-mail: ia.motskobili@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

ABSTRACT: Engineers of a wide profile of navigation (and not only) often have to solve algebraic and transcendental equations, which can be an independent task, or be an integral part of more complex tasks. In both cases, the practical value of the numerical method is largely determined by the speed and efficiency of the solution. The choice of a suitable algorithm for solving equations depends on the nature of the problem under consideration.

In this paper we consider a technique for solving a transcendental equation of - determining the critical power, which is applied vertically on the rod. One end of the rod is clamped, and the other can move in the vertical direction.

In order to solve the transcendental equation using the basic equations of General Physics, computational Mathematics and *MS Excel* software package. On the worksheet, *MS Excel* program is made up of finding the root of the equation by dividing the length in half, which uses a built-in Excel functions and does not require the use of well-known programming languages.

The value of the critical force at which the rod loses stability is found.

KEYWORDS: transcendental equation, Excel, method of dividing a segment in half.

Description of the method for solving this problem.

Suppose that the function $F(x)$ is continuous on the interval $[a, b]$ and has values of different signs at the ends of this segment, i.e. $F(a) \cdot F(b) < 0$. Then the equation $F(x) = 0$ has a root inside this segment, which is called the root localization segment.

Let, $c = (a + b)/2$ be the midpoint of the segment $[a, b]$. If, $F(a) \cdot F(c) \leq 0$, then the root is on the segment $[a, c]$, which we take as the new segment of localization of the root.

If, $F(a) \cdot F(c) > 0$, then let the new root localization segment become the segment $[c, b]$.

Note that the new root localization segment is two times smaller than the initial one. We continue the process of dividing the root localization segment until its length becomes less than ϵ , the accuracy of finding the root [1].

It is required to determine the magnitude of the critical force for the rod, one end of which is clamped, and the other can move in the vertical direction (see Figure 1.)




Figure 1. The force vertically applied to the rod

The critical force in this case is determined by the equation [1]:

$$\tan \sqrt{\frac{P}{EI}} L = \sqrt{\frac{P}{EI}} L, \quad (1)$$

where P - is the critical force at which the rod loses stability; EI - is the bending stiffness of the rod; L - is its length.

We introduce the notation:

$$x = \sqrt{\frac{P}{EI}} L, \quad (2)$$

then the transcendental equation (1) takes the form:

$$\tan x = x \rightarrow x - \tan x = 0. \quad (3)$$

Since this equation is transcendental, its solution by exact mathematical methods is impossible. To solve similar equations, different approximate methods of solving are used, one of them is the method of dividing the interval into halves, which is used to solve (3) the equation.

Figure 2. shows the graph of the function $y = x - \tan x$, built on the *Excel* worksheet [2], on the interval $x \in \left[\pi, \frac{3}{2}\pi\right]$ with a step of 0,1. From this it follows that the value of the first non-zero root of equation (3) is on the segment $[4,34, 4,64]$:


Figure 2. Function Graph $y = x - \tan x$

Figure 3. shows the programming on the Excel worksheet of the algorithm for finding the root of the transcendental equation (3), by dividing the segment in half [2]:

1. In the cell B1- entered the values of the accuracy of finding the root $\varepsilon = 0,001$;
2. The starting and ending points of the segment are entered in cells A4 and B4;
3. In cell C4 - using the formula $=(A4 + B4)/2$ determines the value of the midpoint of the segment;
4. In cell D4 - using the formula $=(A4-TAN(A4)) * (C4-TAN(C4))$, the sign is checked;
5. In the cell E4 - the formula $=C4-TAN(C4)$ is entered to determine the value of the function at the midpoint;
6. To determine the root localization interval, the formulas $=IF(D4 <=0;A4;C4)$ and $=IF(D4<=0;C4;B4)$ are entered into cells A5 and B5, respectively;
7. In cell F5 - to check the accuracy of finding the root, the formula $=IF(B4-A4 < \$B\$1; "The root is found and is equal to" & TEXT (C4; "0.0000"); "");$
8. From the range of cells C4:E4, copy the formulas in cells C5:E5;
9. Formulas in the A5:F5 cell ranges are copied down the columns until the root is found. From Figure 3 it can be seen that the root of equation (3) with an accuracy of 0.001 is 4.4932.

	A	B	C	D	E	F	G	H
1	The accuracy of finding the root	0,001						
2								
3	a	b	c	The sign is checked	The value of the function at the midpoint	The accuracy of finding the root		
4	4,34	4,64	4,49	0,12058936	0,067749552			
5	4,49	4,64	4,565	-0,1470549	-2,170566786			
6	4,49	4,565	4,5275	-0,0555127	-0,819380601			
7	4,49	4,5275	4,50875	-0,022617	-0,33383312			
8	4,49	4,50875	4,49938	-0,0083963	-0,123932171			
9	4,49	4,49938	4,49469	-0,0017588	-0,025961043			
10	4,49	4,49469	4,49234	0,0014505	0,0214098			
11	4,49234375	4,49469	4,49352	-4,592E-05	-0,002144665			
12	4,49234375	4,49352	4,49293	0,00020693	0,009665045			
13	4,492929688	4,49352	4,49322	3,6421E-05	0,003768342			
14	4,493222656	4,49352	4,49337	3,067E-06	0,000813881	The root is found and is equal to 4,4932		

Figure 3. Finding the root of the equation by dividing the segment in half

From the known values of the flexural rigidity EI and the length L of the rod, it is possible to determine the critical force P from expression (2), at which the rod loses stability.

Conclusion

According to the proposed method, it is relatively easy (avoiding a complex programming language) and with sufficient accuracy one can solve algebraic and transcendental equations. The compiled program — finding the root of an equation by dividing a segment in half - uses the built-in functions of Excel and does not require the engineer to use known programming languages.

ინფორმაცია

ღეროს კრიტიკული კალის განსაზღვრის ალგორითმის დაპროგრამება MS EXCEL-ში

ია მოწყობილი

ელ.ფოსტა: ia.motskobili@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: ნავიგაციის (და არა მხოლოდ) ფართო პროფილის ინჟინრებს ხშირად უწევთ ალგებრული და ტრანსცენდენტული განტოლებების ამოხსნა, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც დამოუკიდებელი ამოცანა, ან იყოს უფრო რთული ამოცანების განუყოფელი ნაწილი. ორივე შემთხვევაში, რიცხვითი მეთოდის პრაქტიკული მნიშვნელობა დიდწილად განისაზღვრება ამოხსნის სიჩქარითა და ეფექტურობით. განტოლებების ამოხსნის შესაფერისი ალგორითმის არჩევა დამოკიდებულია განსახილველი პრობლემის ბუნებაზე.

ნაშრომში განხილულია კრიტიკული სიმძლავრის განსაზღვრის ტრანსცენდენტული განტოლების ამოხსნის ტექნიკა, რომელიც გამოიყენება ვერტიკალურად ღეროზე. ღეროს ერთი ბოლო დამაგრებულია, ხოლო მეორეს შეუძლია ვერტიკალური მიმართულებით მოძრაობა.

ტრანსცენდენტული განტოლების ამოხსნა შესაძლებელი გახდა ზოგადი ფიზიკის, გამოთვლითი მათემატიკის და MS Excel პროგრამული პაკეტის ძირითადი განტოლებების გამოყენებით. სამუშაო ფურცელზე MS Excel პროგრამა შედგება განტოლების ფესვის პოვნისგან, სიგრძის შუაზე გაყოფით, რომელიც იყენებს ჩაშენებულ Excel ფუნქციებს და არ საჭიროებს ცნობილი პროგრამირების ენების გამოყენებას.

ნაპოვნია კრიტიკული ძალის მნიშვნელობა, რომლის დროსაც ღერო კარგავს სტაბილურობას.

საკვანძო სიტყვები: ტრანსცენდენტული განტოლება, MS Excel, სეგმენტის შუაზე გაყოფის მეთოდი.

References:

1. A.V. Dukhanov, Solving Optimization Problems Using Ms Excel - St. Petersburg: ITMO University, 2022;
2. O. A. Bogomolova, Optimization Methods In Solving Engineering Problems, – Volgograd VolGASU, 2013
3. M. Harmon, Step-By-Step Optimization with Excel Solver, Atlantic International University, 2011
https://students.aiu.edu/submissions/profiles/resources/onlineBook/T7K3W7_Step-By-Step_Optimization_Solver%20excel.pdf
4. <https://ocw.mit.edu/courses/15-053-optimization-methods-in-management-science-spring-2013/pages/tutorials/>

ეკოლოგია

ზოგიერთი ჰერბიციდის ბიოციდური თვისებების შესწავლა

ივანთა კუპრაიშვილი*, ჯაშრ ლომთათიძე**

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*

***ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის -ბოტანიკის ინსტიტუტი*

აბსტრაქტი. შესწავლილია ჰერბიციდების: მილაგროსა და 2,4 D-ამინის მარილის ბაქტერიციდული და აქტინომიციდური თვისებები. დადგინდა, რომ 2,4 D-ამინის მარილი საკვლევი აქტინომიცეტებისა და ბაქტერიების მიმართ არ ავლენს ზრდის დამთრგუნველ ზემოქმედებას, ხოლო მილაგროს გამოირჩევა მხოლოდ ბაქტერიციდული თვისებით.

საკვანძო სიტყვები: ჰერბიციდები, აქტინომიცეტები, ბაქტერიები, მილაგრო, 2,4 D-ამინის მარილი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების დაწერვის პარალელურად, ჰერბიციდები ჯეროვან ადგილს იკავებენ სამეურნეო-სამშენებლების არსენალში. თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებში ჰერბიციდების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს შორის ერთ-ერთი მთავარია მათი სწრაფად დაშლის უნარი. პრეპარატი მთლიანად უნდა დაიშალოს ერთი სავეგეტაციო პერიოდის, სეზონის განმავლობაში, რათა არ შეიზღუდოს თესლბრუნვაში ძირითადი კულტურის შემდეგ რომელიმე სხვა კულტურის ჩართვა. ჰერბიციდები განსხვავდებიან მოქმედების მექანიზმის მიხედვითაც: კონტაქტური და სისტემური. კონტაქტური ჰერბიციდები მოქმედებენ რა მცენარეზე უშუალო კონტაქტის გზით, აზიანებენ მცენარის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელსაც პრეპარატი ხვდება. მაშინ, როცა სისტემური ჰერბიციდები, ფოთოლსა და ღეროზე მოხვედრისას, სწრაფად გადაადგილდებიან მცენარის მთელ ორგანიზმში და მის დაღუპვას იწვევენ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ეფექტურია იმ სარეველების წინააღმდეგ, რომელთაც მძლავრი ფესვთა სისტემა გააჩნიათ. თანამედროვე ჰერბიციდების უმრავლესობა სისტემური გამოყენებისაა (1).

მცენარეში შეჭრის პროცესი დამოკიდებულია ზრდისა და განვითარების ფაზაზე და გარემო პირობებზე. კერძოდ, ნიადაგის ტენიანობასა და ტემპერატურაზე. როცა ესენი არსებობენ, მაშინ ჰერბიციდს ადვილად იწოვს ნიადაგი. აღმოცენებამდე გამოყენებული ჰერბიციდების მოქმედების ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნიადაგის დამუშავების ხარისხზე. კარგად დამუშავებული, თანაბარი ნიადაგის შემთხვევაში იქმნება უწყვეტი საჰერბიციდო ფენა. ჰერბიციდის გამოყენებას უნდა ვერიდოთ მაშინ, როცა მცენარე სტრესულ მდგომარეობაშია (გვალვა, დაბალი ტემპერატურა, პესტიციდებითა და სასუქებით მცენარის დაზიანება, მაღალი ტენიანობა და ა.შ.) - სიცივისა და მაღალი ტენის პირობებში შედარებით დაბალია ფოთლიდან, გვალვისას კი - ფესვიდან.

პრეპარატების ხარჯვის ნორმა სხვადასხვაა და იგი დამოკიდებულია ნიადაგის მექანიკურ შემადგენლობაზე, მასში ჰუმუსის შემცველობაზე, მიკროორგანიზმების თვისობრივ და

ივეტა კუარაივილი, ზაურ ლომთათიძე

რაოდენობრივ შემადგენლობაზე (2,3) სარეველების სახეობრივ შემადგენლობაზე, პოტენციურ დასარეველიანებაზე და სარეველების ასაკზე (ადრეულ ფაზაში მეტად მგრძობიარენი არიან). თუ შესაწამლი აგრეგატი დარეგულირებული და გარემო პირობები დამუშავებისათვის ხელსაყრელია (სითბო, მშრალი ფოთლები, ნიადაგი მსუბუქი და ნესტიანი, უქარობა, სარეველების ჯიშობრივი სპექტრი არ არის ფართო), შეიძლება ჰერბიციდების დაბალი დოზით გამოყენება. სხვა შემთხვევაში დოზა იზრდება.

ჰერბიციდები—მილაგრო და 2,4 D ამინის მარილი კომპლექსში ნივთიერება პერფექტთან ერთად ფართოდ გამოიყენება სიმინდის ნათესებში სარეველების გასანადგურებლად. ამასთან პერფექტი წარმოადგენს სიმინდის სტიმულატორს, რათა განეიტრალდეს დანარჩენი ჰერბიციდების დამთრგუნველი მოქმედება. მილაგროს აქტიური ინგრედიენტი არის ნიკოსულფურონი. იგი მცენარეში აცეტოტოლაქტური ფერმენტების სინთეზის ინჰიბირებას იწვევს და აჩერებს უჯრედის გაყოფის პროცესს. სწრაფად და აქტიურად გადაიტანება ფესვებისა და ფოთლების გზით მთელ მერისტემულ ქსოვილზე. ამ ჰერბიციდს აქვს გამოყენების ფართო სპექტრი, როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეების წინააღმდეგ. ძირითადად გამოიყენება სიმინდის ყანებში სარეველებთან საბრძოლველად, მაგრამ ჰერბიციდის გამოყენების დროს, მისი მაღალი ეკონომიკური ეფექტურობასთან ერთად, შესაძლებელია ჰქონდეს არასასურველი შედეგი - ბიოციდური აქტივობა არა მარტო მწერების, სარეველების, მიკროორგანიზმების(2,3), არამედ თბილსისხლიანი ცხოველების და ადამიანის მიმართაც. ამის გამო გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, მათ შორის მოქმედება ნიადაგის მიკროორგანიზმებზეც, რომლებიც წარმოადგენენ ნიადაგის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ფაქტორს.

აქედან გამომდინარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ნიადაგის ზოგიერთი მიკროორგანიზმის განვითარებაზე ჰერბიციდების: მილაგროს და 2,4 ამინის მარილის+პერფექტი გავლენა.

კვლევის ობიექტები და მასალები

ექსპერიმენტში გამოყენებული იქნა ჰერბიციდები: მილაგროს და 2,4-D ამინის მარილი+პერფექტი, ტესტ-ობიექტებად - ბოტანიკის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის განყოფილების მიკროორგანიზმთა კოლექციაში დაცული შემდეგი ბაქტერიები: *Escherichia coli*, *Bacillus subtilis*, *Staphylococcus aureus*, *Mycobacterium phlei* და აქტინომიცეტები: *Nocardiosis dassonvillei*, *Streptosporangium album*, *Elythrosporangium brasiliense* და *Streptomyces albogriseolus subsp. Aragviensis*. ტესტ-ობიექტების გამოსაზრდელად ვიყენებდი მყარ საკვებ არეებს: აქტინომიცეტებისთვის - კრასილნიკოვის CP-1 საკვებ არეს (KNO_3 -1გ; K_2HPO_4 -0,5გ; NaCl-0,5გ; $MgSO_4$ -0,5გ; $FeSO_4$ -კვალი; $CaCO_3$ -1გ; სახამებელი-20გ; აგარი-20გ; ონკანის წყალი-1ლ); ბაქტერიებისთვის- ხორცპეპტონიანი აგარი (ხპა).

დამზადებულ იქნა ჰერბიციდის კომპლექსის შემადგენელი თითოეული კომპონენტის 1%, 0,1% და 0,01%-იანი ხსნარები, (მილაგროს შემთხვევაში მინიმალური დამთრგუნველი დოზის დასადგენად, დამატებით დამზადებულ იქნა 0,001 %-იანი ხსნარი), კონტროლი - გამოხდილი წყალი.

ნივთიერებების მოქმედება მიკროორგანიზმების ზრდა-განვითარებაზე შესწავლილი იქნა „ჭის“ მეთოდით (4).

კვლევის შედეგები და განხილვა

ჰერბიციდების ბაქტერიციდული და აქტინომიციდური თვისებების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ დამთრგუნველი ეფექტი გამოავლინა მხოლოდ ჰერბიციდი მილაგროს ხსნარმა (ცხრილი 1), ხოლო 2,4 -D ამინის მარილი+პერფექტი არ გამოიჩინა არც ბაქტერიციდული და არც აქტინომიციდური თვისებებით საკვლევი მიკროორგანიზმები მიმართ (ცხრილი 2).

**მილაგროს მოქმედების გავლენა ზოგიერთი მიკროორგანიზმის ზრდა-განვითარებაზე
(დათრგუნვის ზონის სიდიდე, მმ)**

ცხრილი 1

მიკროორგანიზმები	კონტროლი H ₂ O	კონცენტრაცია (გ/ლ),			
		1,0	0.1	0.01	0.001
Esherichia coli	0*	5	4	2	0
Bacillus subtilis	0	9,5	7,5	4	0
Staphylococcus aureus	0	3	0	0	0
Mycobacterium phlei	0	0,5	0	0	0
Nocardiopsis dassonvillei	0	0	0	0	0
Streptosporangium album	0	0	0	0	0
Elithrosporangium brasiliense	0	0	0	0	0
Streptomyces albogriseolus subsp. Aragviensis	0	0	0	0	0

***0 -არ მოქმედებს**

**2,4 -D ამინის მარილის +პერფექტი მოქმედების გავლენა ზოგიერთი მიკროორგანიზმის
ზრდა-განვითარებაზე (დათრგუნვის ზონის სიდიდე, მმ)**

ცხრილი 2

მიკროორგანიზმები	კონტროლი H ₂ O	კონცენტრაცია (გ/ლ),			
		1,0	0.1	0.01	0.001
Esherichia coli	*0	0	0	0	0
Bacillus subtilis	0	0	0	0	0
Staphylococcus aureus	0	0	0	0	0
Mycobacterium phlei	0	0	0	0	0
Nocardiopsis dassonvillei	0	0	0	0	0
Streptosporangium album	0	0	0	0	0
Elithrosporangium brasiliense	0	0	0	0	0
Streptomyces albogriseolus subsp. Aragviensis	0	0	0	0	0

***0-არ მოქმედებს**

ცხრილში 1 მოცემულია კვლევის შედეგები, როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, მილაგრო (1გ/ლ კონცენტრაციით) ძლიერ დამთრგუნველ გავლენას ახდენს Esherichia coli-ს და Bacillus subtilis ზრდა-განვითარებაზე (ზრდის დათრგუნვის ზონის სიდიდეა შესაბამისად -5,0 მმ; 9,5 მმ),

ივეტა კუპრეიშვილი, ჯაურ ლომთათიძე

შედარებით ნაკლებია საკვლევი ხსნარის 0,1 და 0,01 გ/ლ მოქმედება ამ მიკროორგანიზმებზე, კერძოდ, აღინიშნა მათი ზრდის დამთრგუნველი ზონის შემდეგი სიდიდეები (მიკროორგანიზმთა და კონცენტრაციების შესაბამისად): 4,0 მმ; 7,0 მმ და 2,0 მმ; 4,0 მმ); შედარებით სუსტად მოქმედებს ამ ჰერბიციდის 1,0 გ/ლ კონცენტრაციის ხსნარი *Staphylococcus aureus*–სა და *Mycobacterium phlei*–ზრდაზე (დამთრგუნვის ზონის სიდიდეა შესაბამისად 0,5 მმ და 3,0 მმ), ხოლო საკვლევ ტესტ-აქტინომიცეტების მიმართ, კერძოდ *Mycobacterim phlei*, *Nocardiophasis dassonvillei*, *Streptosporangium album*, *Elithrosporangium brasiliense*, *Streptomyces albogriseulus subsp. Aragviensis* მიმართ, ეს ჰერბიციდი ინერტულია.

მილაგროს 0,001 გ/ლ ხსნარის კონცენტრაცია არ მოქმედებს საკვლევ ყველა ტესტ-ობიექტის განვითარებაზე,

ცხრილში 2 მოყვანილია 2,4 D-ამინის მარილის+პერფექტის გავლენა საკვლევ ტესტ-ობიექტებზე, როგორც ცხრილიდან ჩანს, კომპლექსური ჰერბიციდი 2,4 D-ამინის მარილი არ ავლენს ბიოციდურ თვისებას არც ერთი საკვლევი მიკროორგანიზმის მიმართ.

დასკვნები:

1. ჰერბიციდი მილაგრო (1 გ/ლ კონცენტრაციით) ძლიერ დამთრგუნველ გავლენას ახდენს *Bacillus subtilis*-სა და *Esherichia coli*-ს ზრდა-განვითარებაზე, საკვლევი ჰერბიციდის 0,001 გ/ლ არ ავლენს საკვლევი მიკროორგანიზმების ზრდის დამთრგუნველ თვისებას.
2. ჰერბიციდი მილაგროს იგივე კონცენტრაცია შედარებით სუსტად მოქმედებს *Staphylococcus aureus*–სა და *Mycobacterium phlei*–ზრდაზე, ხოლო საკვლევი აქტინომიცეტების მიმართ არ გააჩნია ზრდის დამთრგუნველი მოქმედების უნარი.
3. ჰერბიციდი მილაგრო გარკვეული ხარისხით წარმოდგენს საფრთხეს ნიადაგის ზოგიერთი მიკროორგანიზმის მიმართ (in vitro ცდა).
4. ჰერბიციდი 2,4–D ამინის მარილი+პერფექტი არ ავლენს საკვლევი ტესტ-ობიექტების მიმართ ბიოციდურ თვისებას და ეკოლოგიური თვალსაზრისით, ნიადაგის მიკროორგანიზმების მიმართ უსაფრთხოა.

ECOLOGY

STUDY OF BIOCIDAL PROPERTIES OF SOME HERBICIDES

IVETA KUPREISHVILI*, ZAUR LOMTATIDZE**

Sokhumi State University*, *Institute of Botany of Ilia State University*

ABSTRACT. It was studied the bactericidal and actinomycidal properties of herbicides: Milagro and 2,4 D-amine salt on some bacteria and actinomycetes. It was established that 2,4 D-amine salt does not show any inhibitory effect on the research actinomycetes and bacteria, while Milagro has only bactericidal properties.

KEYWORDS: Herbicides, Actinomytes, Bacterias, Milagro, 2,4 D Amine salt

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა.თხელიძე,რ.ლიპარტელიანი,ნ.მუმლაძე,ხ.ხომასურიძე,გ.დანელია.სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა. თბილისი, 2009, გვ.5- 18.
2. I.Khatiashvili,Z.Lomtadze.,Mikroorganizms of Alluvial-carbonate and Grano-brovn soils of east Georgia.Bull.Georg.Acad.Sci,2018,№2, pp.133-136
3. Z.Lomtadze,I.Gorozia, I.Buliskeria., Peculavites of Distribution of Oligocarbophilic and Humus Miniralizing Mikroorganizms in Alkal soils of Georgia. Bull.Georg.Acad. Sci,2010,v.№26b, pp141-144.
4. ზ.ლომთათიძე;ნ.კოტია. მიკრობიოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოდები. 2018 წ. წ.გვ.3-54, სსუ-ს ელექტრონული ბიბლიოთეკა.

მიკრობიოლოგია

ყავისფერი ტიპის ნიადაგზე გაშენებული ვაზის (ჯიში „რქაწითელი“) ბორდოს ხსნარითა და ტოპაზით შეწამვის გავლენა რიზოსფეროს მიკროფლორაზე

ბელა უბრაჰელიძე*, ჯაურ ლომთათიძე**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ილიას უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი

აბსტრაქტი: შესწავლილია ყავისფერი ტიპის ნიადაგზე გაშენებული ვაზის (ჯიში „რქაწითელი“) ბორდოს ხსნარითა და ტოპაზით შეწამვის გავლენა რიზოსფეროში მიკროორგანიზმთა ზოგიერთი ფიზიოლოგიური ჯგუფის რაოდენობრივ შემადგენლობაზე. დადგენილია, რომ შეწამვლა ცვლის რიზოსფეროში მიკროორგანიზმთა საერთო და ცალკეული ფიზიოლოგიური ჯგუფის რაოდენობრივ შემადგენლობას. რიზოსფეროს მიკროფლორაში ჩნდება დომინანტები და მცირდება გარკვეული ბიოქიმიური ტრანსფორმაციების აქტივობა.

საკვანძო სიტყვები: ვაზი, რქაწითელი, ეშბი, ჩაპეკი, CR1, რიზოსფერო, მიკროფლორა, ფიზიოლოგიური ჯგუფი, ნიადაგი ტიპი ყავისფერი

მიკროორგანიზმები ნიადაგში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესების აქტივობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. მიკროორგანიზმების მეორე განხორციელებული ტრანსფორმაციის პროდუქტები კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ვაზის ნაყოფიერებასა, ხარისხზე და ბიოქიმიურ მახასიათებელზე. ამასთან ცნობილია, რომ ნიადაგის მიკროფლორა (2,4) ძალზედ მგრძობიარეა გარემოს ფიზიკურ-ქიმიურ და იმ აგროქიმიურ ქმედებებზე, რომელიც დრო და დრო ხორციელდება ვენახებში. აქედან გამომდინარე ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ნიადაგის მიკროფლორაში მიკროორგანიზმების ცალკეული ჯგუფების ის რაოდენობრივი ცვლილებები, რომელიც სავარაუდოთ იწვევს ვაზის შეწამვლა ზოგიერთი შხამქიმიკატებით.

კვლევის ობიექტები და მეთოდები: ანალიზისთვის ნიმუშები აღებულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოს ყავისფერი ტიპის ნიადაგი (ყამირი და გაკულტურებული, კერძოდ მასზე გაშენებული ვენახი); ვაზის ჯიშის „რქაწითელი“ რიზოსფეროს მიკროფლორა; შხამქიმიკატები-ბორდოს ხსნარისა და ტოპაზის კომპლექსი; ნიადაგის ნიმუშის აღება ხორციელდებოდა კონვერტის წესით [1]. ცდებში ისაზღვრებოდა ნიადაგის ტენიანობა (მიკროორგანიზმების რაოდენობას 1 გრ მშრალ ნიადაგზე გადაანგარიშებით) და pH. მიკროორგანიზმების რაოდენობის აღრიცხვისათვის ვიყენებდით ნიადაგის ნიმუშების ათობითი განზავების მეთოდს [1]. გამოყოფილი მიკროორგანიზმების კულტივაციისათვის გამოყენებული იქნა შემდეგ საკვები არეები:

- ეშბი: ინგრედიენტები გრ /ლ. მანიტოლი-20.; K_2HPO_4 - 0.2.; $MgSO_4$ -0.2; NaCl 0.2, K_2SO_4 - 0.1; $CaCO_3$ -5.0 აგარი-15,0; მიკროორგანიზმების საკულტივაციო ტემპერატურა 25°C [2]

- ჩაპევი არე: ინგრედიენტები გრ /ლ. NaNO_3 -2, K_2HPO_4 -1; $\text{MgSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$ -0,5; გლუკოზა-20გ; აგარი-20გ; $\text{FeSO}_4 \cdot \text{H}_2\text{O}$ -კვალი [3]
- CR1: ინგრედიენტები გრ /ლ. KNO_3 -1; K_2HPO_4 -0,5 ; MgSO_4 -0,5; NaCl -0,5 ; CaCO_3 -1გ; FeSO_4 - კვალი; სახამებელი -20:., აგარი-20; [4]

ნიტრიფიკატორების[5], აქტივობის გამოსაყოფად ვიყენებით ნუტრიენტ აგარის არეს დახორც-პეპტონიან აგარს.

კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილი 1

ყავისფერი ტიპის ნიადაგის (ნიმუშის აღების ადგილი -ადმოსალეთ საქართველო, ბოლნისის შემოგარენი) მიკროფლორაში ფიზიოლოგიური ჯგუფების რაოდენობრივი შემადგენლობის ცვლილებები ბორდოს ხსნართა და ტოპაზით დამუშავების შედეგად

ცხრილი 1

ნიადაგში ნიმუში	ტიპი ყავისფერი ვაზის რიზოსფერო (შეწამლული)		ტიპი ყავისფერი ყამირი	
pH	7.1		6.93	
ტენიანობა	30%		20%	
ფიზიოლოგიური ჯგუფები	რაოდენობა ⁸	პროცენტული წილი	რაოდენობა ⁸	პროცენტული წილი
საპროფიტები	28571428	13,5%	1125000000	60.4%
მიკროსკოპული სოკოები	11428571	5.4%	35000000	1.87%
აქტივობის ცენტები	428571	0,21%	10000000	0,53%
ამილოლიტური ბაქტერიები	2571428	1,2%	55000000	2,95%
ნიტრიფიკატორები	74285714	35,1 %	87500000	4.69%
ამონიფიკატორები	85741285	40.5%	400000000	21,4%
აზოტმაფიქსირებლები	8571428	4%	150000000	8%
მიკრობთა საერთო რაოდენობა	211598425		1862500000	

კვლევის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ვაზის ბორდოს ხსნართა და ტოპაზით დამუშავების შედეგად, მკვეთრად მცირდება საკვლევი ნიადაგში მიკროორგანიზმთა საერთო რაოდენობა; მათი რიცხვი, შეწამვლის შედეგად, დავიდა 211598425-მდე, მაშინ როდესაც ამავე ტიპის ყამირ ნიადაგში მათი რაოდენობა ითვლის 1862500000 ერთეულს; შეცვლია ცალკეული ფიზიოლოგიური ჯგუფის რაოდენობრივი შემადგენლობაც, კერძოდ ვაზის შეწამვლის შედეგად რიზოსფეროში შემცირებულია საპროფიტების რაოდენობა 60,4 -დან 13.5%-მდე, აქტივობის ცენტების 0,53-დან- 0,21%-მდე; ამილოლიტური ბაქტერიების-2,95-დან 1,2%-მდე, აზოტმაფიქსირებელი მიკროორგანიზმების-8.0-დან 4,0%-მდე , ხოლო გაზრდილია სოკოების რაოდენობა 1,87-დან 5,4%-მდე, ნიტრიფიკატორების -4,69დან -35,1%-მდე; ამონიფიკატორების 214-დან 40,5%მდე.

ბელა უბრაჰელიძე, ჯაურ ლომთათიძე

საკვლევ ნიადაგში მიკროორგანიზმების ცალკეული ფიზიოლოგიური ჯგუფების რაოდენობრივი ცვლილებები ცვლიან ნიადაგში მათ მიერ გამოწვეული ბიოქიმიური რეაქციების მიმდინარეობის ინტენსივობებს, კერძოდ, საპროფიტები, რომლებიც ყამირ ნიადაგში წარმოადგენდნენ მიკროორგანიზმთა პოპულაციაში დომინანტებს, ვაზის რიზოსფეროში, მისი შეწამვლის შედეგად, მათი რაოდენობა შესამჩნევად შემცირებულია, შედეგად შემცირებულია მცენარეული და ცხოველური ნაშთების ტრანსფორმაციის ინტენსივობაც; მიკროსკოპული სოკოების, ნიტრიფიკატორების და ამონიფიკატორების მომრავლება, ყამირი ნიადაგთან შედარებით, მოწმობს სპირტული დუდილის, ნიტრიფიკაციისა და ამონიფიკაციის პროცესების გააქტიურებას, რასაც თან ხშირად ახლავს ნიადაგის აზოტის ბმული ფორმების დაკარგვა, საბოლოოდ ნიადაგიდან ინტენსიურად გამოიყოფა ნახშირბადის და აზოტის ოქსიდები - ატმოსფეროს ინტენსიური დამბიძურებლები [3].

დასკვნები:

1. ვაზის შეწამვლა ბორდოს ხსნართა და ტოპაზით, ცვლის მის რიზოსფეროში მიკროორგანიზმთა რაოდენობას. რიზოსფეროში საგრძნობლად შემცირებულია მიკროორგანიზმთა საერთო რაოდენობა.
2. ვაზის რიზოსფეროში შემცირებულია საპროფიტების და გაზრდილია ნიტრიფიკატორების და ამონიფიკატორების რაოდენობა, რაც მოწმობს დენიტრიფიკაციის და ამონიფიკაციის პროცესების გააქტიურებას ნიადაგში.
3. ყავისფერ(ყამირი) ტიპის ნიადაგში აზოტმაფიქსირებლების რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება იმავე ტიპის ნიადაგზე გაშენებული ვაზის ჯიში „რქაწითელის“ რიზოსფეროს აზოტმაფიქსირებელი მიკროორგანიზმების რიცხვს.

MICROBIOLOGY

VINE VARIETY CULTIVATED ON BROWN-TYPE SOIL, THE INFLUENCE OF "RKATSITELI" BORDEAUX SOLUTION AND TOPAZ POISONING ON THE MICROFLORA OF THE RHIZOME

*B.UGREKHELIDZE, ** Z.LOMTATIDZE

***Sokhumi State University*

***Iliia University Institute of Botany*

ABSTRACT: The study investigates the impact of spraying Bordeaux mixture and Topaz on the quantitative composition of various physiological groups of microorganisms in the rhizosphere of the grapevine cultivar "Rkatsiteli", cultivated on brown soil. It was determined that spraying alters the overall and group-specific quantitative composition of microorganisms in the rhizosphere. Dominant microbial populations emerge in the rhizosphere microflora, accompanied by an increase in the activity of specific biochemical transformations.

KEYWORDS: vine, Rkatsiteli, Chapek, CR1, rhizosphere, microflora, physiological group, soil type brown

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ.ლომთათიძე, ნ. კოტია. მიკრობიოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოდები.2018 წ. სს-ს ელექტრონული ბიბლიოთეკა
2. ქ.მამულაშვილი, თ.შიუკაშვილი. ორგანული აზოტის მინერალიზაციის პროცესში მონაწილე ზოგიერთი ამონიფიკატორი მიკროორგანიზმების გავრცელება კოდორის ხეობისმჟავე-ყომრალის ტიპის ნიადაგში. ჟ. მიკრობიოლოგია და ბიოტექნოლოგია, 2009,ტ.№1,გვ.75-80
3. Soil Microbiology, Ekology and Biochemstry. Third Edition. Editor Eldor A.Paul,2007, Amsterdam, Boston.et.al. Academic Press is in imprint of Elsevir
4. Z.Lomtadidze, T.Shiukashvili, K.Mamulashvili, N.Ramishvili. The Microflora of Kvemo (Kazbegi) Mountain, Forest and Valley Soils. Bull.of The Georgian Acad. of Sciences, 2007, 166, №3, p.p. 588-590

ისტორია

აჭარის საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის 50-70-იან წლებში

ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ.ფოსტა: otar.gogolishvili@bsu.edu.ge

აბსტრაქტი: XIX საუკუნის 50-იან წლებში აჭარა ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ იყო. ცხადია, იმპერიის კანონმდებლობის ყველა ფორმა აქტიური იყო.

ოსმალეთის კანონმდებლობის სრული ბატონობა თანზიმათის უზენაესობას უკავშირდებოდა. თანზიმათის პოლიტიკის მიხედვით აჭარის მოსახლეობა საერთო წესებით იმართებოდა. აჭარაში უძველესი დროიდან არსებული თავისუფლების სავალალო წერტილი საფუძვლიანად გაუქმდა. ხალხის წინააღმდეგობის მიუხედავად ადგილობრივი დიდებულები ეხმარებოდნენ თურქებს თავიანთი პოლიტიკის წარმართვაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში. გიორგი ყაზბეგი აღნიშნავდა: „ყველა შემდგომი გადასახადი ასე დაწესდა, თუმცა თურქეთის მთავრობამ, თითქოს დაივიწყა თანზიმათის სიტყვები, ახლა გაიხსენა, რომ „ყველა ქვეშევრდომი ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი საერთო წესის მიხედვით“ და „სახელმწიფო არის მთელი მიწის მფლობელი“.

საკვანძო სიტყვები: აჭარა, ოსმალეთის იმპერია, თანზიმათი

XIX საუკუნის 50-იან წლებში აჭარა კვლავ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ცხადია, აჭარაში მოქმედებდა ოსმალეთის იმპერიის კანონმდებლობის ყველა ფორმა.

ოსმალეთის კანონმდებლობის სრული გაბატონება აჭარაში დაკავშირებულია თანზიმათის გაბატონებასთან. თანზიმათის პოლიტიკით აჭარის მოსახლეობა გაუთანაბრეს იმპერიის საერთო წესებს. აჭარაში საბოლოოდ მოისპო ელემენტარული თავისუფლების ის მცირე ნაწილიც რომლითაც აქაური მოსახლეობა ოდითგანვე სარგებლობდა. მიუხედავად ხალხის წინააღმდეგობისა, XIX საუკუნის პირველ ნახევარში წარჩინებული პირები დიდ დახმარებას უწევდნენ თურქებს საკუთარი პოლიტიკის გატარებაში. როგორც გიორგი ყაზბეგი მიუთითებდა, „ყველა შემდგომი გადასახადი ამავე გზით შემოიღეს აჭარაში“ (ყაზბეგი, 1955, 63). თუმცა, თურქეთის მთავრობამ, რომელსაც აქამდე თითქმის დავიწყებული ჰქონდა თანზიმათის სიტყვები, ახლა გაიხსენა, რომ „თურქეთის ყველა ქვეშევრდომი ვალდებულია იხადოს გადასახადი ერთიანი წესით“ და, რომ „სახელმწიფოში მიწა ეკუთვნის სახელმწიფოს“ (იქვე)

თურქეთში გატარებულმა რეფორმებმა აჭარაში ძირეული ცვლილებები გამოიწვია, რამაც განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა აჭარის გლეხობაზე. გაუარესდა მისი ეკონომიკური მდგომარეობა. ცნობილი მკვლევარი ა.სურგულაძე თავის დროზე მიუთითებდა, რომ ოსმალეთის პოლიტიკა XIX საუკუნის მეორე ნახევარში გულისხმობდა „...არაოსმალური პროვინციების გაოსმალების ადრე დაწყებული პროცესის დასრულებას და იქ შემოდებული ოსმალური ინსტიტუტებისა და წესების საბოლოო განმტკიცებას“ (სურგულაძე, 1978, 31).

1862 წლის ამოსვლა თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ ეკონომიკური მოთხოვნებით შემოიფარგლებოდა. მთავრობა ვერ ახერხებდა ხალხის ეკონომიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობასა და მთავრობას შორის პოლიტიკური ურთიერთობების გამწვავებას იწვევდა.

აჭარის მოსახლეობის ზედა ფენამ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი არაოფიციალური ურთიერთობა ქართველ თავადაზნაურობასთან. ამ მისვლა-მოსვლაში ცოცხლობდა ქართული სულის კვეთება, რომლებიც ემთხვეოდა რუსეთის პოლიტიკურ მიზნებსაც. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ გენერალი გრიგოლ გურიელი, რომელიც ხშირად ჩადიოდა აჭარაში, ტაოკლარჯეთს და შავშეთში. რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის დროს თურქეთის საქართველოს ქართველი წარჩინებულები უყოყმანოდ დადგნენ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მხარეზე. საერთოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, მოწინავე პირები ეროვნულ ნიადაგზე იდგნენ. ამათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა აბაშიძეების ვრცელი ოჯახი, რომლებიც ბათუმის სანჯაყ ბეგები იყვნენ. ამის დამადასტურებელია ზაქარია ჭიჭინაძის ის უკანასკნელი სიტყვა, რომელიც მან სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა წარმოთქვა და რომლის მოწმე იოსებ იმედაშვილი ყოფილა: „ჩემო იოსებ, სხვა რა გითხრა?! არ დაგავიწყდეს აჭარელ აბაშიძეებს უთხარი, საქართველოს ერთგულნი იყვნენ. საითაც აბაშიძენი იქნებიან, სხვანიც იქით..“ (იმედაშვილი, 1978, 298-299).

აჭარის წარჩინებულ პირთა შორის თანზმათის გატარების შემდეგ უფრო გამოიკვეთა ისეთი პოლიტიკური ორიენტაცია, რომლის მიზანი იყო აჭარის დაბრუნება დედა საქართველოსთან. რუსეთთან ურთიერთობაში ისინი ყოველთვის ითხოვდნენ იმის გარანტიებს, რომ აჭარაში დაცული იქნებოდა ენის, რჯულის ადათ-წესების ხელშეუხებლობა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარა, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, იმ დროისთვის ორი დიდი სახელმწიფოს ინტერესების სფეროში მოექცა. ესენი იყვნენ რუსეთი, რომელიც უკვე კარგა ხნის დამკვიდრებული იყო საქართველოში (ჯერ აღმოსავლეთი საქართველო დაიპყრო, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები) და თურქეთი.

თურქეთს რუსეთთან შედარებით სამუსლიმანო საქართველოში უფრო მტკიცე პოზიციები ჰქონდა. ეს, პირველ რიგში, ისლამის რელიგია იყო. სარწმუნოების დანერგვას, ბუნებრივია, თან მოჰყვა ამ სარწმუნოებიდან გამომდინარე ადათ-წესების ჩამოყალიბება. მათ ცხოვრებაში, შეგნებაში გარკვეულად განმტკიცდა თურქული კანონმდებლობა. ვინაიდან ისინი ცხოვრობდნენ თურქეთის სახელმწიფოს კანონის მიხედვით, ამიტომ რუსეთთან ურთიერთობის დამყარების თვალსაზრისით სერიოზული სიძნელები არსებობდა. თურქეთისთვის გაცილებით უფრო ადვილი იყო რელიგიური მოტივით რუსეთის წინააღმდეგ განეწყობოთ მუსულმანური მოსახლეობა, მათ შორის, მუსლიმანი ქართველებიც.

ამავე დროს, თურქეთმა შეძლო ზოგიერთი ქართული მუსლიმანური რეგიონის ეთნიკური აჭრელება. მაგალითად, თავის დროზე თურქეთმა მესხეთ-ჯავახეთში ჩაასახლა თურქმანულ-ქართული ტომების წარმომადგენლები, რომლებიც, ცხადია, თურქეთის ბუნებრივი მოკავშირეები იყვნენ.

თავის მხრივ, რუსეთსაც ჰქონდა წარმატების გარკვეული შანსი. აქაური ქართველი მუსლიმანები გარეგნობით, ენით, ბევრი ადათ-წესით წმინდა ქართველები იყვნენ, ბევრ მათგანს კი ნათესაობაც გააჩნდა ქართველ ქრისტიანებთან. მათ მეხსიერებას შემონახული ჰქონდა ის უძველესი ნათესაური კავშირი, რომლებიც ოდითგანვე მათ შორის არსებობდა. ასევე, ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების დაახლოვების საქმეში დიდ როლს ასრულებდა

ოთარ გოგოლიშვილი

ვაჭრობა. მაგალითად, გურიაში, ნაგომარის ცნობილ ბაზრობაზე აჭარის მოსახლეობა მასიურად იყრიდა თავს. ამავე დროს, აჭარლებს შესანიშნავად ჰქონდათ გააზრებული საკუთარი ეროვნული მეობა და ეთნიკური კუთვნილება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (50-70-იანი წლები) აჭარაში ფსიქოლოგიური განწყობა გარკვეულწილად ქართული იყო. ადგილობრივ მცხოვრებლებში არ იყო გამქრალი იდეა ერთიანი საქართველოსი და ისინიც, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ერთიანი საქართველოსკენ მიისწრაფოდნენ.

1879 წელს გ. წერეთელი გაზეთ „დროების“ ფურცლებზე წერდა: „მე ხშირად დავდიოდი ქობულეთში და ბათუმშიც. იქ ვხედავდი ბეგებს, უფროს კაცებს, სიტყვა-პასუხით, ყოფაცქევით, ზრდილობით, კეთილი გულით, პურ-მარილით ნამდვილ ქართველებს. ჩემს დანახვაზე იმათ მოდერებულ სახეს სინათლე გადაჰკრავდა ხოლმე. მე ვიყავი ქრისტიანი, ისინი - მაჰმადიანები, მაგრამ ჩვენ მაინც ნათესაობისა და ტომების სისხლს ვგრძნობდით...“ („დროება“, 1879, № 24).

შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისთვის გაზეთი „დროება“ ერთადერთი ქართული გაზეთი იყო, რომელიც აჭარის პრობლემატიკას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. ეს, უდავოდ, მისი რედაქტორის სერგეი მესხის დიდი დამსახურება იყო. სერგეი მესხი წერდა: „ერთი სიტყვით, ოსმალს საქართველოს ხალხს ჯერ კიდევ ისევ ქართველი ხალხის ხასიათი აქვს, ქართველი ხალხის სული უდგია. სახე ნამდვილი ქართველისა აქვთ, ჩვეულება და ცხოვრება საქართველოსი, ხალხი, თუმცა დიდი ხანია გამაჰმადიანებულია“ („დროება“, 1875, № 75).

ამავე გაზეთში სერგეი მესხი ქართველ ინტელიგენციას იმასაც საყვედურობდა, რომ „დიდი ხანია მას აქვთ, რაც ჩვე ნყოველი კავშირი გაეწყვიტეთ ოსმალს საქართველოსთან, ახალ ქართულს ლიტერატურაში ორი სიტყვაც არ თქმულა იმათზე“ („დროება“, 1875, № 76).

უმთავრესი მიზეზი, რაც აჭარის მოსახლეობის სულიერ გაერთიანებას საქართველოს დანარჩენ ნაწილთან სერიოზულად უშლიდა ხელს, ისლამის რელიგია იყო.

ამ პრობლემას თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ ამჩნევდა, მაგრამ მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მან იცოდა, რომ სარწმუნოებრივ საწყისს მაინც დასძლევდა ქართველობის გენი და ქართველთა ერთიანობის წყურვილი. იგი წერდა: „არ გვაშინებს... ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალს საქართველოში მცხოვრებთა დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმობთ და ქართველი, ჩვენ სასიქადულოდ კიდევ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ხნის განშორებულ ძმას ძმურადვე შეითვისებს“ (ჭავჭავაძე, 1941, 312).

აჭარის მოსახლეობის პოლიტიკური განწყობილების ერთერთი საინტერესო მაგალითია დიდი ქართველი მწერლისა და მოღვაწის გრიგოლ ორბელიანის წერილი გენერალ ივანე დიმიტრის ძე ოკლობაძისადმი. „ოსმალთა 300 წლის მფლობელობამაც კი მაგრად ვერ მოიკიდა ფეხი და მხოლოდ ახლა აღიარებენ მცირედად მას ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებიც სრულიად დამოუკიდებლად ცხოვრობენ თავიანთთვის და არ შეჰრევია ოსმალთ, თუმცა მაჰმადიანობა ძალით იყო ოდესღაც მათ შორის გავრცელებული. მაინც იყო დრო, როდესაც თავიანთის ნებით უნდოდათ ჩვენი მთავრობის მმართველობის ქვეშ, საქართველოსთან შემოერთება“ (მეუნარგია, 1941, 120).

მე-19 საუკუნის 50-იან წლებში აჭარაში ხშირი იყო შეიარაღებული გამოსვლები ოსმალეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. სერგეი მესხი თავის წერილში წერდა: „ქობულეთში ოსმალს ქართველების აჯანყება, როგორ მოგწონს, აი, იქნება გაწყრეს ღმერთი და რამე გამოვიდეს.

მალიან სანატრელია, რომ ოსმალთა დაწიოკონ" (მესხი, 1964, 42).

გაზეთ „დროების“ ცნობით, „ამჟამად ქობულეთის ხალხში შფოთი, ღელვა და განხეთქილება უმეტესად გაძლიერდა“ („დროება“, 1876, № 75).

მიუხედავად ხელისუფლების უმკაცრესი დამოკიდებულებისა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, აჭარას მაინც არ გაუწყვეტია კავშირი დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან.

1877 წელს გაზ. „ივერია“ წერდა: „გურია-ქობულეთს ერთმანეთში დიდი მიმოსვლა აქვს. საზღვრის ახლოს მდებარე სოფლების ქორწილსა და ქელესს ისე არ გადაიხდიან, რომ ერთმანეთი არ მიიწვიონ, ერთი სიტყვით, ჭირში და ლხინში ერთობა აქვთ“ („ივერია“ 1877, № 129).

საქართველოში მოქმედი რუსული ადმინისტრაცია, რუსთ-თურქეთის ახალი ომის დაწყების წინ, დიდ მნიშვნელობა ანიჭებდა იმისა, თუ რა პოზიციას დაიკავებდა აჭარის მოსახლეობა რუსეთის მიმართ. კერძოდ, რა პოლიტიკური ორიენტაცია შეუმუშავდებოდა აჭარელ ხალხს ამ მომავალი ომისათვის შექმნილ სიტუაციაში.

შემონახულია გენერალ კომაროვის წერილი გენერალ სვიატოპოლკ-მირსკისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „ჩვენს მიერ ბათუმის დაკავებისა და სათანადო ღონისძიებების გატარების შემდეგ, აჭარლები და ქობულეთელები ჩვენს წინააღმდეგ არ იმოქმედებენ“ (მეგრელიძე, 1963, 116).

პოლიტიკურმა დაძაბულობამ და აჭარაში ანტი თურქულმა განწყობილებამ ზენიტს 1875-1876 წლებში მიაღწია. ფაქტობრივად, აჭარაში რუსეთის სასარგებლო პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა. საერთოდ, აჭარაში მძლავრდებოდა ქართული ცნობიერება და ეს ნიადაგს ამზადებდა, რათა განხორციელებულიყო უძველესი ოცნება აჭარის საქართველოსთან შეერთებისა.

ქართველი მოღვაწეები, რომლებიც მოგზაურობდნენ ოსმალეთის საქართველოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ აჭარის მოსახლეობაში. მაგალითად, ივანე კერესელიძე, გიორგი ყაზბეგი, დიმიტრი ბაქრაძე, პეტრე უმიკაშვილი, გიორგი წერეთელი და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გენერალ გურიელის მოღვაწეობას, რომელიც კარგად იცნობდა მთელ აჭარასა და სამხრეთ საქართველოს. იგი, ასევე, უახლოესი ნათესავი იყო აჭარის წარჩინებული გვარეულობებისა და მის სიტყვას დიდი მნიშვნელობა და მხარდაჭერა ჰქონდა აჭარელი მამულიშვილობისგან.

თურქთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების საქმეს სათავეში ჩაუდგა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, რომელიც ცნობილი სელიმ ფაშას მკვიდრი შვილიშვილი იყო.

პირველი ცნობა ქართულ საზოგადოებაში შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის შესახებ გაავრცელა ქართველმა მოღვაწემ ივანე კერესელიძემ. ამ ცნობაში მოყვანილი ფაქტები აშკარად მეტყველებენ იმ პოლიტიკურ ორიენტაციაზე, რომელიც შერიფ ხიმშიაშვილს გააჩნდა და, ბუნებრივია, იმ დროინდელი აჭარისა და სამხრეთ საქართველოს ქართველების აზრს გამოხატავდა. ივანე კერესელიძის ინფორმაცია მოყვანილი აქვს ზაქარია ჭიჭინაძეს თავის წიგნში - „ისტორია ყ ოსმალების ყოფილი მუსლიმანი ქართველებისა“ (ჭიჭინაძე, 1911, 229-239)

როგორც საქართველოს ისტორიის ნარკვევებშია აღნიშნული: „ბათუმის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის ბეგების მიერ დაკავებულ პოზიციას. მათ შორის ყველაზე ძლიერი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი მტკიცედ ადგა რუსეთის ორიენტაციას და აჭარის საქართველოსთან შეერთების გზას“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970, 447-448).

რუსეთი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა შერიფ ბეგის კეთილი განწყობა დაემსახურებინა. 1876 წელს აზრუნში მყოფი რუსეთის კონსული კონსტანტინეპოლში რუსეთის

ოთარ გოგოლიშვილი

საელჩოს წერდა: „შერიფ ბეგმა შეიძლება ჩვენ ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწიოს უახლოეს დროში“ (მეგრელიძე, 1963, 119).

შერიფ ბეგი რუსეთის სარდლობისაგან მოითხოვდა დაეჩქარებინა აჭარაში შემოსვლა. საერთოდ, რუსეთის სარდლობა დარწმუნებული იყო იმაში, რომ შერიფ ბეგი ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა იყო მთელ აჭარაში, რომელსაც შეეძლო გამოეყვანა რამდენიმე ათასი კაცი ოსმალეთის წინააღმდეგ.

აჭარის რუსეთთან შეერთების საქმეში შერიფ ხიმშიაშვილ დიდი ღვაწლი მიუძღვის. მან ძალა და ენერჯია არ დაიშურა ამ მიზნის მისაღწევად. ქართველმა ხალხმა მისი ღვაწლი დიდად დააფასა. ჯერ კიდევ 1915 წელს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ წერდა: „მისი ღვაწლი აჭარელ-ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებაში დაუვიწყარია... შერიფ-ბეგის სახელი მუდამ იქნებოდა დიდებით მოსილი. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოს ერთიანობას შესწირა („თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 26).

შერიფ ხიმშიაშვილი ქართველთა ერთიანობის პოზიციას იცავდა. ის მიუთითებდა: „მუდამ ვცდილობდი ჩემი თავის და ჩემთან მოძმეთა გამოხსნას ჩემი ქვეყნითურთ ოსმალთა ხელიდან... როდესაც ჩვენ ძმებთან, ქართველებთან, შევერთდით, ღამის უკუნეთი ბნელი ბრწყინვალე დღედ გადამექცა, სიმწუხარე სიხარულად და ჭირი ლხინად შეიცვალა... ვერასოდეს ვერ დავივიწყებ მე ჩემს დღეს ქართველთა მოკეთეობას, კაცთმოყვარეობას და მიღებულებას. ღმერთმა ქნას, მოსალოდნელი კეთილშობილური მოქმედება, შეერთებულიყოს მტკიცედ, ძმურად და დაშორებულ ძმებთან სულითა და გულით და ყოველივე კეთილგანწყობითა“ „საქართველო“ 1917, № 142).

შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის პოლიტიკური კრედოს გასაგებად ძალზე საინტერესოა მისი წერილი, რომელიც 1879წ ნოემბერში გამოაქვეყნა გაზეთმა „დროება“. ეს ტექსტი-„გულწრფელი აღსარება“ სრულად მოიყვანე თედო სახოკიამ თავის წიგნში „მოგზაურობანი“ (სახოკია, 1950, 156-157).

ამ წერილში ნათლად ჩანს ქართველი პატრიოტის სახე, რომელიც ოსმალთა სახელმწიფოს ქვეშევრდომი იყო, ცხოვრებაც მატერიალურად უზრუნველყოფილი ჰქონდა, მაგრამ მის ცნობიერებაში იდო ის ერთიანი ქართული განწყობილება, რომელიც, საბოლოო ჯამში, ძველი საქართველოს დიდების აღდგენაზე ოცნებობდა.

შერიფ ბეგის ზეგავლენით რუსეთის მხარეზე უყოყმანოდ გადავიდა ნური ბეგ ხიმშიაშვილი, რომელიც შავშეთში მოღვაწეობდა. იგი იზიარებდა შერიფ ბეგის პოლიტიკურ იდეებს- საქართველოს ძველი ერთიანობის აღდგენა, სამუსლიმანო საქართველოს თურქებისაგან გათავისუფლება და საქართველოსთან საბოლოო შეერთება.

აჭარას არასდროს დავიწყებია თავისი წარსული. აქ ლაპარაკია არა წარჩინებული ოჯახების შესახებ, რომლებმაც შესანიშნავად იცოდნენ საკუთარი წარმოშობა, არამედ ლაპარაკია უბრალო ხალხის შესახებაც, რომელთაც ძალიან კარგად იცოდნენ, რომ იყვნენ „გურჯები“ და ლაპარაკობდნენ საკუთარ, „გურჯების“ ენაზე. ამიტომ მათში არაცნობიერად არსებობდა მისწრაფება საქართველოსკენ.

აჭარაში მცხოვრებ იმ დიდ ქართველ პატრიოტთა პლეადას, რომლებიც აქ ოსმალეთის დროიდან მოღვაწეობდნენ, უდავოდ ამშვენებ დიდებული პიროვნების, ქართული პოლიტიკური ორიენტაციის ადამიანის ალა კაიკაციშვილის სახელი.

გულო ალა კაიკაციშვილი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის იბრძოდა. იბრძოდა იმისათვის, რომ აჭარაში არ გამქრალიყო ქართული ეროვნული სული.

გულო ალა კაიკაციშვილი, ჯერ კიდევ ოსმალეთის ბატონობის პერიოდში, იყო გაზეთების „ივერიის“ და „დროების“ კორესპოდენტი. იგი სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს აჭარის და ქობულეთის ცხოვრებაზე, განსაკუთრებით ხშირ კორესპონდენციებს აგზავნიდა ქართულ გაზეთებში, როცა აჭარაში მასიური მუჰაჯირობა დაიწყო. მუჰაჯირობა ქართველი ხალხის უდიდესი ტრაგედია იყო. იგი სოფელ-სოფელ დადიოდა და ხალხში მუჰაჯირობის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა.

გულო ალას წერილებმა ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაინტერესა ქართველი საზოგადოება აჭარაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით. გაზეთ „ივერიაში“ (1879, №2) გამოქვეყნდა წერილი, სადაც აღნიშნულია: „...ქართველობავ, ნუ იქ მაქ სამარცხვინო საქმეს, ხელი გაუწოდე შენს დებსა და ძმებს, რომლებიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ. შევეწივნოთ, რითაც შეგვიძლიან: ფულით, საქმლით, საცმლით, ხორაგით. ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთ-მოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობით მოვალეობა ძმისა ძმის წინაშე ... აქ უკან დახევა სირცხვილია ყველასათვის. ამ ძმობამ ჩვენთვის ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანის. ღარიბნი ვართო, ვიძახით, მაგრამ ამ ქვეყანაზე მარტო ღარიბმა იცის რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირვებაში...“

ამ სიტყვების ავტორია დიდი ილია ჭავჭავაძე, ხოლო გულო ალა კაიკაციშვილის უდიდესი დამსახურებაა, რომ მთელმა მოწინავე ქართველობამ ყურადღება აჭარის მაშინდელ მდგომარეობაზე გადაიტანა, მთელმა საქართველომ აჭარას გაუმართა ხელი. უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად საქართველოს თანადგომამ დიდი რწმენა ჩამოუყალიბა აჭარლებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც მუჰაჯირად იყო გამზადებული. ისინი სამშობლოში დარჩნენ და ძირძველი ქართული მიწა აოხრებას, უცხო ტომთა ჩამოსახლებას გადაურჩა.

გულო ალას უმთავრესი თვალსაზრისი, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ერთმანეთთან დაახლოვება, ასეთი იყო: მაჰმადიან ქართველებში უნდა გავრცელებულიყო განათლება, გახსნილიყო ქართული სკოლები, აღორძინებულიყო ქართული მწიგნობრობა, დაარსებულიყო ქართული თეატრი და ა.შ. თავისი შვილის ხსოვნის აღსანიშნავად, ქობულეთის ქართულ სკოლას მიწის ნაკვეთი შესწირა.

ასევე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურას იმ დროისთვის აჭარაში წარმოადგენდა ხუსეინ ბეგ ბეჟანიძე. ბეჟანიძეები ქართული თავადაზნაურობის ერთ-ერთ ძველ გვარს მიეკითვნებოდა. მათი ძველი სამოსახლო იყო ქედა, სოფ. ზენდიდი, სადაც ბეჟანიძეთა საგვარეულო ციხე იდგა.

ცნობები ხუსეინ ბეგის შესახებ დაგვიტოვა სერგეი მესხმა. გაზ. „დროების“ ერთ-ერთ კორესპონდენციაში იგი აღნიშნავდა: „ ჩაქვში დაგვიხდა ჩვენ ჩაქვის ბეგი ხუსეინ ბეგ ბაჟანოლი, ან ბეჟანიშვილი (იგივე ბეჟანიძე), თავისი ამალით და დეპუტაციით. ეს ხუსეინ ბეგი ძალიან გავლენიანი კაცია თავის ყაზაში. ყოველგვარ გაჭირვებაში მთელი აქაური ხალხი იმას დაეკითხება ხოლმე, იმას ჰკითხავს რჩევასა და დარიგებას. იმის წყალობით ჩაქვის მაზრიდან ძალიან ცოტა გადასახლდნენ ახლა. ხალხი ხედავდა, რომ იმათი ალა არსად მიდის და თვითონაც არ მოუცვლიათ ფეხი“ („დროება“, 1878, № 185, 14.IX).

მისმა ავტორიტეტმა დიდი როლი შეასრულა აჭარის დედა საქართველოსთან გაერთიანების საქმეში.

დიდი როლი XIX საუკუნის 50-70-იან წლების აჭარის პოლიტიკური აზროვნების ფორმირებაში აბაშიძეების სახელ განთქმულმა ოჯახმა შეასრულა. მათი ორიენტაცია ქართული იყო ჯერ კიდევ ოსმალეთის დროიდან.

აბაშიძეების ქართული ორიენტაციისა და პოლიტიკური სულისკვეთების გამომხატველია ის

ოთარ გოგოლიშვილი

ფაქტი, რომ მათ პირველმა დაუჭირეს მხარი ბათუმში ქართული სკოლის გახსნას. სწორედ მათი ინიციატივით გამოჩნდნენ ამ სკოლაში ქართველ მაჰმადიანთა შვილები. საინტერესოა იბრაიმ აბაშიძის წერილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე.

წერილში ხაზფასმულია: „ჩვენ ძმები ვართ, ისტორიული უკუღმართობით თურქეთის ხელში ჩავარდნილი და ახლა გამოხსნილი. ჩვენ წინათ გვექონდა საკუთარი სკოლა. იგი დაანგრეს და ვიღაც ჩინოვნიკმა ხელი მოითხო. მიწის ფართობის დაბრუნებას ვეცადე, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ამ საქმის დაბოლოება თქვენ უფრო შეგიძლიათ. ჩემი წერილი არ ჩაითვლება კერძო წერილად, არამედ იგი შეიცავს მთელი ბათუმის მაჰმადიანი ქართველების აზრსა და შეხედულებას“ (ნიორაძე, 1950, 40).

ასევე, მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურას იმდროინდელ აჭარაში წარმოადგენდა ხასან ბეგ ბეჟანიძე, რომელიც ხუსეინ ბეგის ძმისშვილი იყო. მის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის სერგეი მესხი: „ხასან ბეგ ბეჟანოღლი (ბეჟანიძე) ჩაქვის მებატონეა... ქართულს ისე კარგად ლაპარაკობს, როგორც საზოგადოდ ყველა აქაური გამაჰმადიანებული ქართველები.

მაგრამ მიდრეკილებით, ხასიათით, ჩვეულებით, გონებითა და გულით ნამდვილი მაჰმადიანია, მეტიც არის, ფანატიკოსია თავის სარწმუნოებაში“ („დროება“, 1878, № 175, 176, 177, 178, 181, 184).

ხასან ბეგის მოსაზრება გვარწმუნებს, რომ ისლამი იმ დროისთვის, არა მარტო რელიგიას, არამედ პოლიტიკურ ფენომენსაც წარმოადგენდა. ისლამი ხშირად განსაზღვრავდა მისი მიმდევრების, განსაკუთრებით, რელიგიური ფანატიკოსების პოლიტიკურ ორიენტაციასაც.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ცნობილი პიროვნება იყო პატრიოტული განწყობით გამორჩეული მემედ ყურშუმის ძე ჭყონია.

სერგეი მესხი მემედ ჭყონიას შესახებ წერდა: „თავისი დროის მოწინავე და ჰუმანურ პიროვნებად ითვლებოდა მემედ ჭყონია ქობულეთის რაიონის ფარგლებს გარეთაც. მასთან საუბარში დაგრჩებოდა ღრმა რწმენა მის სუფთა ქართველობაში, რომელსაც როგორც სიტყვიერ საუბარში, ასევე ლექსებშიც ამჟღავნებდა“ (ახვლედიანი, 1972, გვ. 55-56).

აჭარის განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისგან ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნების განხორციელება იყო და იგი საერთო ზეიმიტაც აღინიშნა.

აჭარის მოწინავე პირები ყოველთვის გრძნობდნენ ქართველი ქრისტიანი ძმების დახმარებას, რისთვისაც არაერთი მადლობა გამოუთქვამთ. დედა საქართველოსთან შეერთების შემდეგ აჭარაში მიმდინარეობდა ისეთი პოლიტიკური და სოციალური პროცესები, რომლებიც ხელს უწყობდა აჭარა-საქართველოს, მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების სულიერ ერთობა.

ამ პროცესმა განაპირობა ის, რომ აჭარაში წამოვიდა სახელოვან მამულიშვილთა თაობა, რომლებმაც საბოლოო სიტყვა თქვეს ქრისტიან ქართველებთან მიმართებაში და მედგრად ააფრიალეს ილია ჭავჭავაძის დროშა.

მოყვანილი მაგალითებით საბუთდება, რომ აჭარაში, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, სარწმუნოებრივი განსხვავებისა და ოსმალეთის მხრიდან სასტიკი ზეწოლისა, მოწინავე საზოგადოება ყოველთვის ოცნებობდა საქართველოსთან გაერთიანებაზე.

*HISTORY***THE PROBLEM OF UNITY OF GEORGIANS AND PUBLIC
OPINION OF ADJARA IN THE 50-70S OF THE XIX CENTURY**

OTAR GOGOLISHVILI

*e-mail: otar.gogolishvili@bsu.edu.ge**Batumi Shota Rustaveli State University*

ABSTRACT: In the 50s of the XIX century Adjara was still under the rule of the Ottoman Empire. Obviously, the all forms of the Empire legislation were active.

The complete domination of the Ottoman legislation was connected with the supremacy of Tanzimat. According to the Tanzimat policy the population of Adjara was governed by the common rules. The miserable point of freedom existing in Adjara since the ancient times was thoroughly abolished. In spite of the resistance of the people the local nobles assisted the Turkish to lead their policy in the first half of the XIX century. Giorgi Kazbegi denoted: "All the further taxes were established in the same way, though, the Turkish government, as if having forgotten the Words of Tanzimat, now have remembered, that "all the subordinates are obliged to pay the taxes according to the general rule" and "the state is the owner of all land".

KEYWORDS: Adjara, Ottoman Empire, Tazimat

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთ საქართველოში, ბათუმი 1955.
2. ა.სურგულაძე, განმანათვისებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში, 1978.
3. ი.იმედაშვილი, ჩემი ცხოვრების წიგნი, თბილისი, 1978.
4. ი.ჭავჭავაძე, თხუზულებათა რული კრებული, თბილისი, 1955.
5. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, თბილისი 1941.
6. ს.მესხი, თხუზულებანი, ტIII, 1964.
7. ზ.ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალების ყოფილ მუსლიმან ქართველებისა, ტვ.1911
8. შ. მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბილისი, 1963.
9. თედო სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი, 1950.
10. გ. ნიორაძე, პირველი ქართული სკოლა ბათუმში, ბათუმი 1950.
11. ხ.ახვლედიანი, სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ბათუმი, 1972.
12. საქართველოს ისტორიის ნარკვევები,ტ.5, თბილისი, 1970.
13. გაზეთი „დროება" №№ 75, 76, 1875, 175, 176,177,178, 181, 184,185, 1878, 24, 1879.
14. გაზეთი „ივერი" № 129,1917.
15. გაზეთი „საქართველო"№ 142,1917.
16. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება", № 142,1917.

ფსიქოლოგია

სწავლებისა და განვითარების პრობლემის მეცნიერული კვლევის ისტორიიდან

ნოდარ ბარამიძე

ელ-ფოსტა: erekle1770@gmail.com

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი. ნაშრომში წარმოდგენილია დ. უზნაძისა და ლ. ვიგოტსკის შეხედულებების შედარებითი ანალიზი სწავლებისა და განვითარების საკითხებზე. მეტი სიცხადისთვის განხილულია ჟ. პიაჟეს მრავალმხრივ განსხვავებული შეხედულებაც. ავტორი ასაბუთებს, რომ უზნაძემ და ვიგოტსკიმ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბეს არსებითად იდენტური და ყოველმხრივ გამართული შეხედულებები სწავლებისა და განვითარების შესახებ. აქვე ნაჩვენებია, რომ უზნაძის შრომებში ფაქტობრივად კომპაქტურადაა მოცემული თითქმის ყველა მოსაზრება, საკვანძო ცნება თუ დებულება, რომელიც მიჩნეულია ვიგოტსკის შეხედულების ქვაკუთხედად. ავტორის აზრით, უზნაძისა და ვიგოტსკის შეხედულებები იმდენად ავსებენ და უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ უზნაძე-ვიგოტსკის ერთიან, მწყობრ შეხედულებაზე სწავლებისა და განვითარების ურთიერთობის პრობლემის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: სწავლება, განვითარება, განვითარების სტადიები, ფარული შესაძლებლობები, განვითარების აქტუალური დონე

სწავლებისა და განვითარების ურთიერთობის პრობლემა პედაგოგიური (განათლების) ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია, რომელიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ასპექტით არაერთხელ ყოფილა შესწავლილი როგორც თეორიულად, ისე ექსპერიმენტულად და საკმაოდ დამუშავებულ, თუმცა, ყოველთვის საყურადღებო პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. ამ პრობლემის შესახებ თავიანთი მოსაზრებები გამოთქმული აქვს არაერთ ცნობილ ფსიქოლოგს, მათ შორის ფსიქოლოგიის ისეთ კლასიკოსებს, როგორებიც იყვნენ ჟ. პიაჟე, დ. უზნაძე და ლ. ვიგოტსკი. აღსანიშნავია, რომ უზნაძისა და ვიგოტსკის შეხედულებები, რომლებიც პრობლემის ყველაზე სწორ გააზრებადა არის მიჩნეული, იმდენად ავსებენ და უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ერთიანი შეხედულების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამიტომ, ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ ვის ეკუთვნის პრიორიტეტი აღნიშნული პრობლემის ამდაგვარად დაყენებასა და გაგება-გააზრებაში, სწავლების ადგილისა და როლის ასეთნაირად განსაზღვრაში ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, ცხადია, მოითხოვს უზნაძისა და ვიგოტსკის შეხედულებების განხილვას და თავისებურ შედარებით ანალიზს. მაგრამ მეტი სიცხადისათვის ჯერ შევხებით ჟან პიაჟეს არსებითად განსხვავებულ შეხედულებას სწავლებისა და განვითარების შესახებ [1][7][9].

გამოჩენილი შვეიცარელი ფსიქოლოგი ჟ. პიაჟე ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კოგნიტური პროცესების განვითარებას. იგი ინტელექტს განიხილავს როგორც ოპერაციათა (აზროვნების ლოგიკურ სტრუქტურათა) სისტემას. ამიტომ

ინტელექტის განვითარება მასთან გაგებულია, როგორც აზროვნების ლოგიკური სტრუქტურების - ოპერაციების დაუფლების პროცესი. ინტელექტუალური აქტივობა ხორციელდება გარკვეული „სქემების“ გამოყენების გზით. „სქემა“ არის ტიპურ სიტუაციებში მოქმედების განმეორებადი წესი, რომელიც შეიძლება შედგებოდეს როგორც უმარტივესი მოძრაობებისაგან, ისე გონებრივი მოქმედების საკმაოდ რთული კომპლექსებისაგან. სქემები იცვლებიან ბავშვის ასაკობრივი განვითარებისა და მათი გამოცდილების შესაბამისად.

პიაჟე ბავშვის ინტელექტუალური განვითარების უწყვეტ პროცესში გამოყოფს ოთხ ძირითად პერიოდს, რომლებიც კოგნიტური განვითარების სტადიების სახელწოდებითაა ცნობილი. ესენია: სენსომოტორული სტადია (დაბადებიდან 1,5-2 წლამდე), ოპერაციამდელი სტადია (2-დან 7 წლამდე), კონკრეტული ოპერაციების სტადია (7-დან 11-12 წლამდე) და ფორმალური ოპერაციების სტადია (11-12-დან 15 წლამდე და შემდგომ). ძირითადი მექანიზმი, რომელთა მეშვეობით ბავშვი გადადის განვითარების ერთი სტადიიდან მეორეზე, არის ასიმილაცია, აკომოდაცია და წონასწორობა.

ობიექტი, ან რაღაც ინფორმაცია, რომელსაც აწყდება ადამიანი, თუ პასუხობს მასში არსებულ მენტალურ ჩარჩოებს, ის ასიმილირდება, სუბიექტი იგუებს მას, ჩართავს თავისი მოქმედების საშუალებებში, ე. წ. „სქემებში“. თუკი ობიექტი არ ეწერება ამ ჩარჩოებში, ხდება მისი აკომოდაცია, იცვლება სუბიექტის მოქმედების საშუალებები, სქემები ეგუება ობიექტს, ადამიანი იძენს ახალ ცოდნას. განვითარების პროცესში ხან ასიმილაციის სიჭარბეა და ხან აკომოდაციის. მაგრამ დგება მომენტი, როდესაც გარემოს მოთხოვნები და მოქმედების სქემები (ასიმილაცია და აკომოდაცია) წონასწორობაში მოდიან და მიიღწევა სრული ადაპტაცია, მყარდება წონასწორობა ბავშვსა და გარემოს შორის და ქვევაც უფრო გონივრული ხდება. მაგრამ გარემო ახალ მოთხოვნებს უყენებს ბავშვს, ირღვევა წონასწორობა და მისი აღდგენისაკენ მისწრაფების ტენდენცია, პიაჟეს აზრით, ბავშვის მთელი ინტელექტუალური განვითარების, მისი ფსიქიკური აქტივობის სრულყოფის ძირითად ტენდენციას წარმოადგენს.

პიაჟეს მიაჩნდა, რომ განვითარება წინ უძღვის სწავლებას. ბავშვებმა რომ შეძლონ სამყაროს შესწავლა და შემეცნება, მათ ჯერ უნდა ჩამოუყალიბდეთ გარკვეული კოგნიტური სტრუქტურები, ანუ სქემები. ამასთანავე, ინტელექტუალური განვითარების აღნიშნული სტადიები, პიაჟეს აზრით, თითქმის არ იცვლებიან, არ ექვემდებარებიან სწავლება-ზემოქმედებას. ბავშვის გონებრივი განვითარება მიმდინარეობს სპონტანურად, თავისი შინაგანი კანონზომიერებით და ეს სტადიებიც თავს იჩენენ მხოლოდ გარკვეულ ასაკობრივ საფეხურზე, დამოუკიდებლად იმისა, ასწავლიან მას თუ არა. „დიდი შეცდომაა, – ამბობს პიაჟე, ვიფიქროთ, რომ ბავშვი ეუფლება რიცხვის ცნებას და სხვა მათემატიკურ ცნებებს უშუალოდ სწავლაში. პირიქით, იგი მნიშვნელოვანწილად ანვითარებს მას, დამოუკიდებლად და სპონტანურად“ [9, 121]. ცხადია, კოგნიტური განვითარების პიაჟესეული სტადიების (და არა მხოლოდ) შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები და შეფასებებიც [3, 37-39][4, 28].

ბავშვის ფსიქიკური განვითარების, მისი ფარული შესაძლებლობებისა და მათი აქტივაციისათვის საჭირო სათანადო პირობების შექმნის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვს გამოთქმული დ. უზნაძეს თავის ადრინდელ, ძალიან ორიგინალურ ექსპერიმენტულ გამოკვლევებში [5, 57-161]. კერძოდ, 1928 წელს სკოლამდელი ასაკის ბავშვების აზროვნების განვითარების (დაჯგუფების უნარის) და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნების შემუშავების შესაძლებლობების კვლევისას, მან დაადასტურა, რომ გარკვეულ პირობებში ბავშვს ცნების უფრო მაღალ დონეზე დაუფლება შეუძლია, ვიდრე ამას სპონტანურად ამჟღავნებს.

წოდარ ბარამიძე

კერძოდ, თუ დავხმარებით, ბავშვი გაცილებით მეტს შეძლებს, ვიდრე ამას დამოუკიდებლად მოახერხებდა. მაშასადამე, გარკვეული შესაძლებლობა მას პოტენციურად უკვე მოცემული ჰქონია, მაგრამ სათანადო პირობები (მაგალითად, ერთგვარი დახმარება, წახალისება, მოწონება) იყო საჭირო მისი გამოვლენისათვის. ამასთანავე, დახმარების განსხვავებული საფეხური თუ ფორმა იძლევა განსხვავებულ შედეგს როგორც ერთი და იგივე, ისე სხვადასხვა ბავშვთან. საგულისხმოა, რომ 6-წლიანთა აზროვნების განვითარების თავისებურებების დახასიათებისას, უზნაძე ლაპარაკობს განვითარების ორი ეტაპის - განვითარების წინა და განვითარების უახლოესი ეტაპების შესახებ [5, 87].

ამრიგად, დ. უზნაძის მიხედვით, ბავშვის ფსიქიკური შესაძლებლობები როდი ამოიწურება მხოლოდ სპონტანურად გამოვლენილი აქტივობით. ბავშვს განვითარების ყოველ საფეხურზე აქვს ფარული შესაძლებლობები, რომელთა აქტივაცია შესაძლებელია სპეციალური პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. სასკოლო გარემო, კარგად ორგანიზებული სწავლება-სწავლის პროცესი, ცოდნის მიღებასთან ერთად, სწორედ ბავშვის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარებას უზრუნველყოფს და იმთავითვე გულისხმობს პედაგოგიურ პროცესში ბავშვის აზროვნების განვითარების პროცესში წინა და უახლოესი ეტაპების გათვალისწინებას.

უზნაძის აზრით, ბავშვის შესაძლებლობების აქტივაციისა და მისი ფსიქიკური განვითარების ოპტიმალური პირობები იქმნება მაშინ, როდესაც სასწავლო მასალა „ერთი მხრივ, მოწაფის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის უნდა იყოს შესაფერისი, მეორე მხრივ, საკმარისად უნდა იყოს მას დაშორებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. სასწავლო მასალა რომ სავსებით განვითარების აქტუალური დონის შესატყვისი ყოფილიყო, როგორ შეიძლებოდა იგი წინსვლისა და უფრო მაღალ დონეზე ამაღლების პირობად გამხდარიყო... მასწავლებლის ჩარევა სწორედ ამ პირობის რეალიზაციას ახდენს: იგი ახალ მასალას (რომელიც მოწაფის განვითარების აქტუალურ დონეზე მაღალია - ნ. ბ.) ისე აწოდებს მოწაფეს, რომ იგი მისთვის მისაწვდომი შეიქნეს... მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მოწაფის ძალთა შორის შუამავლობასა და, მაშასადამე, მისი ნამდვილი განვითარების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს“ - ამბობს დ. უზნაძე [6, 563].

სწავლებისა და განვითარების ურთიერთობის პრობლემა, ფაქტობრივად, იგივე მიმართულებითა და სულისკვეთებით განიხილა ლ. ვიგოტსკიმ [8, 426-452]. იგი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ამ ურთიერთობაში წამყვანი როლი ეკუთვნის სწავლებას, რომელიც ყოველთვის წინ უსწრებს განვითარებას. მისი აზრით, განვითარება არასოდეს განისაზღვრება მხოლოდ მისი მომწიფებული, გამოვლენილი ნაწილის მიხედვით. სრული სურათის წარმოდგენისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ფუნქციებიც.

ლ. ვიგოტსკი ბავშვის მიერ ჩვეულებრივ პირობებში გამოვლენილ შესაძლებლობებს, „განვითარებს აქტუალურ დონეს“ უწოდებს და მისგან განასხვავებს იმ პოტენციურ მონაცემებს, რომელთა შესატყვისი მოქმედება ბავშვს მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში შეუძლია. განვითარების ამ შესაძლებლობებს იგი „განვითარების უახლოეს ზონას“ უწოდებს. ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ კარგად დაყენებული სწავლება უნდა ემყარებოდეს განვითარების უახლოეს შესაძლებლობებს და არა იმას, რაც უკვე აქტუალურადაა მოცემული ბავშვის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში სწავლება ოპტიმალურად წაიყვანს წინ განვითარებას, დააჩქარებს განვითარების პროცესს. თუკი სწავლება უკან მიყვება განვითარებას, ცხადია, იგი ვერ შეასრულებს განვითარების ფუნქციას. როდესაც სწავლება წინ მიუძღვის

განვითარებას, მაშინ იგი ცხოვრებაში გზას უხსნის მთელ რიგ ფუნქციებს, რომელიც იმყოფება მომწიფების სტადიაში, განვითარების უახლოეს ზონაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვიგოტსკი შენიშნავს, რომ უახლოეს ზონას უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს ინტელექტუალური განვითარების დინამიკისა და წარმატებით სწავლისათვის, ვიდრე განვითარების აქტუალურ დონეს.

განვითარების უახლოესი ზონა გულისხმობს მოძრაობაში მოსულ, მაგრამ ბავშვის ჯერ კიდევ იმ მოუმწიფებელ ძალებს, რომელიც მალე, ხვალ-ზეგ მომწიფდებიან ფუნქციობისათვის. მათზე ორიენტირებული სწავლება კი აჩქარებს ამ პროცესს. კერძოდ, უახლოეს ზონას გადააქცევს განვითარების აქტუალურ დონედ და ასე მორიგეობით.

ასეთია ლ. ვიგოტსკის შეხედულება აღნიშნული პრობლემის შესახებ. ამ შეხედულებაში, როგორც ვნახეთ, ერთმნიშვნელოვნად ხაზგასმულია სწავლების განმსაზღვრელი როლი ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში. მაგრამ ჩვენ ზემოთ ისიც ვნახეთ, რომ სწავლების წამყვანი როლისა და ბავშვის აზროვნების განვითარებაში ორი ეტაპის თუ საფეხურის შესახებ ლაპარაკობს დ. უზნაძეც, ამასთანავე, უზნაძისა და ვიგოტსკის შეხედულებები არსებითში თითქმის იდენტურია, მსგავსი შეხედულების შთაბეჭდილებას ტოვებს. უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი შთაბეჭდილება პირველად გამიჩნდა მე ჯერ კიდევ 1968 წელს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა ნ. ადამაშვილის ხელმძღვანელობით დავამუშავე საკონფერენციო თემა - „სწავლებისა და განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ“ [2]. იმხანად სწავლების პროცესის რაციონალიზაციის საკითხებს იკვლევდა და ამ მიმართულებით (არა მხოლოდ) ექსპერიმენტული მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა ბ. ხაჭაპურიძეს, რომელსაც ერთ-ერთ ლექციაზე ვკითხე, თუ ვის ეკუთვნოდა პრიორიტეტი (უზნაძეს თუ ვიგოტსკის) საკითხის ზემოაღნიშნულ გაგებაში. ბატონმა ბარნაბმა სათვალის ქვემოთ თვალეები მოჭუტა, ოდნავ გაიღიმა და არაფერი მიპასუხა, თითქოს მანიშნა ეს როდია მთავარიო. იქნებ დღეს უხერხულიცაა ამაზე საუბარი, მაგრამ ყოველგვარი პოლემიკური მიზანდასახულობის გარეშე მინდა ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვა ჩემს ოდინდელ კითხვასთან დაკავშირებით.

ფაქტოლოგიური მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქმის ვითარება ასეთია: ნაშრომები - „დაჯგუფების ცდები სკოლის წინარე ასაკში“ და „ცნების შემუშავება სკოლის წინარე ასაკში“, რომლებშიც საუბარია ჩვენს თემასთან დაკავშირებულ საკითხებზეც, პირველად დაიბეჭდა 1929 წელს გერმანულ ჟურნალებში [5, XIII]. დ. უზნაძის შრომების I ტომის შენიშვნებში რედაქტორი ალ. ფრანგიშვილი და სარედაქციო კოლეგიის წევრი ერ. აბაშიძე წერენ, რომ აღნიშნულმა ნაშრომებმა „გამოქვეყნებისთანავე ჰპოვეს გამოხმაურება; ამ გამოკვლევებს ასახელებენ და მათ ეყრდნობიან მაგ. Л. С. Выготский, «Мышление и речь» (1929 წ., მეორე გამოცემა 1940 წ.), С. Л. Рубинштейн, Основы психологии, М. 1935. და მრავალი სხვა“ [5, 254]. აღსანიშნავია, რომ ვიგოტსკის თავის კიდევ ერთ წიგნში (Педагогика подростка) გამოყენებული აქვს უზნაძის ნაშრომი ცნების შემუშავების შესახებ, რასაც ადასტურებს დ. უზნაძის „ბავშვის ფსიქოლოგიის“ ავტორისეული შენიშვნებიც [6, 423]. ამრიგად, ვიგოტსკი კარგად იცნობდა უზნაძის იმ ნაშრომებს, სადაც ლაპარაკია ბავშვის ფარული შესაძლებლობების აქტივაციაზე, მისი აზროვნების განვითარების წინა და უახლოეს საფეხურზე და არის მოსაზრებაც ბავშვის პოტენციური უნარ-შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნის აუცილებლობის შესახებ.

წოდარ ბარამიძე

იცნობდა თუ არა ლ. ვიგოტსკი დ. უზნაძის კიდევ ერთ ნაშრომში, კერძოდ, „სასკოლო ასაკის ფსიქოლოგიაში“ წარმოდგენილ იმ (ზემოაღნიშნულ) შეხედულებას [6, 563], რომელიც ეხება სასწავლო მასალისა და სწავლების როლს ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში და რომლის მიხედვითაც, განვითარებისათვის ოპტიმალური პირობები იქმნება მაშინ, როდესაც სასწავლო მასალა, ერთი მხრივ, მოწაფის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვისაა შესაფერისი, მეორე მხრივ კი საკმარისადაა მას დაშორებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც სასწავლო მასალა სავსებით შესატყვისია აქტუალური დონის, იგი ვერ გახდება წინსვლისა და უფრო მაღალ დონეზე ამაღლების პირობა. მაშასადამე, სასწავლო მასალა ყოველთვის მოწაფის განვითარების აქტუალურ დონეზე უფრო მაღალი უნდა იყოს, რომ მან მისი ნამდვილი განვითარების პირობა შექმნას. სწავლებისას მასწავლებლის ამოცანაც სწორედ ამის უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

ასეთია დ. უზნაძის შეხედულების ძირითადი აზრი სწავლებისა და განვითარების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემაზე. ზედმეტია იმის თქმა, რომ უზნაძისა და ვიგოტსკის შეხედულებები არსებითში მსგავსია, თავისებურად ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან ერთ, მწყობრ, ყოველმხრივ გამართულ შეხედულებას აღნიშნული პრობლემის შესახებ.

მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს მსგავსება, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1929 წელს უცხოურ ჟურნალებში გამოქვეყნებული ზემოაღნიშნული ნაშრომებისაგან განსხვავებით, ვიგოტსკი არ იცნობდა უზნაძის ამ ნაშრომს და ეს შეუძლებელიც იყო. დ. უზნაძის შრომების V ტომის (გამოიცა 1967 წელს) რედაქტორის, რ. ნათაძის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ „სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია“ (სადაც საუბარია შესაბამის საკითხებზე - ნ. ბ.), რომლის ცალკე თემები იწერებოდა 1933-1934 და 1940 წლებში, ერთი მონაკვეთის გარდა („ადამინის ქცევის ფორმები“ (დაიბეჭდა 1941 წელს თსუ-ს შრომებში) არ ყოფილა გამოქვეყნებული, რადგან ავტორს იგი არ მიაჩნდა დასრულებულად [6, 5]. თუ გავიხსენებთ, რომ ლ. ვიგოტსკი გარდაიცვალა 1934 წელს, ნათელი გახდება რატომ იყო ეს შეუძლებელი, რატომ ვაცხადებთ დაბეჯითებით, რომ ვიგოტსკი არ იცნობდა უზნაძის ამ ნაშრომს.

საინტერესოა, უზნაძე თუ იცნობდა ვიგოტსკის შეხედულებას აღნიშნულ საკითხზე? ამ საკითხით, ე. ი. სწავლებისა და განვითარების ურთიერთობის პრობლემით, ვიგოტსკი განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა თავისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში. ამის შესახებ წერენ ვიგოტსკის კოლეგები და მეგობრები - ა. ლეონტიევი და ა. ლურია 1956 წელს რუსულ ენაზე გამოცემული ვიგოტსკის რჩეული ფსიქოლოგიური გამოკვლევების წინასიტყვაობაში [8, 3]. აქედან გამომდინარე, ვიგოტსკის შესაბამისი ნაშრომები დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს 1933-34 წლებისა. რაც შეეხება მათ გამოქვეყნებას, კერძოდ, სტატიები: «Обучение и развитие в дошкольном возрасте» და «Проблема обучения и умственного развития в школьном возрасте», პირველად დაიბეჭდა 1935 წელს [8, 501].

სწავლებისა და განვითარების საკითხებზე მსჯელობს ვიგოტსკი, აგრეთვე, თავის გახმაურებულ წიგნში - «Мышление и речь» [8, 251-253, 270-278]. რაც შეეხება წიგნის დაბეჭდვის თარიღს, ლეონტიევი და ლურია ვიგოტსკის ზემოაღნიშნული რჩეული გამოკვლევების შენიშვნებში აღნიშნავენ, რომ ეს იყო ვიგოტსკის მიერ დასაბეჭდად მომზადებული ბოლო ნაშრომი, რომელიც გამოიცა 1934 წელს, ავტორის სიკვდილის შემდეგ რამდენიმე თვეში [8, 497]. თუმცა, სხვა საკითხებთან დაკავშირებული მისი ზოგიერთი თავი (ხელნაწერის უფლებით, მოხსენებისა და წინასიტყვაობის სახით) დაბეჭდილი იყო ადრეც სხვადასხვა გამოცემებში [8, 42].

აღნიშნულის გათვალისწინებით უკვე ნათელი ხდება, თუ რატომ არაა მითითებული ვიგოტსკის არც ერთი ნაშრომი უზნაძის, 1933-1934 წლებში დაწერილი წიგნის – „სასკოლო ასაკის ფსიქოლოგიის“ – ლიტერატურის ჩამონათვალში. ანალოგიური ვითარებაა სწავლებისა და განვითარების საკითხებთან მიმართებაში უზნაძის „ბავშვის ფსიქოლოგიის“ შემთხვევაშიც, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1933 და მაშინ მას „პედოლოგია“ ერქვა. ამ პერიოდისათვის აღნიშნული საკითხებისადმი მიძღვნილი ვიგოტსკის ცნობილი ნაშრომები ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მასალების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ უზნაძე არ იცნობდა ვიგოტსკის შესაბამის ნაშრომებს, მის შეხედულებას სწავლებისა და განვითარების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დ. უზნაძემ და ლ. ვიგოტსკიმ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბეს თავიანთი მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამართლებული შეხედულებები, რეალურად კი ერთი მწყობრი შეხედულება სწავლებისა და განვითარების ურთიერთობის შესახებ. რაც შეეხება თავიდანვე დასმულ კითხვას, ვფიქრობ, პასუხი უკვე გამოიკვეთა. კერძოდ, მხედველობაში თუ მივიღებთ 1929 წელს გამოცემულ უზნაძის ზემოაღნიშნულ ექსპერიმენტულ ნაშრომებს [5, 57-161] და 1933-1934 წლებში დაწერილ „სასკოლო ასაკის ფსიქოლოგიაში“ გამოთქმულ მოსაზრებას [6, 563], უდავოა, რომ სწავლებისა და განვითარების პრობლემის ამდაგვარად დაყენების იდეისა და მისი თავდაპირველი გაგება-გააზრების თვალსაზრისით, პრიორიტეტი ეკუთვნის დ. უზნაძეს, რომლის შრომებში კომპაქტურადაა მოცემული თითქმის ყველა მოსაზრება, საკვანძო ცნება თუ დებულება, რომელიც მიჩნეულია ვიგოტსკის შეხედულების ქვაკუთხედად. ეს გარემოება, ვფიქრობთ, ყოველთვის არაა ჯეროვნად გაცნობიერებული და სათანადოდ შეფასებული. რაც შეეხება აღნიშნული პრობლემის უფრო დეტალურად განხილვასა და მის შემდგომ დამუშავებას, ამ მხრივ, ცხადია, პრიორიტეტი ეკუთვნის ლ. ვიგოტსკის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სწავლებისა და განვითარების თეორიებზე მსჯელობისას უფრო მიზანშეწონილად გვესახება ვილაპარაკოთ არა ცალკე ვიგოტსკის ან უზნაძის, არამედ უზნაძე-ვიგოტსკის ერთიანი შეხედულების შესახებ, მით უფრო, რომ იდენტური შეხედულებების დამოუკიდებლად შემუშავების პირობებში, ფაქტობრივად, მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვის ეკუთვნის პრიორიტეტი მათ შემუშავებაში, ვინ გამოთქვა პირველად ესა თუ ის მოსაზრება, რაც ამ მხრივაც ამართლებს მსჯელობას უზნაძე-ვიგოტსკის შეხედულების შესახებ. მართალია, ამის აღქმა მოულოდნელი და განსაკუთრებით ძნელი იქნება არაქართველი მკითხველისათვის (გასაგებ მიზეზებზე რომ არაფერი ვთქვათ, უზნაძის – „სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია“, საკითხთან დაკავშირებული მითითებული ნაშრომებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ქართულ ენაზეა გამოცემული), მაგრამ ასეთი ფორმულირება უფრო სამართლიანი იქნებოდა.

*PSYCHOLOGY*FROM THE HISTORY OF SCIENTIFIC RESEARCH ON
TEACHING AND DEVELOPMENT PROBLEMS

NODAR BARAMIDZE

*e-mail: erekle1770@gmail.com**Doctor of Psychological Sciences,**Emeritus Professor of Batumi Shota Rustaveli State University*

ABSTRACT. The paper presents a comparative analysis of the views of D. Uznadze and L. Vygotsky on the issues of teaching and development. For more clarity, J. Piaget's view, which is different in many ways, is also discussed. The author argues that Uznadze and Vygotsky independently formed essentially identical and correct views on teaching and development. It is shown here that in fact, almost all opinions, key concepts and provisions, which are considered to be the cornerstone of Vygotsky's views, are compactly given in Uznadze's works. According to the author, the views of Uznadze and Vygotsky are so complementary and close to each other that it is appropriate to talk about the unified, orderly view of Uznadze-Vygotsky about the problem of the relationship between teaching and development.

KEYWORDS: learning, development, stages of development, hidden abilities, current level of development

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე ნ., ტულუში ც., 2006, შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობისა და „პიაჟეს ფუნქციონების“ დაძლევის უნარის მიმართებისათვის ოპერაციამდელ სტადიაში, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი.
2. ბარამიძე ნ., 1968, სწავლებისა და განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ, თსუ სტუდენტთა XXX სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის სექცია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
3. გოგიჩაიშვილი თ., 2005, განვითარების ფსიქოლოგია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
4. პეტროვსკი ა., (რედაქტორი), 1977, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
5. უზნაძე დ., 1956 შრომები, ტ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
6. უზნაძე დ., 1967, შრომები, ტ. V, ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
7. ყოლბაია მ., 1998, ბავშვის ინტელექტუალური განვითარების პიაჟესეული კონცეფცია, ბავშვის ფსიქოლოგია, პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
8. Выготский Л. С., 1956, Обучение и развитие в дошкольном возрасте; Проблема обучения и умственного развития в школьном возрасте, Избранные психологические исследования, Издательство Академии педагогических наук РСФСР, Москва.
9. Пиаже Ж., 1966, Как дети образуют математические понятия, ж. „Вопросы психологии“, №4, გვ. 121-126.

აქტუალობა

თვითაღზრდა და მისი შესაძლებლობანი

ნოდარ ბასილაძე

ელ-ფოსტა: nodarbasiladze1936@gmail.com

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აბსტრაქტი: თვითაღზრდა აღზრდის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. იგი რთული, ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია და გულისხმობს პიროვნების მიერ საკუთარი თავის მოწესრიგებას, სრულყოფას. თვითაღზრდა ძალუძს მხოლოდ განათლებულ, შეგნებულ და ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანს. მისი შინაარსი ძირითადად განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი პირობებით, რომელშიც უხდება ადამიანს ცხოვრება. თვითაღზრდის ხასიათი დიდადაა დამოკიდებული ასევე თავად პიროვნების შინაგან ბუნებაზე, მის აქტიურობაზე, ნებისყოფაზე, აღზრდილობის, შეგნების დონეზე და სხვა ფაქტორებზე. მის სიძლიერეზე დიდადაა დამოკიდებული თითოეული ადამიანის წარმატებები პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თვითაღზრდის შესაძლებლობანი ამოუწურავია. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ადამიანს საკუთარი თავის სრულყოფის უდიდესი შესაძლებლობანი გააჩნია, მაგრამ იგი ამ შესაძლებლობის მხოლოდ 10%-ს იყენებს.

საკვანძო სიტყვები: აღზრდა, თვითაღზრდა, თვითშეფასება, თავისთავზე მუშაობა, საკუთარი თავის სრულყოფა, აქტიურობა, ნებისყოფა, მიზანი, მოტივი, შრომა.

ადამიანის მისწრაფებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საკუთარი თავის სრულყოფისაკენ მისწრაფება, რასაც თვითაღზრდას უწოდებენ. თვითაღზრდა პიროვნების ფორმირების პროცესის აუცილებელი კომპონენტია. ამ შემთხვევაში პიროვნება ზემოქმედების ობიექტი კი არ არის, არამედ თავისი განვითარების აქტიური შემოქმედი, სუბიექტია, რადგან იგი თავადაც მართავს საკუთარ თავს.

თვითაღზრდა ადამიანის შეგნებული მისწრაფებაა – გახდეს სრულყოფილი, გამოიმუშაოს საკუთარ თავში როგორც მისთვის, ისე საზოგადოებისთვის მისაღები თვისებები, დაძლიოს ნაკლოვანებანი შეგნებაში, ქცევასა და მოქმედებაში. იგი რთული, ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია. მისი შინაარსი ძირითადად განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი პირობებით, რომელშიც უხდება ცხოვრება ადამიანს. თვითაღზრდის ხასიათი დიდადაა დამოკიდებული ასევე თავად პიროვნების შინაგან ბუნებაზე, მის აქტიურობაზე, ნებისყოფაზე, აღზრდილობის, შეგნების დონეზე და სხვა ფაქტორებზე. ცხოვრება გვარწმუნებს, რომ მხოლოდ ის ადამიანები აღწევენ წარმატებებს თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში, რომლებსაც ძალუძთ, დამოუკიდებლად გამოიმუშაონ საკუთარ თავში ესა თუ ის დადებითი თვისება და აღმოფხვრან უარყოფითი.

ამრიგად, ცხოვრებაში იმარჯვებს ის პიროვნება, ვინც კრიჭაში უდგას ამ ცხოვრებას, ვინც აქტიურია, მებრძოლია, ვისაც, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „წუთისოფლის სუფრაზე“ საკუთარი კერძი თავად მოაქვს.

რაც უფრო აღზრდილი და შეგნებულია ადამიანი, მით უფრო ზრდის იგი საკუთარ თავს, მით უფრო მეტ კონტროლს უწევს საკუთარ ქცევასა და მოქმედებას. „აღზრდილი, ამ სიტყვის

წოდარ ბასილაძე

სრული მნიშვნელობით, შეიძლება ვუწოდოთ იმ ადამიანს, – წერს ვასილ სუხომლინსკი, – რომელსაც შეუძლია საკუთარი თავის აღზრდა“ (8: 17).

აქედან გამომდინარე, აღზრდა და თვითაღზრდა ურთიერთდაკავშირებული პროცესებია, ისინი ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ, ერთი მეორეს გარეშე არ არსებობს. სადაც ნამდვილი აღზრდაა, იქ თვითაღზრდაცაა და, პირიქით.

პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მეცნიერები თვითაღზრდას სხვადასხვაგვარად განმარტავენ, მაგრამ ისინი ერთსულოვანი არიან იმაში, რომ თვითაღზრდა გულისხმობს საკუთარ თავში ნაკლოვანებების აღმოფხვრას, საკუთარი თავის მოწესრიგებას, სრულყოფასა და გაკეთილშობილებას, რასაც, უმრავლეს შემთხვევაში, შეგნებული და მიზანმიმართული ხასიათი აქვს. მაგალითად, „პედაგოგიურ ლექსიკონში“ (მოსკოვი, 1960, გვ. 315) თვითაღზრდა განმარტებულია როგორც „ადამიანის საქმიანობა, რომელიც მიმართულია საკუთარ თავში დადებითი თვისებების განვითარებისკენ“.

ფსიქოლოგი ლ. რუენსკი თვითაღზრდას ასე განმარტავს: „თვითაღზრდა – ეს არის ადამიანის საქმიანობა საკუთარი პიროვნების შეცვლის მიზნით“ (16: 9).

თვითაღზრდის პრობლემის აღიარებული მკვლევარი, პროფესორი ა. კოვალევი თავის წიგნში „Личность воспитывает себя“ (M., 1983) წერს: „თვითაღზრდა, ფართო გაგებით, არის მიზანმიმართული, შეგნებული და სისტემატური მუშაობა საკუთარ თავზე იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს საკუთარი პიროვნების განვითარება იმ დონით, რომელიც უპასუხებს საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და პირად იდეალს“ (13: 48).

იმას, თუ როგორ იქცევა ადამიანი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში – კინოში, თეატრში, ქორწილში, წვეულებაზე, სუფრასთან და ა.შ., ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველივე ამას ადამიანი ძირითადად თავის თავზე მუშაობითა და ვარჯიშით ეუფლება.

ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში, თავის თავზე მუშაობაში გულისხმობენ მხოლოდ თვითგანათლებას, რაც არაა სწორი, რადგან თავის თავზე მუშაობა პიროვნების მარტო გონებრივ აღზრდას, მისი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას როდი გულისხმობს. მასში იგულისხმება ასევე ადამიანის მიერ საკუთარი ფიზიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომითი და სხვა მხარეების განვითარებაც. იგი იწყება მოზარდობის ხანაში და გრძელდება ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე. პიროვნების თვითაღზრდის დონე მჭიდვანდება მის ურთიერთობაში საზოგადოებასთან, კოლექტივის წევრებთან, ამხანაგებთან, მეგობრებთან, საქმისადმი დამოკიდებულებაში, პასუხისმგებლობის გრძნობაში და ა.შ.

ამრიგად, თვითაღზრდა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე თვითგანათლება. თვითაღზრდა პიროვნების ფორმირების, მისი კაცურ კაცად, ჭეშმარიტ მამულიშვილად ჩამოყალიბების მძლავრი საშუალებაა. მის სიძლიერეზე დიდადაა დამოკიდებული თითოეული ადამიანის წარმატებები პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კაცობრიობის თითქმის ყველა

გამოჩენილმა მოაზროვნემ ძირითადად თვითაღზრდითა და თვითგანათლებით მიაღწია სრულყოფილების იმ დონეს, რომელზეც შესაძლებელი გახდა ეპოქალურ მოვლენათა მსვლელობის განჭვრეტა, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების დადგენა.

თვითაღზრდის პროცესში საჭიროა პიროვნების მიერ ისეთი თვისებების შემუშავება, როგორცაა: თავდაჭერილობა, საკუთარი ქვევისა და მოქმედების თვითშეფასება და მართვა, თვითკრიტიკა, თვითდისციპლინა, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცე, ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, სხვის მდგომარეობაში შესვლა და ა.შ.

„თვითაღზრდისათვის, - წერდა ნ. ოსტროვსკი, - უწინარეს ყოვლისა, უნდა მოუწოდო საკუთარ თავს - იყო მკაცრი და მიუკერძოებელი, საჭიროა ნათლად, ზუსტად, საკუთარი თავმოყვარეობისა და საკუთარი თავის სიყვარულის გარკვეული წილის დაუნდობლად გამოარკვიო შენი ნაკლოვანებანი და ერთხელ და სამუდამოდ... გადაწყვიტო: შევეგუები თუ არა ამ ნაკლოვანებებს... კაპიკია იმათი ფასი, ვინც ვერ მოიშლის ცუდ ჩვევებს“ (6: 31).

თანამედროვეობის დიდმა უკრაინელმა პედაგოგმა ვასილ სუხომლინსკიმ ერთხელ პატიმრებთან შეხვედრისას განაცხადა: „თუ კაცს თავდაჭერის უნარი არა აქვს, თუ საკუთარ თავს ვერ იმორჩილებს, შეიძლება დამნაშავე გახდეს... ხელი უნდა მოვიდოთ საკუთარი თავის აღზრდას. საკუთარი თავის აღზრდა - ეს კაცის უდიდესი სულიერი ბრძოლაა საკუთარ თავთან... საშიში მანკია სუსტი ნებისყოფა, საკუთარი ქცევისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძობის უქონლობა“ (7).

აქედან გამომდინარე, ვ. სუხომლინსკი თავის მოსწავლეებს დღენიდაგ მოუწოდებდა საკუთარი თავის აღზრდის, თვითდისციპლინისა და თვითკონტროლისკენ. მისი აზრით, „თვითაღზრდა საკუთარი თავის შეცნობით იწყება“, რომელიც ძალზე რთული და ძნელი საქმეა; ძნელია „საკუთარი თავის დანახვა როგორღაც გვერდიდან, სხვისი თვალით“... (9: 41). ამისათვის ადამიანი მეტი უნდა იკითხოს იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც გამირობის ნათელი მაგალითები დაგვიტოვეს. ზრდიდე საკუთარ თავს - ნიშნავს გულთან ახლოს მიგქონდეს შენი სოფლის, შენი ქალაქის, რესპუბლიკის სახელი, გტკიოდეს მისი ტკივილი და გვერდს არ უვლიდე ყოველგვარ ნაკლს, არ მოქმედებდე პრინციპით: „ეს მე არ მეხება“, „ეს ჩემი საქმე არაა“, იბრძოდე ადამიანში სიკეთის, ზნეობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისათვის; და, რაც მთავარია, არ იღლებოდე, არ ჩაიმუხლებდე ამ ბრძოლაში.

თვითაღზრდის დიდ ძალას ყოველთვის აღიარებდნენ საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები. მაგალითად, გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ი. გრიშაშვილი, შ. დადიანი, პ. ინგოროყვა, პ. ლორია, ზ. ჭიჭინაძე, მაქსიმ გორკი, ა. ჩეხოვი, ლ. ტოლსტოი, ჩ. დარვინი, ჟან-ჟაკ რუსო და სხვები მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდნენ თვითაღზრდას, თვითგანათლებას, საკუთარი თავის სრულყოფას. სწორედ საკუთარ თავზე განუწყვეტელი დაუღალავი მუშაობით შეძლო მაქსიმ გორკიმ, გამხდარიყო დიდი მწერალი. ამიტომაც იყო, რომ იგი ყველა თავის წარმატებას წიგნს უმაძღვოდა. იგივე შეიძლება ითქვას იოსებ გრიშაშვილზე. თავის ერთ-ერთ ლექსში იგი წერს:

წიგნს შევეწირე ყველაფერი, გამიჩინა გულს იარა.

მთხოვე, რაც გსურს, მთხოვე, რაც გსურს,

პერანგს მოგცემ, წიგნს კი არა.

ან კიდევ, მისივე:

მიყვარდა კითხვა, წიგნს ვსახავდი მე თვალისჩინად,

მიყვარდა კითხვა და ამ კითხვამ გადამარჩინა.

„ყველაფერი, რაც ძვირფასია ჩემში, - წერდა ჩ. დარვინი, - მივიღე მხოლოდ და მხოლოდ თვითგანათლებით“.

თვითაღზრდის პროცესში პიროვნებამ თავის თავს უნდა შეხედოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, გვერდიდან, სხვისი თვალით, კარგად უნდა შეიცნოს საკუთარი თავი და შეეცადოს იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რაც მას გააჩნია. გამოჩენილი ინდოელი კლასიკოსი მწერალი და პედაგოგი რაბინდრანათ თაგორი წერდა: „...თუ ბავშვს სურს, გახდეს ადამიანი, მაშინ მან პატარაობიდანვე უნდა აღზარდოს საკუთარ თავში ადამიანი, თორემ იგი მთელი სიცოცხლის

წოდარ ბასილაძე

მანძილზე ბავშვადვე დარჩება“ (19: 131). საკუთარი თავის სრულყოფის გზაზე, გემოდღვრავს რ. თავორი, ადამიანმა უნდა „გადალახოს ყველა დაბრკოლება და... ისწავლოს საკუთარი თავის მართვა, თავშეკავება“ (იქვე).

ძველ ბერძენ ფილოსოფოს სოკრატეს ადამიანის ერთ-ერთ ძირითად ღირსებად საკუთარი თავის შეცნობის, თვითკონტროლის, თვითშეფასების უნარი მიაჩნდა. ის ხშირად იშველიებდა ძველებურ გამოთქმას: „შეიცან თავი შენი“. ერთ-ერთ თავის მოსწავლეს ის მიმართავდა: „განა ნათელი არ არის, რომ საკუთარი თავის ცოდნას ადამიანებისათვის ბევრი სიკეთე მოაქვს, ხოლო საკუთარ თავში გაურკვევლობას - ბევრი უბედურება? ვინც კარგად იცნობს თავს, მან იცის, რა არის მისთვის კარგი და რა - ცუდი, რა შეუძლია და რა - არა. თუ ადამიანი რასაც აკეთებს, ის საქმე კარგად იცის, ბედნიერად ცხოვრობს და ხელს არ კიდებს იმას, რაც არ იცის. ამით ის თავიდან იცილებს უბედურებას“ (4: 22).

თვითაღზრდისთვის ადამიანს უნდა გააჩნდეს საკუთარი თავის სწორად შეფასების უნარი, რასაც თვითშეფასება ჰქვია. ამრიგად, თვითაღზრდა თვითშეფასების გარეშე არ არსებობს, მაგრამ ამის უნარი ბავშვს თანდაყოლილი კი არა აქვს, არამედ იგი აღზრდისა და სწავლების შედეგია. ეს უნარი მოსწავლეებს უმუშავდებათ მხოლოდ საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში. ამ ასაკის მოსწავლეები ცდილობენ, დაძლიონ ნაკლოვანებები მეტყველებაში, ქცევაში, ამხანაგებთან, მასწავლებლებთან, უფროსებთან ურთიერთობაში და გამოიმუშაონ ისეთი თვისებები, როგორცაა: სიმამაცე, გამბედაობა, შეუდრეკლობა, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცე, კულტურული ჩვევები და სხვ.

ამრიგად, თვითაღზრდა პიროვნების ცხოვრებისა და მოქმედების სხვადასხვა სფეროს მოიცავს და ხელს უწყობს მის ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას. ამიტომ ამ მიზნით უნარიანად უნდა გამოვიყენოთ აღზრდის მდიდარი საშუალებანი.

თვითაღზრდა არ არსებობს თავმოყვარეობის, საკუთარი თავის ღირსების გრძნობის გარეშე. ვისაც თავმოყვარეობა არ გააჩნია, მისთვის სულერთია, რას ფიქრობს ხალხი მასზე. ასეთი ადამიანი იმას აკეთებს, რაც მოესურვება და ანგარიშს არ უწევს სხვის აზრს, სხვის შეხედულებას, მოქმედებს პრინციპით – „მე ვარ და ჩემი ნაბადი“.

იმისთვის, რომ ადამიანი ზრდიდეს თავის თავს, იგი უნდა იყოს საკუთარი თავის უფალი, გამგებელი. სიტყვა „უფალი“, – წერს პროფესორი თამაზ კვაჭანტირაძე, – ძველად პატრონს, მფლობელს, უფლების მქონეს აღნიშნავდა... მაგრამ ქართულმა ენამ სხვათა ფლობას, სხვათა უფლად ყოფნას კი არ დაუკავშირა ყველაზე ამაღლებული და ყველაზე ადამიანური მდგომარეობა სულისა, რასაც „თავისუფლება“ ჰქვია, არამედ – საკუთარი თავის ბატონ-პატრონობას; თავისუფალი ის არის, ვინც უფალი ანუ გამგებელია თავისი თავისა, თავისი პიროვნების, თავისი ჭკუა-გონებისა და ემოციების...“ (3: 27).

ამრიგად, ჭეშმარიტი ადამიანი არის ის, ვისაც ძალუმს საკუთარი თავის ფლობა, მისი მართვა, ვინც საკუთარი თავის მბრძანებელი, დირიჟორია. ამისათვის იგი კარგად უნდა სწავლობდეს, იძენდეს ცოდნას, რადგან ცოდნის გარეშე საკუთარი თავის სრულყოფილად შეცნობა შეუძლებელია. თავის დროზე დ. გურამიშვილი ამბობდა: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისთავადო, ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“. კაცი უსწავლელად, ცოდნის გარეშე ვერც საკუთარ თავს შეიცნობს და ვერც სხვას, და ვერც გზას გაიკვლევს ცხოვრების ლაბირინთებში.

თვითაღზრდის პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს რაიმე საქმის კეთების სურვილი (ინტერესი), მაგრამ არ გააჩნდეს მისი

განხორციელების უნარი. მაგალითად, მუსიკოსისთვის აუცილებელია სმენა, რიტმისა და მელოდიის გრძნობა, მხატვრისთვის – დაკვირვებისა და წარმოსახვის უნარი, ფერის გრძნობა, მომღერლისთვის – ხმა და ა.შ.

ამა თუ იმ საქმის კეთების ნიჭი ადამიანს ეძლევა დაბადებიდან. ასე, მაგალითად, ზოგს დაბადებიდან დაყვება მუსიკის, პოეტობის, ხატვის, მათემატიკის, ჭადრაკის თუ სხვა საქმის კეთების ნიჭი, რომელიც შემდგომ შრომისა და სწავლის პროცესში ვითარდება და სრულყოფილი ხდება. მაგრამ არანაკლები როლი ენიჭება ამ საქმეში თვით ამ ნიჭის პატრონის აქტიურობას. ზარმაცს თანდაყოლილი ნიჭი ვერ უშველის ვერც სწავლაში და ვერც შრომაში.

ადამიანმა ნიჭი შეიძლება გამოავლინოს ადრეულ ასაკშიც და მოგვიანებითაც. მაგალითად, პასკალი, ლაიბნიცი, გაუსი პატარაობიდანვე აოცებდნენ ყველას მათემატიკური ნიჭით. მოცარტმა მუსიკალური ნიჭი სამი წლისამ გამოავლინა. სახელოვანი რუსი მხატვარი კარლ ბრიულოვი ცხრა წლისა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა, ალექსანდრე ივანოვი კი – თერთმეტისა. რვა წლის გოეთემ მშობლიური ენის გარდა, უკვე იცოდა ბერძნული, ლათინური, ფრანგული და იტალიური ენები. რვა წლის პაგანინი საუცხოოდ უკრავდა ვიოლინოზე. შოპენი ექვსი წლის იყო, როცა ფორტეპიანოს დაკვრა დაიწყო, ხოლო ცხრა წლისა პირველად გამოვიდა საჯარო კონცერტზე. პროკოფიევი რვა წლის ასაკში გახდა კომპოზიტორი, შუბერტი – თერთმეტი წლის ასაკში, ვებერი – თორმეტი წლისა და ა.შ.

დიდი ნიჭის პატრონი იყო ასევე ალექსანდრე გრიბოედოვი. მან ბავშვობაში შეისწავლა ლათინური, ბერძნული, ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენები, ხოლო მოგვიანებით – იტალიური, სპარსული და არაბული. 11 წლის იყო იგი, როცა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა და თანმიმდევრობით დაამთავრა სამი ფაკულტეტი – სიტყვიერების, იურიდიული და საბუნებისმეტყველო-მათემატიკური.

1988 წლის 8 მარტის გაზეთი „სახალხო განათლება“ (და კიდევ სხვა მრავალი ჟურნალ-გაზეთი) იუწყებოდა: „ბათუმის III საშუალო სკოლის X-ა კლასის მოსწავლე მარიუს ქუთათელაძე, რომელიც მხოლოდ 11 წლისაა, ამას წინათ შეუდგა თემის „ღრუ სხეულის წინაღობა“ დამუშავებას.

უკვე ორი წლისას კითხვა შეეძლო, სამი წლისამ მეზობლის ბავშვები გააოცა იმით, რომ ამოხსნა არითმეტიკული მაგალითი.

დადგა სკოლაში წასვლის დროც. ამ დროისათვის მარიუსმა იცოდა გამრავლების ტაბულა, თავისუფლად ხსნიდა მათემატიკურ მაგალითებს ორნიშნა რიცხვებზე და პატარა ამოცანებსაც კი ადგენდა. ექვსი წლის ბიჭუნა მეორე კლასში მიიღეს, მაგრამ აქაც დიდხანს არ დაყოვნებულა – საქართველოს განათლების სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა მარიუსის მონაცემები და ნება დართო მეხუთე კლასში ევლო.

1983 წელს... მარიუს ქუთათელაძე მონაწილეობს ნორჩ მათემატიკოსთა ტრადიციულ საკავშირო დღესასწაულში, რომლის დამაარსებელიც გახლდათ მარიუსის პედაგოგი მედეა ჟღენტი. წამყვანმა სწავლულმა მათემატიკოსებმა, რომლებიც დღესასწაულზე ჩამოვიდნენ, შესთავაზეს მარიუსს შესულიყო ლენინგრადის უნივერსიტეტთან არსებულ სამწლიან დაუსწრებელ მათემატიკურ სკოლაში. ეს სკოლა მარიუსმა შარშან წარჩინებით დაამთავრა.

მარიუსის არაჩვეულებრივ მათემატიკურ ნიჭს ყურადღება მიაქცია ტალინის კიბერნეტიკის პროფესორმა პეტერ ლორენსმა, რომელმაც შესთავაზა მას თემა „ცილინდრული რგოლის წინაღობა“. მარიუსი მას ტალინში ამუშავებდა. აქვე გააკეთა მოხსენება. მოხსენების მოსმენის

ნოდარ გასილაძე

შემდეგ მეცნიერებმა ერთსულოვანი აზრი გამოთქვეს: მიეღოთ მარიუს ქუთათელაძე პრაქტიკული მათემატიკის სექტორის ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების წევრად“.

სწავლულებიც მნიშვნელოვან რამეს, როგორც წესი, ახალგაზრდობისას ქმნიან ხოლმე. მაგალითად, ნიუტონი 25 წლისაც არ იყო, მიზიდულობის კანონი რომ აღმოაჩინა, ფიზიკოსი ენრიკო ფერი 25 წლისა უკვე პროფესორი და ატომური პრობლემების უდიდესი სპეციალისტი იყო, ლანდაუ 24 წლისა უკვე თეორიული ფიზიკის კათედრას ხელმძღვანელობდა. ოცდაათ წლამდე გამოიჩინეს თავი ბოტანიკოსმა ვავილოვმა, ფიზიკოსმა კურჩატოვმა და ავიაკონსტრუქტორმა იაკოვლევმა, ხოლო პოეტები - ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, შანდორ პეტეფი, მიხეილ ლერმონტოვი და სხვები 26-28 წლის ასაკში გარდაიცვალნენ, მაგრამ მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებები შექმნეს და თავიანთი სახელი დაიმკვიდრეს ისტორიაში.

ცნობილი მათემატიკოსი სერგეი მერგელიანი 16 წლისა შევიდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეორე კურსზე და ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიღეს ასპირანტურაში. წელიწადნახევარში დაწერა საკანდიდატო ნაშრომი, მაგრამ დისერტაცია იმდენად მაღალი დონის იყო, რომ სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა 20 წლის მაძიებლისთვის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება. მეორე ცნობილი მათემატიკოსი ს. ლ. სობოლევი 25 წლისა უკვე მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და პროფესორი იყო (5: 39).

მაგრამ ყველა დიდი ადამიანი პატარაობიდანვე როდი იჩენდა თავს, როგორც ფენომენი. ბევრი მათგანი ბავშვობისას და ყმაწვილობისას უნიჭო, ყეყეჩი ადამიანის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებდა. ჯემს უატი, ჯონათან სვიფტი, კარლ გაუსი „სკოლის გერები“ იყვნენ და უნიჭო მოსწავლეებად ითვლებოდნენ. აინშტაინი არავითარ ინტერესს არ იჩენდა ფიზიკისა და მათემატიკისადმი და, საერთოდ, სუსტ მოსწავლედ ითვლებოდა სკოლაში. მას ბიძა იაკობი ეუბნებოდა: „არა უშავს, ალბერტ, ყველა როდი ხდება პროფესორი, შენგანაც რაღაც გამოვა“.

კარლ ლინეიზე ამბობდნენ, მაგისგან ხარაზის მეტი არაფერი დადგებაო. ჩარლზ დარვინს მისი მამა უნიჭოს უწოდებდა, ედისონი კი დებილად მიაჩნდათ.

ისეთი ცნობილი მწერლები, როგორც იყვნენ: ჟიულ ვერნი, ბალზაკი, ალექსანდრე დიუმა (მამა), დანიელ დეფო, კრილოვი, გონჩაროვი, ალექსანდრე ყაზბეგი და ბევრი სხვა, გვიან გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე და მხოლოდ შუახნის ასაკში გაითქვეს სახელი. მაგალითად, დანიელ დეფო 58 წლის იყო, როცა გამოსცა თავისი უკვდავი წიგნი „რობინზონ კრუზო“. კუპერმა, ლამარკმა და კრილოვმაც მხოლოდ 40 წლის ასაკში გაითქვეს სახელი. იგივე ითქმის ალექსანდრე ყაზბეგზე.

ყოველმა ადამიანმა კარგად უნდა შეიცნოს საკუთარი თავი და ხელი მიჰყოს იმ საქმეს, რისი ნიჭიცა და უნარიც გააჩნია. ამით იგი მეტ სარგებლობას მოუტანს როგორც საკუთარ თავს, ისე ქვეყანას, საზოგადოებას. ნოდარ დუმბაძის აზრით, ადამიანს მაშინ უდგება „ის ბედნიერი ჟამი, როდესაც... საშუალება მიეცემა მხოლოდ ის აკეთოს, რისი გაკეთებაც მას შეუძლია“. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ისე გადის წლები, რომ ადამიანი ვერ ახერხებს იმის გამორკვევას, თუ რისი უნარი შესწევს. ძალიან ბევრს სრულიად არ გააჩნია საჭირო ინფორმაცია არც თავისი ნიჭის თაობაზე და არც იმაზე, თუ რეალურად როგორ უნდა განსაზღვროს იგი. ამიტომ საკუთარი თავის ხანგრძლივი ძიება უხდება. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, მოზარდებს. ისინი ხან ერთ პროფესიაზე ოცნებობენ და ხან – მეორეზე, არ იციან, რომელი პროფესია აირჩიონ და რა გზას დაადგინენ. ამ საქმეში მათ სჭირდებათ პედაგოგების, გამოცდილი ადამიანების, ავტორიტეტული პიროვნებების რჩევა-დარიგებანი, მაგრამ „სხვისი სიბრძნის აღქმისათვის, უწინარეს

ყოვლისა, საჭიროა თავისთავზე დამოუკიდებელი მუშაობა“ (ლ. ტოლსტოი). „რარიგ ბრძენ ადამიანთა შორისაც უნდა ტრიალებდე, – გვასწავლის სუხომლინსკი, – ბრძენად ვერ იქცევი, თუ არ გაირჯები... ჭკუა რომ შეიძინო, საკუთარი „ტვინი უნდა გაანძრიო“ (9: 90). ამიტომაც ამბობდა რუსთაველი: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“.

თვითაღზრდის პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ასევე ის, თუ როგორი წარმოდგენა აქვს პიროვნებას საკუთარ თავზე. როცა იგი სათანადოდ ვერ აფასებს თავის თავს, არ სჯერა თავისი ძალებისა და შესაძლებლობისა, მაშინ მისი ნიჭი სრულყოფილად ვერ განვითარდება.

ასევე უარყოფითად მოქმედებს პიროვნების საქმიანობაზე მისი თვითდაჯერებულობა, გადაჭარბებული წარმოდგენა საკუთარ თავზე, რასაც, ხშირ შემთხვევაში, მივყავართ საკუთარი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო, არასერიოზული დამოკიდებულებისა და უნარ-ჩვევების დაქვეითებისაკენ.

ადამიანი არასოდეს არ უნდა კმაყოფილდებოდეს მიღწეულით. იგი მუდამ უნდა მიისწრაფოდეს სულ წინ და წინ. მისი ბრძოლის ყინი არასოდეს არ უნდა ცხრებოდეს. წარუმატებლობის შემთხვევაში გული არ უნდა გაიტეხოს და „ისევ და ისევ შეტევაზე უნდა გადავიდეს“ (ნ. ოსტროვსკი). თვითაღზრდა სწორედ შეუპოვრობისა და საკუთარი თავის გამოსაცდელად გადადგმული პირველი ნაბიჯიდან იწყება. ცნობილი რუსი მწერლის ნ. გოგოლის აზრით, ამა თუ იმ საქმეში წარუმატებლობის შემთხვევაში საკუთარ თავს უნდა მივუდგეთ ოპტიმისტურად, რადგან ყველა წარუმატებლობა ჩვენი დაუდევრობის შედეგია - ან ვიჩქარეთ, ანდა რაღაც გამოგვრჩა. ამიტომ ისევ უნდა ვცადოთ, ისევ უნდა მივუბრუნდეთ იმავე საქმეს და გული არ გავიტეხოთ, როცა მეორე თუ მესამე ცდაზეც ვერ ვაღწევთ დასახულ მიზანს. „დიდი ადამიანები იმიტომაც იქცნენ დიდებად, - წერდა იგი, - რომ ისინი არასგზით არ შემკრთალან პირველი წარუმატებლობისას და არა მარტო პირველი, არამედ რამდენიმე წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი“ (15: 91).

ზნეობრივად სრულყოფილმა ადამიანმა მაშინაც კი არ უნდა შეწყვიტოს ბრძოლა, ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროს, როცა თითქოსდა სიკვდილი გარდაუვალია. ამის ნათელი მაგალითი გვიჩვენა სახელგანთქმულმა ფრანგმა მწერალმა და მფრინავმა ანტუან დე სენტ-ეგზიუპერმა. თვითმფრინავის ავარიის შედეგად ეგზიუპერი და მისი მექანიკოსი პრევი უდაბნოში უწყლოდ და ულუკმაპუროდ რჩებიან და გადარჩენის არავითარი შანსი არ გააჩნიათ, მაგრამ ისინი ბედს

არ ურიგდებიან, სიკვდილს არ ნებდებიან, მშვიერ-მწყურვალი განაგრძობენ გზას და შინ მშვიდობიანად ბრუნდებიან (1: 45).

პიროვნების თვითაღზრდაში ქცევის მოტივად გვევლინება ინტერესი. იგი წარმოშობს ადამიანში თავისთავზე სისტემატური მუშაობის სურვილს და ძირითადად მქლავნდება ადამიანის მიერ თავისი უშუალო მოვალეობის შესრულების პროცესში. ეს ინტერესი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. დადებითი ინტერესი აახლოებს პიროვნებას კოლექტივთან, უარყოფითი კი - აშორებს, იწვევს მისი სულიერი მოთხოვნილების დაქვეითებას, დეგრადაციას. კ. უშინსკის სამართლიანი მტკიცებით, მოსწავლე, რომელიც სწავლობს მხოლოდ იძულებით, ყოველგვარი ინტერესის გარეშე, გულს იცრუებს სწავლაზე და კარგავს მისდამი ინტერესს. და პირიქით, როცა ადამიანს ცოდნის შეძენის სურვილი აქვს, იგი გატაცებით მუშაობს წიგნზე და ამასთან, ნაკლებად იღლებს, ვიდრე არასაინტერესო საქმის კეთებისას.

ინტერესთა უქონლობა ან მათი სიღარიბე ჭაბუკისა და ქალიშვილის ცხოვრებას უფერულსა და უშინაარსოს ხდის და ხელს უშლის მათი პიროვნების სრულფასოვან ჩამოყალიბებას.

ნოდარ ბასილაძე

თვითაღზრდის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ასევე სინდისი, რომელსაც ნოდარ დუმბაძე „საკუთარ შინაგან დიცისპლინას“ უწოდებს. სინდისიერი ადამიანი ყველგან და ყოველთვის ზნეობრივად იქცევა, მაშინაც კი, როცა არავინ უთვალთვალეს; ამასთან, დარწმუნებულია, რომ მის სასიკეთო საქმეს ვერავინ გაიგებს ვერც მაშინ, როცა იგი ასეთ საქციელს სჩადის და ვერც შემდგომში. „იქ, სადაც მთელი აღმზრდელითი მუშაობა აგებულია დასჯაზე, - გვასწავლის ვ. სუხომლინსკი, - თვითაღზრდა არ არსებობს, რამეთუ „დასჯა უკვე ათავისუფლებს აღსაზრდელს სინდისის ქენჯნისაგან, სინდისი კი, მოგეხენებათ, თვითაღზრდის მთავარი ძრავაა; იქ, სადაც სინდისს სძინავს, თვითაღზრდაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“ (18: 642).

თვითაღზრდა მოითხოვს არა მარტო საზოგადოებრივი ნორმების ცოდნას, არამედ ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცესაც. ზოგჯერ პიროვნება გრძნობს, რომ არ არის ისეთი, როგორც უნდა იყოს და ცდილობს, გახდეს უკეთესი, გამოიმუშაოს საკუთარ თავში ჭეშმარიტი ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებები, მაგრამ ამას იგი, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებს. მეტწილად ამის მიზეზია სუსტი ნებისყოფა, ხოლო „იქ, სადაც არ არის ნებისყოფა არც გზა არსებობს“ (ბერნარდ შოუ).

ბავშვმა ნებისყოფა და „კარგობა“ უნდა გამოავლინოს, უწინარეს ყოვლისა, თავის ძირითად საქმიანობაში. მოსწავლისათვის კი ასეთ საქმიანობად ითვლება სწავლა, გონებრივი შრომა, რაც ზოგიერთი მოსწავლისთვის უფრო რთულია, ვიდრე ფიზიკური შრომა. იმისთვის, რომ კარგად მოამზადოს გაკვეთილები, მოსწავლეს ზოგჯერ უხდება საკუთარი სურვილების წინააღმდეგ წასვლა, რასაც უმცროსკლასელები ხშირად ვერ ახერხებენ. ამიტომ ბავშვებს პატარაობიდანვე უნდა გამოვუმუშაოთ ნებისყოფა, რაც სწავლებისა და სწავლის მტკიცე საფუძველია.

ბევრი ადამიანის სიტყვისა და საქმის გათიშულობის მიზეზი სწორედ მტკიცე ნებისყოფის უქონლობაა, რომლის გარეშეც თვითაღზრდა არ არსებობს. შეუპოვარი შრომით, ნებისყოფის დამაბვით შეიძლება მივალწიოთ იმას, რასაც სხვები ვერ აღწევენ. ასეთ ადამიანებს საქმე უკეთ გამოსდით, ვიდრე „გენიალურ ზარმაცებს“. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში მსოფლიოში სახელგანთქმულ გამომგონებელ ედისონს, როცა ამბობდა: გენიოსობა ოთხმოცდა-თხუთმეტი პროცენტი შრომაა და ხუთი პროცენტი ნიჭი.

ნებისყოფის აღზრდის მთავარი გზა არის გარკვეული მიზნის დასახვა და მისი განხორციელებისთვის საკუთარ თავთან შეუპოვარი ბრძოლა. ამიტომაც ყველაზე დიდ გამარჯვებად ვ. სუხომლინსკის საკუთარ თავზე გამარჯვება მიაჩნდა. ე. ი. იმისათვის, რომ ვეწოდეთ თვითაღზრდას, უნდა ვაჯობოთ საკუთარ თავს, დავძლიოთ სიზარმაცე და საკუთარი თავისადმი უნდობლობა, რაც წარმატების საწინდარია.

რაც უფრო აღზრდილი და შეგნებულია ადამიანი, მით უფრო მეტ კონტროლს უწევს საკუთარ ქცევასა და მოქმედებას. თვითაღზრდის პროცესში კი პიროვნებას უყალიბდება საკუთარი თავის თვითშეფასების უნარი და ასე თანდათანობით ვითარდება იგი, მიდის საზოგადოებრივი და მორალური მოთხოვნების შეგნებამდე.

თვითაღზრდაში არანაკლები როლი ენიჭება შრომას. „შრომის პროცესში, - წერს სუხომლინსკი, - ადამიანს ეძლევა თვითაღზრდის, თვითშემეცნების, საკუთარი თავის სრულყოფის უსაზღვრო შესაძლებლობა. შრომის ამოუწურაობის გამო, ადამიანი თვით ხდება ამოუწურავი და მის სრულყოფას საზღვარი არ ექნება“ (9: 117).

შრომაში ადამიანს უვითარდება არა მარტო უნარ-ჩვევები, არამედ ნიჭიც. შრომა მოითხოვს წესრიგს, დისციპლინას, ორგანიზებულობას, მანქანისა და საკუთარი თავის მართვის უნარს და ა. შ. მაგრამ აღმზრდელითია მხოლოდ თავისუფალი შრომა, რომელიც საკუთარი გონებითაა

ნაკარნახევი, როცა თავი და ხელები ერთდროულად, შეთანხმებულად და გააზრებულად მოქმედებენ. ასეთი შრომა შემოქმედებაა და იგი სიხარულსა და კმაყოფილებას გვრის ადამიანს, საბოლოო ჯამში კი, აბედნიერებს მას, ხოლო მონური შრომა უინტერესო და ადამიანის პიროვნების შეურაცხმყოფელია. „მთელს ჩემს ცხოვრებაში მიყვარდა და მიყვარს გონებრივი და ფიზიკური შრომა, – წერდა აკადემიკოსი ივანე პავლოვი, – და მგონი, მეორე უფრო მეტად. განსაკუთრებით კმაყოფილებას ვგრძნობდი მაშინ, როცა...თავსა და ხელებს ვაერთებდი“ (17: 87).

ხელისა და თავის შეერთებაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ ჟან-ჟაკ რუსო, ჩვენს დროში კი – ვ. სუხომილინსკი. ლევ ტოლსტოი ერთდროულად რამდენიმე ნაწარმოებზე მუშაობდა. ერთ ნაწარმოებზე მუშაობით რომ დაიღლებოდა, მეორე მაგიდას მიუჯდებოდა და მუშაობას აგრძელებდა, აქაც რომ დაიღლებოდა, გუთანს ან თოხსა და ბარს კიდებდა ხელს, თიბვამიც არავის ჩამოუვარდებოდა, უყვარდა შეშის დაჩეხვა და ღუმელებთან ჩამორიგება, შემდეგ ისევ გონებრივ შრომას უბრუნდებოდა. გონებრივი და ფიზიკური შრომის ასეთი შენაცვლებით იგი ისვენებდა და ისევ თავიდან იწყებდა ყველაფერს.

გონებრივი შრომით გადაღლის შემთხვევაში სასურველია გადავერთოთ ისეთ სამუშაოზე, რომელიც გონების დაძაბვას არ მოითხოვს. შეიძლება ფიზიკური ვარჯიშების ჩატარებაც ან სატელევიზიო გადაცემების ნახვა, მაგრამ ამ უკანასკნელით ზედმეტად გატაცება მიზანშეწონილი არაა.

ამრიგად, თითოეული ჩვენგანი უნდა იყოს საკუთარ თავის შემოქმედი. საჭიროა მხოლოდ თავისი თავის სწორად შეფასება და ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში, მათი აღმოფხვრისათვის შეუპოვარი ბრძოლა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურობა დამოკიდებულია არა მარტო აღმზრდელობაზე, არამედ აღსაზრდელობაზეც, კერძოდ იმაზე, თუ ვისთან გვაქვს საქმე, როგორია მისი ფსიქოფიზიკური თავისებურებანი (ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება, ნებისყოფა, პასუხისმგებლობის გრძნობა, თვითაღზრდის უნარი და სხვ.), რამდენად მონაწილეობს იგი საკუთარი თავის აღზრდაში, რადგან არავის ძალუძს აღზარდოს ის ადამიანი, რომელიც მოკლებულია თვითაღზრდას, არ ცდილობს საკუთარ თავში ნაკლოვანებების აღმოჩენას და მათ აღმოფხვრას.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ადამიანს საკუთარი თავის სრულყოფის უდიდესი შესაძლებლობანი გააჩნია, მაგრამ იგი ამ შესაძლებლობის მხოლოდ 10%-ს იყენებს. ამას ადასტურებს თანამედროვე მეცნიერებების მიღწევები. მაგალითად, ცნობილი კიბერნეტიკოსისა და მათემატიკოსის რობერტ ნაიმანის გამოთვლით, ადამიანის ტვინს შეუძლია დაიტოს 10²⁰ ინფორმაციის ერთეული. ეს დაახლოებით იმდენია, რამდენიც შეიძლება იყოს ყველაზე დიდ ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნებში.

ადამიანის გონების უდიდეს შესაძლებლობაზე მიუთითებს ასევე ცნობილი კიბერნეტიკოსი ვიქტორ პეკელის თავის წიგნში „შენი შესაძლებლობანი, ადამიანო!“ მასში იგი წერს:

„დასავლეთ საქართველოში, ვანის რაიონში ცხოვრობს არონ ჩიკვაშვილი. იგი თავისუფლად ანგარიშობს მრავალნიშნა რიცხვებს. ჩიკვაშვილის „გამომთვლელმა მანქანამ“ არ იცის დაღლა და შეცდომა.

ერთხელ მეგობრებმა სასწაულმოქმედი მრიცხველის შესაძლებლობის შემოწმება სცადეს. ამოცანა მკაცრი იყო: რამდენ სიტყვასა და ასოს წარმოთქვამს დიქტორი მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის დროსო. ერთდროულად ჩაირთო მაგნიტოფონიც. როგორც კი დიქტორმა ლაპარაკი დაამთავრა, გაისმა პასუხი: 17427 ასო და 1835 სიტყვაო.

წოდარ ბასილაძე

შემოწმებას ხუთ საათს მოუწოდებენ. პასუხი სწორი აღმოჩნდა“ (5: 81).

მოსკოვის ერთ-ერთი გაზეთის რეპორტიორი შერშევსკი ერთი წაკითხვით იმახსოვრებდა დიდ ტექსტებს ზეპირად და რამდენიმე წლის შემდეგ შეეძლო ეთქვა, რომელ გვერდზე რა ეწერა.

ისტორიკოსების გადმოცემით, ალექსანდრე მაკედონელი იცნობდა ყველა თავის ჯარისკაცს, მაშინ, როცა მისი არმია 30 ათას კაცს ითვლიდა. გამოჩენილ რუს მოჭადრაკეს ალიოხინს შეეძლო დაფაზე დაუხედავად ერთდროულად ეთამაშა 30-40 პარტია. გერმანელი პროფესორი გეესტერმანი ასზე მეტ უცხო ენას ფლობდა. ასეთი მაგალითები ცოტა როდია (17: 5).

ზემოთ ჩამოთვლილ პიროვნებებს x-ტვინის ადამიანებს უწოდებენ.

ამრიგად, თვითაღზრდის შესაძლებლობანი ამოუწურავია, რასაც ყველა ეპოქისა და დროის გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიები ადასტურებს. ასე, მაგალითად, დემოსთენე, მიუხედავად თანდაყოლილი ენაბლუობისა, უდიდესი ორატორი გახდა, ფიზიკურად სუსტი ყმაწვილი ალექსანდრე სუვოროვი კი თავის თავზე გულმოდგინე მუშაობის შედეგად ამტანიანი მეომარი დადგა. 70 წლის ასაკში მან შეძლო თავისი არმიის ალპებზე გადაყვანა ყინვასა და ქარბუქში. ამას იგი, ცხადია, ვერ შეძლებდა ენერგიული ვარჯიშისა და ფიზიკური წრთობის გარეშე, ალექსეი მარესიევი კი ფეხების დაკარგვის შემდეგ ვერ მოახერხებდა მწყობრში დაბრუნებას და საბრძოლო თვითმფრინავით ისევ მტრის რისხვად ქცევას.

ა. ჩეხოვი საკუთარი თავის სრულყოფას თვითაღზრდას უმაძღვრდა. მეუღლისადმი გაგზავნილ წერილში იგი დასძენს: „მწერ, რომ გმურს ჩემი ხასიათისა. უნდა გითხრა, რომ ბუნებით უკმეხი ხასიათი მაქვს, ვარ ფიცხი და მისთ... მაგრამ შევეჩვიე თავის შეკავებას, რადგან წესიერ ადამიანს არ შეშვენის საკუთარი თავის ნებაზე მიშვება. წინათ ეშმაკმა უწყის, რას ვაკეთებდი“ (20: 526).

აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ადამიანი დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს საკუთარი თავის სრულყოფაზე, ცალმხრივობის დაძლევაზე და საკუთარი პიროვნების გაკეთილშობილებაზე.

ქვემოთ ნაჩვენები ადამიანების მიერ განვლილი ცხოვრების გზა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რას შეიძლება მიაღწიოს მტკიცე ნებისყოფისა და ხასიათის ადამიანმა, როცა იგი გამოუვალ მდგომარეობაშიც კი სულით არ ეცემა და გამოსავალს პოულობს. აი, ისინი:

„ბევრს ალბათ გაგონილი ექნება, რა უბედურება დაატყდა თავს ფენომენალურ სიმალეზე მხტომელს, მსოფლიო რეკორდსმენს ვალერი ბრუმელს. იგი მოტოციკლით მანქანას შეასკდა და კინაღამ მთლად მოსწყდა ფეხები. კინაღამ იმიტომ ვამბობთ, რომ რამდენიმეჯერ დადგა ამპუტაციის საკითხი, მაგრამ, საბედნიეროდ, სპორტსმენი ამას გადაურჩა, თუმცა ექიმების დიაგნოზი ერთობლივი იყო: თუკი ბრუმელი ოდესმე სიარულს შეძლებს, მხოლოდ ჯოხითა და ყავარჯნებითო. ვალერის კი ხტომა უნდოდა, მარტო ხტომა კი არა, თავისი ფანტასტიკური რეკორდის – 2 მეტრისა და 28 სანტიმეტრის კიდევ უფრო მაღლა აწევა.

...სპორტსმენს ბედმა გაუღიმა: ნიჭიერი ორთოპედი შეხვდა, შეხვდა ექიმი-გამომგონებელი, დამსხვრეული ძვლის მკურნალობის პრინციპულად ახალი მეთოდის შემქმნელი ქირურგი. მაგრამ ბრუმელის გამარჯვებაში მთავარი როლი მაინც თვით ბრუმელმა ითამაშა, მას ფანატურად სწამდა ადამიანის ორგანიზმის შესაძლებლობისა“ (5: 172). და იგი ოპერაციის შემდეგ შეუდგა სისტემატურ დამქანცველ და მტანჯველ ვარჯიშს: ვარჯიშობდა სიმძიმეების აწევაში, თარჯბენში, სირბილში, სიგრძეზე და სიმალეზე ხტომაში, სისწრაფესა და მოქნილობაში. ყოველივე ამან სასურველი შედეგი გამოიღო - ბრუმელმა არა თუ უყავარჯნოდ სიარული, არამედ ხტომაც შეძლო. ცხადია, მას მსოფლიო რეკორდი არ დაუმყარებია, მაგრამ ხტომას

დაუბრუნდა და ნაოპერაცივეი ფეხით 2 მეტრი სიმაღლე დაძლია, რაც კარგად ჩანს 1970 წელს მასზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში.

აი, რას ნიშნავს საკუთარი თავის რწმენა და რკინისებური ნებისყოფა.

ციმბირელმა პროკოფი ნეკტოვმა დიდ სამამულო ომში ორივე ფეხი დაკარგა. ომამდე იგი კოლმეურნეობაში კომბაინერად მუშაობდა. როცა ჰოსპიტლიდან გამოეწერა, სასოწარკვეთი-ლებას მიეცა, მაგრამ ბორის პოლევოის წიგნმა „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“ რწმენა დაუბრუნა – საკუთარ თავში გამონახა ძალა, გამბედაობა და პროთეზებით სიარული ისწავლა, შემდეგ კი კომბაინის შტურვალს მიუჯდა და როგორც საკუთარი თავის, ისე ხალხისთვის სასარგებლო პიროვნებად იქცა. ჩინებული შრომისთვის მთავრობამ მას სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიანიჭა (9: 42).

ივანე ლუკას ძე მოლდავესკი ფრონტზე მძიმედ დაიჭრა და ექიმებმა ორივე ხელი მოკვეთეს. მარცხენა ფეხი კი ისე დაზიანებული ჰქონდა, რომ ვერ ხრიდა. და აი, ამ კაცმა დაამთავრა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი და ოდესის სასოფლო-სამეურნეო კვლევით სადგურში აგრონომად დაიწყო მუშაობა (9: 42).

ცნობილი მეცხოველე სტანისლავ ივანეს ძე შტეიმანი ერთი დღეც არ მჯდარა სასკოლო მერხზე, მაგრამ თავის თავზე დამოუკიდებელი მუშაობითა და თავდადებული შრომის წყალობით გახდა გამოჩენილი სწავლული, მეცნიერებათა დოქტორი, რომელმაც შეძლო, გამოეყვანა ახალი, ეგრეთ წოდებული კოსტრომული ჯიშის ძროხა (9: 42).

ბრმა და ყრუ-მუნჯმა ოლგა სკოროხოლოვამ, მეცნიერებისა და აღმზრდელების დახმარებით, შეძლო წერა-კითხვის შესწავლა, დაამთავრა ჯერ საშუალო, შემდეგ უმაღლესი სასწავლე-ბელი, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და გახდა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის დეფექტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. ო. სკოროხოლოვა ავტორია რამდენიმე ნაშრომისა ბრმათა და ყრუ-მუნჯთა სწავლებისა და აღზრდის თეორიაში. მისი წიგნი „როგორ აღვიქვამ გარე სამყაროს“ რამდენჯერმე გამოიცა და მიენიჭა კ. უშინსკის I და სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის II ხარისხის პრემიები. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (10: ? 429). აი, კიდევ ერთი მაგალითი. ლენინგრადში გამართულ მხატვრული თვითმოქმედების დათვალეიერებაზე პირველი პრემია ჟიურის ყველა წევრმა ერთსულოვნად მიაკუთვნა ექიმ ირინა კლიმენტიევას, რომელიც ასრულებდა ინდური გოგონას ცეკვას ყარა-ყარაევის ბალეტში.

მერე ამაში რაა გასაკვირი, იკითხავთ თქვენ და სავსებით მართალი იქნებით, თუ მხედველობაში არ მიიღებთ იმას, რომ იგი პროთეზებით ცეკვავდა.

უბედური შემთხვევის შედეგად ირინა კლიმენტიევამ დაკარგა ორივე ფეხის ტერფი. გოგონა პირველ ხანებში სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, მაგრამ სულ მალე გამონახა საკუთარ თავში ძალა, ენერგია, ნებისყოფა და ისწავლა ციგურაობა და თხილამურებით სრიალი, შემდეგ კი ცეკვის შესწავლას შეუდგა. სანამ იგი სრულყოფილად დაეუფლებოდა ცეკვის ხელოვნებას, არაერთხელ ჰქონია წარუმატებლობის შემთხვევები, მაგრამ ირინა გულს არ იტეხდა, ისევ და ისევ ვარჯიშობდა, უძლებდა ტკივილს, ტანჯვა-წამებას, იმედის გაცრუებას და ბოლოს სასურველ შედეგს მიაღწია (12: 118).

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი არის თავისი ბედის მჭედელი. საჭიროა მხოლოდ მონდომება და დასახული მიზნისკენ შეუპოვარი ლტოლვა.

ადამიანს თავისი ცხოვრების გზაზე ყოველთვის უხდებოდა და კვლავაც მოუხდება ეკლიანი გზით სიარული, მრავალი წინააღმდეგობისა და დაბრკოლების გადალახვა, რადგან ცხოვრება

წოდარ ბასილაძე

ბრძოლაა, ბრძოლა, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავთან. ამ ცხოვრებისეულ ბრძოლაში დასახულ მიზანს აღწევს მხოლოდ ის, ვისაც ძალუმს საკუთარი თავის დამორჩილება, შინაგანი წინააღმდეგობების დამლევა და მტკიცე ნებისყოფისა და შეუვალი ხასიათისაა.

ცხოვრება ისე როდია მოწყობილი, რომ ადამიანმა, განსაკუთრებით მოზარდმა, შეცდომა არ დაუშვას, მაგრამ თუ იგი ნამდვილი ადამიანია, უნდა შეძლოს საკუთარი შეცდომების დანახვა, აღიარება და მისი გამოსწორება. ამას მოახერხებს მხოლოდ ისეთი პიროვნება, რომელსაც საკუთარი თავის გარდაქმნისა და სრულყოფის სურვილი გააჩნია და გამუდმებით მუშაობს თავის თავზე.

ყველა ადამიანმა უნდა ჩაიხედოს საკუთარ გულში და იკითხოს: „ვინ ვარ მე?“ „რისთვის ვცხოვრობ ამქვეყნად?“ „რა არის ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ცხოვრებაში?“ „რით დავიმსახურო ხალხის პატივისცემა?“ „რა გამიკეთებია აქამდე და რა უნდა გავაკეთო მომავალში?“ „რით მომიგონოს ჩემმა შემდგომმა?“ ე. ი. თითოეულმა ჩვენგანმა სწორად უნდა შეაფასოს საკუთარი თავი და მოვალეობა ერისა და ქვეყნის წინაშე და იბრძოლოს ამ მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში არ დაგივიწყებს ერი არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ. ასეთი კაცის საფლავის ქვაზე წააწერენ ხოლმე: „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგეს“. იმ კაცს კი, ვინც მარტო თავისთვის ცხოვრობს და მხოლოდ პირადი ეგოისტური, ცხოველური (იმპულსური) მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის იბრძვის, სიკვდილის შემდეგ არავინ იხსენებს.

აკადემიკოსი პ. კოჩინა წერს: „...საკუთარ თავს უნდა ვებრძოლოთ, საკუთარი თავი უნდა აღვზარდოთ...“

თითოეული ჩვენგანი უნდა იყოს საკუთარი თავის მკურნალი... მთავარია – ვისწავლოთ კრიტიკული დამოკიდებულება არა მარტო სხვების მიმართ, რაც გაცილებით ადვილია, არამედ საკუთარი თავისადმიც...

გამოავლენ რა საკუთარ ნაკლს, ებრძოლე მას. დაისახე მიზანი – იბრძოლე მისი განხორციელებისათვის“ (14).

ანალოგიურ აზრს ავითარებს ცნობილი ამერიკელი პედაგოგი დეილ კარნეგი. იგი წერს:

„ალბათ, არიან ისეთი ადამიანები, რომელთა შეცვლა, გადაკეთება ან სრულყოფაც გინდათ... მაგრამ... რატომ არ გვინდა დავიწყოთ საკუთარი თავით? წმინდა ეგოისტური თვალსაზრისითაც კი ეს გაცილებით უფრო სასარგებლო და ხელსაყრელია, ვიდრე სხვების გაკეთილშობილება“ (2: 17).

თვითაღზრდის მოთხოვნილება გააჩნიათ როგორც ნებისყოფიან, ისე უნებისყოფო ადამიანებს, მაგრამ სასურველ მიზანს ამ საქმეში მხოლოდ ნებისყოფიანები აღწევენ. ამიტომ იყო, რომ შშიშარა და სუსტნებისყოფიან აღსაზრდელებს ა. მაკარენკო გაბედულთა ბრიგადაში აერთიანებდა, ღამით თოფით ხელში კოლონიის მორიგედ აყენებდა, რთულ, მაგრამ შესასრულებლად დასაძლევ დავალებას აძლევდა. ამით იგი მოზარდს მტკიცე ნებისყოფას უმუშავებდა (11: 21).

საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ადამიანი სხვების დაუხმარებლადაც აღწევს საგრძნობ წარმატებებს თვითაღზრდაში, მაგრამ, რაც შეეხება გეგმაზომიერ და მიზნმიმართულ თვითაღზრდას, იგი სასურველ შედეგს იძლევა ნებისმიერ ასაკში, ოღონდ ერთი პირობით, თუ საკუთარ თავზე ვიმუშავებთ სისტემატურად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თვითაღზრდა დამოკიდებულია პიროვნების ნებისყოფაზე, მის შეგნებასა და რწმენაზე, მის წარმოდგენაზე ცხოვრების აზრისა და ადამიანის დანიშნულების შესახებ. ადამიანი შეიძლება გრძნობდეს საკუთარ ნაკლს, მაგრამ თუ მას მაღალი იდეალების რწმენა არ გააჩნია, თუ მის ცნობიერებაში არ განმტკიცებულა სიკეთისა და სილამაზის გრძნობა, სხვისი სამსახურის შინაგანი მოთხოვნილება, იგი ვერ გამონახავს საკუთარი ნაკლის გამოსწორების გზებს და ვერ ჩადგება მოწინავეთა რიგებში.

PEDAGOGY

SELF-EDUCATION AND ITS POSSIBILITIES

NODAR BASILADZE

e-mail: nodarbasiladze1936@gmail.com

Doctor of pedagogic sciences, professor

ABSTRACT: Self-education is one of the main components of the education process. It is a difficult, long and contradictory process and it involves self-ordering and perfection by a person. Only an educated, conscious and morally perfect person is capable of self-education. Its content is mainly determined by the social conditions in which a person has to live. The nature of self-education depends greatly on the inner nature of the person himself, his activity, willpower, level of upbringing, consciousness and other factors. The success of each person in personal and public life greatly depends on its strength.

The possibilities of self-education are endless. It is scientifically proven that a person has the greatest potential for self-improvement, but he uses only 10% of this potential.

KEYWORDS: education, self-education, self-esteem, work on oneself, self-improvement, activity, willpower, goal, motive, work.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე ნ. პიროვნების განვითარება და თვითაღზრდა, ბათუმი, 2009.
2. კარნეგი დ. როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ ვიმოქმედოთ ადამიანებზე, თბ., 1992.
3. კვაჭანტირაძე თ. სიტყვა, თბ., „სამშობლო ფორტე“, 2002.
4. პედაგოგიკის ისტორია, პროფ. ნ. ვასაძის რედაქციით, თბ., 1988.
5. პეკელისი ვ. შენი შესაძლებლობანი, ადამიანო! თბ., 1978.
6. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია, თბ., 1986.
7. სუხომლინსკი ვ. კეთილყავ გული შენი, გაზ. „კომუნისტი“, 1979, 26 აგვისტო.
8. სუხომლინსკი ვ. მშობელთა პედაგოგიკა, თბ., „ცოდნა“, 1981.
9. სუხომლინსკი ვ. წერილები შვილებს, ბათუმი, „ალიონი“, 2008.
10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბ., 1985.
11. ჯღარკავა ი. მოსწავლეთა თვითაღზრდა, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1982, №4.

-
12. Бондаревский В.Б. Воспитание интереса к знаниям и потребности к самообразованию: Книга для учителя. - М.: Просвещение, 1985.
 13. Ковалев А. Г. Личность воспитывает себя. - М.: Политиздат, 1983.
 14. Комсомольская правда, 1963, 1 октября.
 15. Наука и жизнь, 1966, №3.
 16. Рувинский Л. И. Самовоспитание школьника. - М., 1968.
 17. Рувинский Л. И. Самовоспитание чувств, интеллекта, воли. - М., 1983.
 18. Сухомлинский В.А. Сто советов учителю. - Избр. произведения, т. 2, Киев, 1979.
 19. Тагор Р. Соч.: В 12 томах, т. 11, М., 1965.
 20. Чехов А. П. Соч., т. 12, М., 1957.

HISTORY OF FOREST COVER

A BRIEF OVERVIEW OF THE HISTORICAL DEVELOPMENT OF THE FLORA AND VEGETATION OF AJARA IN CONNECTION WITH THE GEOLOGICAL PAST OF THE CAUCASUS

VANO PAPUNIDZE

e-mail: vano.papunidze@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

ABSTRACT: The article discusses the structure of vegetation cover of Ajara and its changes throughout the geological history of the territory of the region, from the Carboniferous (coal) period of the Paleozoic era to the present day. The available rich paleo-geographical and paleo-botanical sources have been used.

KEYWORDS: mountain forests, vegetation, flora of Adjara, geology

This chapter of the discussion of the book uses David Manjavidze's work "Relict Forests of Ajara and Their Economic Importance" (published in Russian, "Metsniereba" publishing, Tbilisi, 1982) and Revaz Kvachakidze's work "History of the Vegetation of Georgia" ("Metsniereba" publishing, Tbilisi, 2002). In the mentioned reviewing works the structure and change of the Georgian vegetation have been considered throughout the geological history of the territory of the country from the Carbon period of the Paleozoic to this day. The available paleogeographical and paleobotanical sources have also been used.

In order to study the history of the flora and vegetation of Ajara, it is necessary to become familiar with the geological past of Ajara itself, as well as the entire Caucasus and some other neighboring regions.

The Caucasus is a mountainous country with rather varied natural conditions. Its natural boundaries are: to the west the Black Sea and the Azov Sea coasts, to the east - the Caspian Sea, to the north - the Kuma-Manych depression, and the southern border is conventionally taken to be the former USSR border with Turkey and Iran. the Russian Plain stretches north from the Caucasus; to the west - the Black Sea and further the belt of the Mediterranean countries that have great impact on the Black Sea littoral of the Caucasus; to the south are the highlands of Western Asia (Anatolian, Armenian, Iranian), influencing the Transcaucasian Highlands; east of the Caucasus, across the Caspian Sea, are the deserts of Central Asia, which left "their mark on the landscapes of the Kurinsk Depression, eastern Ciscaucasia, basin of the middle Aras river" (N. A. Gvozdetski, 1954, p. 5).

The Caucasus is usually divided into two parts: North Caucasus and Transcaucasia. However, due to a great natural diversity, B. F. Dobrinin (1948) considers it reasonable to divide it into the following large regions: Greater Caucasus, Ciscaucasia, plains of Transcaucasia, Lesser Caucasus, South Caucasus (Armenian) volcanic highlands. N. A. Gvozdetsky (1954), F. N. Milkov and N. A. Gvozdetsky (1962) distinguish the following main orographic areas: Ciscaucasia; Greater Caucasus; Colchis Lowland and Kura Depression (including Kura-Aras Lowland); Transcaucasian Highlands (including not only the

VANO PAPUNIDZE

Caucasian part of the Armenian volcanic highlands, called by V.F. Dobrynin “South Caucasian highlands”, but also the system of its marginal folded chains). Along with these areas, N.A. Grozdetsky (1954) identifies the Talysha Mountains with the Lenkoran Lowland as a separate geographical region, at the same time, the Kalish Mountains are viewed as one of the segments of the crooked chains of the Iranian part of the Armenian Highlands.

The geological development of the Caucasus has a long and complex history. The work of many researchers is devoted to this issue: A. N. Javakhishvili (1926, 1947), B. F. Dobrinin (1948), N. A. Grozdetsky (1954, 1958, 1963), F. N. Milkov and N. A. Grozdetsky (1962), L. I. Maruashvili (1952), K. N. Kaffengolz (1959), V. V. Belousov (1938, 1939), V. E. Hain (1949), V. E. Hain and L. N. Leontyev (1950), A. E. Krivolutsky (1961), groups of authors (Geology of Georgian SSR, 1964), V. P. Rengarten, P. D. Gamkrelidze (1949), A. I. Janelidze, G. S. Dzotsenidze (1964), K. E. Gabunia, I. V. Kacharava and many others.

It is assumed that by the end of the Triassic period there was a general uplift of the country and drainage of the territory. The marine regime was preserved in those places where the deeply sagging parts of geosynclines developed. At the beginning of the Jurassic, the subsidence of the country and transgression of the sea began again, but some parts of Ciscaucasia, the inner part of the Transcaucasian Highlands and the Rioni-Kura depression remained unflooded. Subsequently, elevations arose in geosyncline basins, and at the end of the Jurassic period significant uplifts occurred, causing sea regression in a number of places (N. A. Grozdetsky, 1954).

The first records of young terrestrial plants in the present territory of Georgia belong to the **Carboniferous (coal) period of the Paleozoic Era** (360-290 million years ago). Researchers have discovered many representatives of the oldest plants of the Earth in the Paleozoic sediments of Georgia, in particular, *Lepidodendrons* (family – *Lepidodendraceae*), *Sigillaria* (family – *Sigillariaceae*), *Calamites* (*Calamitaceae*), Seed ferns (family – *Lyginopteris*), *Cordites* (family- *Cordaitaceae*), etc. (Shatilova, Ramishvili, 1990). Some of these plants (*Lepidodendrons*, *Sigillaria*, *Calamites*) reached a height of 50 m. Most of the mentioned ancient plants, as is known, disappeared from the face of the earth in the Paleozoic era (some of them gave rise to later plants).

In the Paleozoic era and the Jurassic period of the Mesozoic era (200-137 million years ago), as is known from paleogeographical sources, the present territory of Georgia was covered by the sea. Only ancient massifs were raised from the water (*Dzirula*, *Khrami*, *Loki*) and other separate islands.

In the Jurassic era, a great shift occurred in the development of plants on earth; cycads and other gymnosperms took a dominant position. The flora, as noted by V.L. Komarov (1961), became more diverse and differed sharply from the vegetation of the Carboniferous period. Fossil flora of the Jurassic system has been discovered in many regions of Eurasia, including the Caucasus. To this and the Early Cretaceous flora is devoted the special monograph by A. F. Vakhrameev (1964). First information about the Early Jurassic flora of the Caucasus are presented in the works by A. F. Lesnikova (1915) and A. N. Krishtafovich (A. D. Stopnevich, A. N. Krishtafovich, 1917), according to the materials collected in the basins of the rivers Kuban and Baksan.

Later, new collections of plant residues from the North Caucasus were processed by V. A. Vakhrameev and R. A. Vasina (1959), V. A. Vakhrameev and V. A. Krasilov (1961). Among this flora, the following representatives were found: ferns, cycads, *Ginkgoaceae*, conifers, etc.

In the **Paleozoic and early Mesozoic eras (Triassic and Jurassic periods)**, as paleobotanical materials confirm, the vegetation (flora, plant cover) on the entire land of the Earth was quite uniform, the above-mentioned ancient plants actually spread to all parts of the earth. Regional differentiation of vegetation began relatively late and was associated with the formation of the Earth's land area.

11. When there are no parallel, synonymous, or other corresponding elements in the source and target languages, translation requires particular caution. This lies in a nuanced approach, where the translator must find ways to convey the intended aggression while maintaining grammatical correctness and proper coherence of the text. This may involve selecting lexical units during translation that still reflect the tone and intent of the original, but in a tone that is acceptable to the target audience. Verbal aggression often aims to provoke a strong emotional or psychological response. In translation, it is naturally advisable to ensure that this impact is not lost or diminished. However, it is equally important to avoid further escalation of conflict in cases of communication with an aggressive nature.
12. Translating aggressive content also involves ethical responsibility. The translator must be careful not to escalate aggression or show bias. This is especially important in discourses such as legal documents, media, or educational material, and particularly in sensitive contexts such as politically charged social discourse, which manifests in the everyday lives and activities of communicators. In such cases, the consequences of misinterpreting the translated text could be disastrous.

ლინგვისტიკა

ვერბალური აგრესიის სტრატეგიები ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ დისკურსში

კახა თავდგირიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: kakha.tavdgiridze@bsu.edu.ge

ქეთევან სვანიძე

ელ-ფოსტა: ketevan.svanidze@bsu.edu.ge
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: ადამიანის მიერ მსოფლიოს გააზრების პროცესი ენის საშუალებით ხორციელდება; ადამიანები საკუთარ ცნობიერებაში აყალიბებენ კავშირებს საგნებსა და მოვლენებს შორის და მათ ვერბალური საშუალებებით აცოცხლებენ. ენა ასევე პიროვნების სოციალური და ეროვნული იდენტობის გამოხატულებას წარმოადგენს; მას ოთხი ძირითადი ფუნქცია აქვს: (ა) კომუნიკაციური ფუნქცია – ენა არის ადამიანებისთვის კომუნიკაციის საშუალება და, შესაბამისად, საზოგადოების ფორმირებისა და არსებობის ერთ-ერთი ძირითადი პირობა; (ბ) ექსპრესიული ფუნქცია – ენა გამოხატავს კაცობრიობის შინაგან სამყაროს; (გ) კონსტრუქციული ფუნქცია – ენა არის აზრების ფორმირებისა და გამოხატვის საშუალება; და (დ) აკუმულაციური ფუნქცია – ენა ინახავს ეროვნული კულტურის და კაცობრიობის მიერ შექმნილი ცივილიზაციის ყველა მიღწევას. შეიძლება ითქვას, რომ ენა ისაა, რაც ადამიანს აქცევს ადამიანად.

პოლიტიკოსების მიერ ვერბალურად გამოხატული აგრესია კომუნიკაციაში ძლიერ მანიპულაციურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ვერბალური აგრესიის განსახორციელებლად ისინი იყენებენ კონკრეტულ კომუნიკაციურ სტრატეგიებს, ისეთებს, როგორცაა, მაგალითად, ვერბალური ენა (წერილობითი ან ზეპირი კომუნიკაცია), არავერბალური ენა (მიმიკა, ხმის ტონი და სხეულის ენა) და ვიზუალიზაცია.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, განსაზღვროს, აღწეროს და გააანალიზოს ვერბალური აგრესიის ნიშნები, რომლებიც წარმოიშობა პოლიტიკური სიტუაციისა და სოციალური კონტექსტის გავლენით თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ დისკურსში. ასევე, ნაშრომის მიზანია, გამოავლინოს ამ აგრესიის მიზეზები, შეისწავლოს და გააანალიზოს ლინგვისტური ტრანსფორმაციები და განსხვავებების კულტურული და ეროვნული ფესვები. კვლევის ამოცანაა, გამოავლინოს და გააანალიზოს ლინგვო-სოციალური მახასიათებლები, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალ-პოლიტიკური დისკურსის „დაბინძურებულ“ ბუნებას. კვლევის მიზანი არ არის სრულად მოიცვას და ამოწეროს ეს ორი დისკურსი, რადგან გვესმის, რომ ორივე საკმაოდ ვრცელია. ამის ნაცვლად, ნაშრომის მიზანია, განიხილოს საზოგადოების პოლიტიკური მოვლენებისა და სიტუაციების ანარეკლი დღევანდელ რეალობაში და აჩვენოს, როგორ ვრცელდება პოლიტიკური აზროვნება საზოგადოებაში და რა მასშტაბით ახდენს პოლიტიკა გავლენას სოციალურ ცხოვრებაზე.

კვლევის მთავარი ობიექტია პოლიტიკოსების მეტყველება, მათი საჯარო გამოსვლები, სტატუსები, კომენტარები, შენიშვნები და გზავნილები, რომლებიც საზოგადოებას სხვადასხვა სოციალურ ქსელში გვხვდება.

ჩვენ მიერ კვლევის პროცესში გამოყენებული ძირითადი მეთოდებია: დაკვირვება, აღწერა (ანუ დესკრიფციული მეთოდი), რომელმაც საშუალება მოგვცა დაგვემუშაებინა ემპირიული მასალა და წარმოგვედგინა მისი ინტერპრეტაცია; შედარებითი მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევდა, შეგვედარებინა და გაგვეკეთებინა ვერბალური აგრესიის შემცველი ტექსტების ანალიზი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

კვლევის მთავარი ამოცანაა, იპოვოს კავშირი ზემოთხსენებულ ლინგვისტურ ნიშნებსა და მათ მიერ გამოწვეულ ეფექტებს შორის, ასევე, გააანალიზოს მათი ინტენსივობის დონეები იმ კონტექსტში, რომელშიც ისინი გამოიყენება.

საკვანძო სიტყვები: ქართული პოლიტიკური დისკურსი, ლინგვისტური მნიშვნელობა, პოლიტიკური კომუნიკაცია, მეტყველების მახასიათებლები, ვერბალური აგრესია.

References:

1. Adamzik, K. (2004) "Sprache: Wege zum Verstehen". Tübingen/Basel: Francke;
2. Bakai, Y. I. (2022). "Psycholinguistic peculiarities of verbal aggression in English Political Discourse". Academic Journal of Nawroz University, 11(2);
3. Baker, M. (1992). "Meaning-Based Translation: A Guide to Cross-Language Equivalence". Lanham and New York: University Press of America;
4. Catford, J. (1965). "Translation: application and research". New York: Gardner Press Inc.;
5. Fairclough, N. (1992). "Critical Language Awareness", London: Harlow;
6. Foucault, M. (1981). "Archäologie des Wissens". Übersetzt von Ulrich Köppen, Frankfurt, a.M.: Suhrkamp;
7. Krysin, L. (1996). "Euphemisms in the modern Russian language / Russian language of the late XX century";
8. Melnychenko, I. (2018, September). "Approaches to definition of verbal aggression in political discourse". Science and Education a New Dimension (177);
9. Vorontsova, T. A. (2006). "Speech aggression in the communicative discourse paradigm". "Linguistics and Intercultural Communication", 1;

КАКНА ТАВДГИРИДZE, КЕТЕВАН SVANIDZE

10. Сергеевна М.В. (2017). "Особенности Речевой агрессии в СМИ (На материале Англо и Русскоязычных масс-медиа)". Белгород;
11. Щербинина, Ю. В., & Флинта М. (2004). „Русский язык. Речевая агрессия и пути ее преодоления“. В Ю. В. Щербинина, „Русский язык. Речевая агрессия и пути ее преодоления“.
12. <https://www.facebook.com/natelashvilishalva/posts/pfbid02jLojXJm8SEAUfEHFor3RRNuabcyz9gEJRWxvMzfiqBENa89V7POP6NnvdmJnByl> ;
13. <https://www.facebook.com/www.cyc.ge/posts/pfbid02m6FjiMGf3yizuhagFBkC7g5NizpX8uBvGNf9gzLkYQrj8dY1PmK5v8Mmd5nBmGgl> ;
14. <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=217939309864133> ;
15. <https://www.facebook.com/natelashvilishalva/posts/pfbid02DTXTU11885BnHRJmBtfYRTEtY1qz4Zp35EP2htwyy9jM1Vy76ToXLG5ifxjaggdpl> ;
16. <https://www.facebook.com/natelashvilishalva/posts/pfbid02gxKaZZQ174TEf7r3fjV2wTbg7FhyjxnjDir3A17haAMQ9fFeaULaJY2PZjqyUpQl> ;
17. <https://ajaratv.ge/article/71854?fbclid=IwAR3KFrxbokup4dd5UiCKGchbq4uW7UtabPx-oQsMg5GbRAXwxh6LxHezDs>.

ფიზიკური აღზრდა

ფიზიკური აღზრდის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობაში

ბესიკ ციცაგი

ელ.ფოსტა: besik.tsitsagi@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: ფიზიკური აღზრდა არის საგანმანათლებლო სისტემების ფუნდამენტური ასპექტი მთელს მსოფლიოში, რომელიც გვთავაზობს არა მხოლოდ ფიზიკური აქტივობის შესაძლებლობებს. მისმა მრავალმხრივმა როლმა ჰოლისტიკური ჯანმრთელობის პოპულარიზაციაში გახადა ის ჯანმრთელობის ხელშეწყობის ქვაკუთხედად, რომელიც ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა უმოძრაო ცხოვრების წესი, ქრონიკული დაავადებების მზარდი გავრცელება და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები. ეს სტატია განიხილავს ფიზიკური აღზრდის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის მის წვლილს ფიზიკურ, გონებრივ და სოციალურ კეთილდღეობაში, მის როლს ჯანმრთელობის უთანასწორობის შემცირებაში და ინოვაციურ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება მისი გავლენის გასაძლიერებლად. მისი შესაბამისობის, პოტენციალისა და გამოწვევების მიმოხილვით, ეს სტატია ხაზს უსვამს ჯანმრთელობის ხელშეწყობის ინტეგრირების მნიშვნელობას ფიზიკური აღზრდის სასწავლო გეგმებში, რათა შეიქმნას უფრო ჯანსაღი და აქტიური საზოგადოებები.

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური განათლება, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ქრონიკული დაავადებები, ფსიქიკური ჯანმრთელობა, ინკლუზია

შესავალი.

ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობა საყოველთაოდ არის აღიარებული, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში ფიზიკური აქტივობის დონის საგანგაშო კლებაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, ფიზიკური უმოქმედობა მეოთხე წამყვანი რისკ-ფაქტორია გლობალური სიკვდილიანობისთვის, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს არაგადამდებ დაავადებებში (NCD), როგორცაა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი და ავთვისებიანი სიმსივნე. ფიზიკური აღზრდა (ფა), როგორც სტრუქტურირებული და ფართო მიდგომა ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობისთვის, ჩნდება, როგორც ამ მზარდი პრობლემის კრიტიკული გადაწყვეტა [1].

ფიზიკური აღზრდის ტრადიციული ფოკუსირება ფიზიკურ ფიტნესზე და სპორტულ უნარებზე გასცდა საზღვრებს, გაფართოვდა და ახალი ფოკუსირება მოახდინა ჯანმრთელობის უფრო ფართო შედეგებზე, მათ შორის გონებრივ და ემოციურ კეთილდღეობაზე, სოციალურ ჩართულობაზე და ჯანმრთელობის ხელშეწყობაზე. ეს ტრანსფორმაცია ასახავს მის განვითარებას, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიების ძირითად კომპონენტს, რომელიც მიმართულია ქრონიკული დაავადებების პრევენციაზე, ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობაზე და ჯანსაღი ჩვევების ხელშეწყობაზე მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ნაშრომი განიხილავს ფიზიკური აღზრდის როლს ჯანმრთელობის ხელშეწყობაში, შეისწავლის მის წვლილს, გამოწვევებს და სამომავლო მიმართულებებს ამ სფეროში. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ ფიზიკური აღზრდა შეიძლება იყოს ძლიერი ინსტრუმენტი ინდივიდუალური და

პოსტ ციცაბი

საზოგადოების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად სტრატეგიული სასწავლო გეგმის შემუშავების, სწავლების ინოვაციური მეთოდებისა და საზოგადოების თანამშრომლობის გზით [1].

ფიზიკური აღზრდა და მისი მრავალმხრივი როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობაში.

1. უმოდრო ცხოვრების წესთან ბრძოლა.

ტექნოლოგიურ ცხოვრების წესზე გადასვლამ მკვეთრად შეამცირა ფიზიკური აქტივობის დონე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში. ფიზიკური აღზრდის პროგრამები ცალსახად არის განლაგებული ამ ტენდენციის საწინააღმდეგოდ:

- უზრუნველყოს სტრუქტურირებული შესაძლებლობები რეგულარული ფიზიკური აქტივობისთვის;
- სტუდენტების განათლება მჯდომარე ქცევის რისკებისა და აქტიური ცხოვრების წესის სარგებლობის შესახებ;
- სხვადასხვა სახის ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობის წახალისება, რომელიც შეესაბამება სხვადასხვა ინტერესებსა და შესაძლებლობებს.

კვლევამ აჩვენა, რომ ძლიერი ფიზიკური აღზრდის პროგრამების მქონე სკოლები აფიქსირებენ სიმსუქნის უფრო დაბალ მაჩვენებელს და უფრო მაღალ ფიზიკურ აქტივობას მოსწავლეებს შორის, რაც მიუთითებს ფიზიკური აღზრდის კრიტიკულ როლზე მჯდომარე ცხოვრების სტილის ტენდენციების შეცვლაში.

2. ქრონიკული დაავადებების ჯანმრთელობის პრევენცია და მკურნალობა.

ფიზიკური აღზრდა არის ქრონიკული დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის განუყოფელი ნაწილი. აქტივობებით, რომლებიც ხელს უწყობენ გულ-სისხლძარღვთა ჯანმრთელობას, ძალასა და მოქნილობას, სტუდენტებს შეუძლიათ შეამცირონ ისეთი დაავადებების განვითარების რისკი, როგორცაა:

- *სიმსუქნე*: კალორიების ხარჯვის გაზრდით და ჯანსაღი ჩვევების დამკვიდრებით.
- *დიაბეტი*: ინსულინის მგრძობილობის გაზრდით რეგულარული ვარჯიშით.
- *გულის დაავადება*: გულის ჯანმრთელობის გაუმჯობესება აერობული და ანაერობული ვარჯიშებით.

გარდა ამისა, ფიზიკური აღზრდის პროგრამები ხშირად მოიცავს ჯანმრთელობის განათლების კომპონენტებს, რომლებიც ასწავლიან სტუდენტებს კვების, ჰიდრატაციისა და ვარჯიშის ფიზიოლოგიურ სარგებელს. ეს ჰოლისტიკური მიდგომა საშუალებას აძლევს სტუდენტებს გააცნობიერონ კავშირი მათ ქცევასა და ჯანმრთელობის გრძელვადიან შედეგებს შორის.

3. სარგებელი ფსიქიკური და ემოციური ჯანმრთელობისთვის.

ფიზიკური აქტივობის სარგებელი ვრცელდება გონებრივ და ემოციურ კეთილდღეობაზე. ფიზიკური აღზრდა ხელს უწყობს:

- შეამცირეთ სტრესი: ფიზიკური აქტივობა გამოყოფს ენდორფინებს, ამცირებს სტრესს და აუმჯობესებს თქვენს განწყობას.
- კოგნიტური ფუნქცია: რეგულარული ვარჯიში აუმჯობესებს მეხსიერებას, კონცენტრაციას და აკადემიურ მოსწრებას.
- სოციალური კავშირები. გუნდური სპორტი და ჯგუფური აქტივობები ხელს უწყობს თანამშრომლობას, კომუნიკაციას და ინტერპერსონალურ უნარებს.

გარდა ამისა, გონების და რელაქსაციის ტექნიკის ჩართვა სავარჯიშო პროგრამებში, როგორცაა იოგა და მედიტაცია, ნაჩვენებია ემოციურ სტაბილურობას და ამცირებს შფოთვის და დეპრესიას.

4. თანასწორობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობაში ჩართულობის ხელშეწყობა.

- ხარისხიანი ფიზიკური აღზრდის პროგრამებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა აუცილებელია ჯანმრთელობის უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. სტრატეგიები მოიცავს:
- ადაპტური ფიზიკური განათლება: აქტივობების შეცვლა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის.
- გენდერული ინკლუზიური მიდგომები: ყველა სქესის მონაწილეობის წახალისება სტერეოტიპების გამოწვევით.
- კულტურული პასუხისმგებლობა: პროგრამების შემუშავება, რომელიც პატივს სცემს და ასახავს მრავალფეროვან კულტურულ ფონსა და პრეფერენციებს.

ისეთი ბარიერების გადაჭრა, როგორცაა რესურსების შეზღუდვა, გაწვრთნილი ინსტრუქტორების ნაკლებობა და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები, უზრუნველყოფს, რომ პროფესიული განათლების პროგრამები ყველა სტუდენტს სარგებელს მოუტანს, მიუხედავად მათი წარმოშობისა და გარემოებებისა.

ინოვაციური მიდგომები ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად ფიზიკურ აღზრდაში.

1. ტექნოლოგიების ინტეგრაცია

ციფრული ხელსაწყოების დანერგვამ ფიზიკურ აღზრდაში შეცვალა გაკვეთილების ჩატარება და მონიტორინგი. ინოვაციები მოიცავს:

- Wearables: თვალყური ადევნეთ თქვენს ფიზიკურ აქტივობას, გულისცემას და პროგრესს რეალურ დროში.
- გემიფიკაცია: ფიზიკური აქტივობის გართობა ფიტნეს გამოწვევებისა და ინტერაქტიული თამაშების მეშვეობით.
- ვირტუალური რეალობა (VR): გთავაზობთ განსაცვიფრებელ გამოცდილებას აქტივობებში, როგორცაა სპორტული ვარჯიში და სათავგადასავლო სიმულაციები.

2. პოლისტიკური სასწავლო გეგმის შემუშავება [1].

თანამედროვე ფიზიკური აღზრდის პროგრამები აერთიანებს ჯანმრთელობის განათლებას ფიზიკურ აქტივობასთან, რომელიც მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა:

- კვების და დიეტის არჩევანი;
- ძილის გავლენა საერთო ჯანმრთელობაზე;
- სტრატეგიები სტრესის მართვისა და სამუშაო-ცხოვრების ბალანსისთვის.

ეს მიდგომა აძლევს სტუდენტებს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ფართო გაგებას ფიზიკური აქტივობის მიღმა [2].

მასწავლებლების როლი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაში.

პედაგოგები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფიზიკური აღზრდის გზით ჯანმრთელობის ხელშეწყობაში. მისაბამი და ადვოკატის როლის შემსრულებლად, მათ შეუძლიათ:

- დანერგეთ პოზიტიური დამოკიდებულება ფიზიკური დატვირთვისა და ჯანმრთელობის მიმართ.
- შექმნით გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ინკლუზიურობას და აქტიურ მონაწილეობას.
- მხარი დაუჭირეთ პოლიტიკის ცვლილებებს, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებს ჯანმრთელობაზე ორიენტირებულ განათლებას.

ამსია ციცაბი

მათი გავლენის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, მასწავლებლებს სჭირდებათ მუდმივი პროფესიული განვითარება, რათა შეინარჩუნონ ახალი ტენდენციები, კვლევები და სწავლების სტრატეგიები ჯანმრთელობის ხელშეწყობაში [3].

ჯანმრთელობაზე ორიენტირებული ფიზიკური აღზრდის პროგრამების განხორციელების გამოწვევები.

მიუხედავად მისი უპირატესობებისა, ფიზიკური აღზრდა განათლებაში აწყდება უამრავ პრობლემას:

- შეზღუდული რესურსები: არასაკმარისი დაფინანსება აღჭურვილობის, ობიექტების და მომზადებული ინსტრუქტორებისთვის;
- აკადემიური შეზღუდვები: სასკოლო განრიგში ფიზიკური აღზრდისთვის გამოყოფილი არასაკმარისი დრო;
- ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა: ფიზიკური აღზრდის, როგორც წმინდა სპორტული დისციპლინის ტრადიციული შეხედულებები ხელს უშლის მის ინტეგრაციას ჯანდაცვის განათლებასთან.

ამ გამოწვევების გადაჭრა მოითხოვს პოლიტიკის შემქმნელების, მასწავლებლებისა და თემების ერთობლივ ძალისხმევას, რათა პრიორიტეტული იყოს ფიზიკური განათლება, როგორც განათლების ძირითადი კომპონენტი [4].

რეკომენდაცია:

ფიზიკური აღზრდის როლის გასაძლიერებლად ჯანმრთელობის ხელშეწყობაში, შემდგომი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს:

- პოლიტიკის ადვოკატირება: ჯანმრთელობაზე ორიენტირებული ფიზიკური აღზრდის პროგრამების ეროვნული და გლობალური სტანდარტების დადგენა;
- კვლევა და შეფასება: გრძივი კვლევების ჩატარება ვარჯიშის გრძელვადიანი სარგებელის შესაფასებლად;
- სათემო თანამშრომლობა: სკოლებს, ოჯახებსა და ჯანდაცვის ორგანიზაციებს შორის პარტნიორობის დამყარება ფიზიკური აღზრდის ინიციატივების წვდომის გასაფართოებლად.

დასკვნა:

ფიზიკური აღზრდა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ფიზიკური ვარჯიშის გაუმჯობესების საშუალება; ეს არის სასიცოცხლო ინსტრუმენტი ჰოლისტიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის. ჯანმრთელობის ფიზიკური, გონებრივი და სოციალური ასპექტების განხილვით, სავარჯიშო პროგრამებს შეუძლიათ აღჭურვონ ადამიანები ჯანსაღი ცხოვრებისათვის საჭირო უნარებითა და ჩვევებით. ინოვაციური მეთოდების, ინკლუზიური პრაქტიკისა და ჯანმრთელობაზე ორიენტირებული სასწავლო გეგმების ინტეგრირება უზრუნველყოფს, რომ ფიზიკური აღზრდა განაგრძობს საკვანძო როლის შესრულებას ჯანმრთელობის პოპულარიზაციაში მთელ მსოფლიოში.

*PHYSICAL EDUCATION***THE ROLE OF PHYSICAL EDUCATION IN HEALTH PROMOTION****BESIK TSITSAGI***e-mail:* besik.tsitsagi@bsu.edu.ge*Batumi Shota Rustaveli State University*

ABSTRACT: Physical education (PE) is a vital component of educational systems, with far-reaching implications for public health. Beyond its traditional focus on physical fitness and athletic skills, PE plays a critical role in promoting holistic health, addressing contemporary challenges such as sedentary lifestyles, chronic diseases, and mental health disorders. This article explores the multifaceted contributions of PE to health promotion, emphasizing its potential to foster physical, mental, and social well-being. It highlights innovative practices, inclusion strategies, and the role of educators as health advocates while presenting a framework for integrating health promotion into PE programs

KEYWORDS: Physical Education, Health Promotion, Chronic Diseases, Mental Health, Inclusivity, Physical Activity

ლიტერატურა:

1. Ennis, C. D. (2011). Physical education curriculum priorities: Evidence for education and skillfulness. *Quest*, 63 (1), 5–18.
2. Kirk, D. (2010). *Physical education futures*. Routledge.
3. Light, R., & Quay, J. (2011). *Ethnographic research in sport and physical education*. Routledge.
4. Lieberman, L. J., & Houston-Wilson, C. (2017). *Strategies for inclusion: A handbook for physical educators*. Human Kinetics.

ფიზიკური ალზრდა

ფიზიკური აქტივობის დეფიციტი და მისი უმჯობესი თანამედროვე ახალგაზრდებში

ბუსიკ ციცაბი

ელ.ფოსტა: besik.tsitsagi@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: თანამედროვე ახალგაზრდობაში ფიზიკური აქტივობის დეფიციტი მსოფლიოს მასშტაბით მზარდ პრობლემას წარმოადგენს. სტატია მიმოიხილავს ამ საკითხის გამომწვევ მიზეზებს, შედეგებს ჯანმრთელობაზე და სოციალური სფეროს ასპექტებზე. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემები. სტატიაში განხილულია ფიზიკური აქტივობის დეფიციტის ძირითადი გამომწვევი მიზეზები და მათი შედეგები, ასევე მოყვანილია რეკომენდაციები ამ პრობლემის პრევენციისთვის.

ნაშრომი წარმოდგენილი UNICEF-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც აფასებს გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემების კომპლექსური ანალიზს თანამედროვე მოზარდებში. ის ასევე ეხება ფიზიკური აქტივობის ინდექსს და მოზარდების დამოკიდებულებას ჯანმრთელობის პრევენციული ცხოვრების წესის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: მოზარდები, ინდექსი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ფიზიკური აქტივობა.

შესავალი. თანამედროვე ცხოვრების სტილი, რომელიც ხასიათდება ტექნოლოგიური პროგრესით, დაბალი ფიზიკური აქტივობითა და მჯდომარე ცხოვრების წესით, მნიშვნელოვნად აისახება ახალგაზრდების ჯანმრთელობაზე. ფიზიკური აქტივობის დეფიციტი უკავშირდება ჯანმრთელობის მრავალი პრობლემის განვითარებას, მათ შორის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, სიმსუქნეს, ფსიქოლოგიურ პრობლემებს და ქრონიკულ დაავადებებს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ფიზიკური უმოქმედობა მეოთხე ყველაზე გავრცელებული მიზეზია სიკვდილის რისკის ფაქტორებს შორის მსოფლიოში. გლობალურად, ყოველი მესამე ზრდასრული ადამიანი არასაკმარისად აქტიურია და სიკვდილიანობის 6% სწორედ ფიზიკურ უმოქმედობასთან არის დაკავშირებული. მნიშვნელობის მხრივ, ეს ფაქტორი ჩამორჩება მხოლოდ მაღალ სისხლის წნევას (13% სიკვდილიანობის), თამბაქოს მოხმარებას (9%) და უტოლდება სისხლში გლუკოზის მაღალ შემცველობას (6%). ფიზიკური აქტივობა თანამედროვე ჭარბი წონისა და სიმსუქნის ეპიდემიასთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალი გლობალური პრობლემა იქცა [6].

ფიზიკური აქტივობის დეფიციტის გამომწვევი მიზეზები.

ფიზიკური აქტივობის დეფიციტი თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა. მისი ძირითადი გამომწვევი მიზეზები მრავალმხრივია და მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ასევე სოციალურ და გარემო ფაქტორებს.

დროის დეფიციტი და სამუშაოს გადატვირთულობა ხშირად ხელს უშლის ადამიანებს აქტიური ცხოვრების წესის შენარჩუნებაში. ამას ემატება მოტივაციის ნაკლებობა და ტექნო-

ლოგიური პროგრესი, რომელმაც მჯდომარე ცხოვრების სტილი გაამძაფრა. აქვე უნდა აღინიშნოს ურბანული ინფრასტრუქტურის პრობლემები, როგორცაა პარკების ან ველოსიპედის ბილიკების ნაკლებობა, რაც ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებას.

ფიზიკური აქტივობის დეფიციტის გამომწვევ მიზეზად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური ფაქტორები მაგალითად, სპორტული და ფიტნეს კლუბების მაღალი ღირებულება და სოციალური მხარდაჭერის არარსებობა, ეს ყველაფერი დამატებით ამცირებს ფიზიკური აქტივობის შანსს. ცალკე კატეგორიაში გადის ჯანმრთელობის პრობლემები, სტრესი და ბავშვობიდან გამომდინარე მჯდომარე ჩვევები, კიდევ უფრო ართულებენ სიტუაციას.

ამ გამოწვევების გადაჭრა შესაძლებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებითა და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობით, რაც საერთო ჯამში დადებით გავლენას მოახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. დეტალურად განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

1. ტექნოლოგიური პროგრესი. ისეთი ტექნოლოგიური მიღწევები, როგორცაა კომპიუტერი, სმარტფონი და ვიდეო თამაშები, ახალგაზრდა თაობაში ფიზიკური აქტივობის შემცირებას იწვევს. ამერიკის სპორტისა და ფიტნესის საბჭოს მონაცემებით, მოზარდების 70%-ზე მეტი ყოველდღიურად 2 საათზე მეტ დროს ატარებს ელექტრონული „გაჯეტების“ ეკრანებთან [5].

რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ბათუმის სატანვარჯიშო სპორტულ სკოლაში აღსაზრდელების დაახლოებით 17-18 % მხოლოდ იმიტომ დაჰყავთ სპორტზე, რომ ისინი მოწყვიტონ ტელევიზორის ეკრანებს ან სხვადასხვა ტიპის „გაჯეტებს“, რომელთა ხანგრძლივი გამოყენება საფრთხეს უქმნის მოზარდი თაობას ჯანმრთელობას.

2. განათლების სისტემა და მჯდომარე აქტივობები. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა ხშირად მობილიზებულია აკადემიურ მიღწევებზე, რაც ფიზიკური აქტივობისთვის დროის შეზღუდვას იწვევს [2]. წარმოებულმა კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული პრობლემა არამარტო სასკოლო დაწესებულებებს, არამედ უმაღლეს სასწავლებლებსაც ეხება, რადგან საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების თითქმის უმეტეს ნაწილს ამოღებული აქვთ პროგრამებიდან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის სტუდენტთა ჯანმრთელობას, ეს კი საგანგაშო ფაქტია იმ თვალსაზრისით, რომ სტუდენტური ასაკი ემთხვევა ახალგაზრდების ფიზიკური განვითარების ბოლო ეტაპს და ამ ეტაპის გამოტოვება ან არასრულფასოვნად წარმართვა სერიოზულ გართულებებს იწვევს ცხოვრების შემდგომ ეტაპებზე. განსაკუთრებით ეს ეხება გოგონებს, რომლებსაც ზურგის და მუცლის კუნთების არასრულფასოვნად განვითარების შემთხვევაში, პრობლემები ექმნებათ ბუნებრივი მშობიარობის დროს, რის გამოც ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება ხელოვნური ჩარევა ოპერაციის სახით.

3. ურბანული გარემო. ქალაქის გარემოს მოწყობა, სადაც მწვანე სივრცეები და სპორტული მოედნები შეზღუდულია, ახალგაზრდების ფიზიკურ აქტივობაზე უარყოფითად აისახება [6]. მიუხედავად ქალაქ ბათუმის მერიის მცდელობისა, დადებითად გადაჭრას აღნიშნული საკითხი, მაინც პრობლემად რჩება სპორტული მოედნების განთავსებისა და მათი მოვლის საკითხი, მათი აღჭურვა შესაბამისი სპორტული ინვენტარით და სხვა, რაც უცხო არაა საქართველოს სხვა რეგიონებისათვისაც.

ფიზიკური აქტივობის დეფიციტი ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს სხვა მრავალი ფაქტორით და დაკავშირებული იყოს ინდივიდუალურ, სოციალურ, პიროვნულ და კულტურულ გარემოებებთან. ძირითადი გამომწვევი მიზეზებია:

დროის დეფიციტი - თანამედროვე ცხოვრების სწრაფი ტემპი და სამუშაოს გადატვირთულობა ხელს უშლის ადამიანებს რეგულარულად იპოვონ დრო ფიზიკური აქტივობისთვის.

პოსტ სტრუქტურული

მოტივაციის ნაკლებობა - ზოგჯერ ადამიანს არ აქვს საკმარისი მოტივაცია ან სტიმული, რათა დაიწყოს და გააგრძელოს რეგულარული ვარჯიში.

ჯანმრთელობის პრობლემები - ქრონიკული დაავადებები ან ფიზიკური შეზღუდვები, რომლებიც აქტივობას ართულებს.

შესაბამისი განათლების დეფიციტი - ფიზიკური აქტივობის სარგებლის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა.

სოციალური ფაქტორები - გარემოს მხარდაჭერის არარსებობა: ოჯახი, მეგობრები ან საზოგადოება არ ასტიმულირებს ფიზიკურ აქტივობას. ზოგიერთ კულტურაში, ფიზიკური აქტივობა ნაკლებად პრიორიტეტულია ან ტრადიციულ როლებთან (ცხოვრების წესთან) შეუთავსებელია.

ეკონომიკური ფაქტორები - სპორტული აღჭურვილობის, ფიტნეს კლუბების ან სპორტული აქტივობების მაღალი ღირებულება.

სტრესის დონის მატება - თანამედროვე ცხოვრების სტრესმა შეიძლება ადამიანის ენერჯია შეამციროს, რის გამოც ვარჯიშისთვის ძალა აღარ რჩება.

ცხოვრების მჯდომარე სტილი ბავშვობაში - ბავშვობის ასაკში ფიზიკური აქტივობის დეფიციტი ზრდასრულ ასაკში ჩვევად გადაიქცევა.

ამ ფაქტორების შემცირება შესაძლებელია, თუ საზოგადოება და ინდივიდები გააძლიერებენ ცნობიერებას ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობის შესახებ და შექმნიან პირობებს, რაც რეგულარულ ხელს შეუწყობს მოძრაობას.

ფიზიკური აქტივობის დეფიციტის გავლენა ჯანმრთელობაზე.

ფიზიკური აქტივობის დეფიციტი სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე, პიროვნების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებზე. მისი უარყოფითი შედეგები მრავალმხრივია და იწვევს, როგორც ქრონიკული დაავადებების რისკის ზრდას, ასევე ცხოვრების ხარისხის გაუარესებას. რისკებს მიეკუთვნება:

1. გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. დაბალი ფიზიკური აქტივობა ზრდის არტერიული ჰიპერტენზიის, ჰიპერქოლესტერინემიის და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების ალბათობას. კვლევები აჩვენებს, რომ მჯდომარე ცხოვრების წესი ზრდის ინსულტისა და გულის შეტევის რისკს [3].

2. ჭარბწონიანობა და მეტაბოლური დარღვევები. ფიზიკური აქტივობის ნაკლებობა ენერჯიის დაბალი ხარჯვით იწვევს ჭარბწონიანობას, რაც თავის მხრივ ზრდის II ტიპის დიაბეტის განვითარების შანსს. მეტაბოლიზმის შემცირება პასიური ცხოვრების წესის ერთ-ერთი ძირითადი შედეგია [1].

3. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პრობლემები. ნაკლები მოძრაობა იწვევს კუნთების ტონუსის დაქვეითებას, ოსტეოპოროზს და სახსრების დეგენერაციულ დაავადებებს.

4. ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესება. ფიზიკური აქტივობის დეფიციტი დაკავშირებულია დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის მაღალი დონესთან. აქტიური ცხოვრება ამცირებს სტრესის ჰორმონებს და აუმჯობესებს ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას [4].

5. იმუნური სისტემის დასუსტება და ავთვისებიანი სიმსივნის რისკი. რეგულარული ფიზიკური აქტივობა აძლიერებს იმუნურ ფუნქციას. მისი ნაკლებობა ზრდის ინფექციების მიმართ მოწყვლადობას და ნაწლავისა და ძუძუს კიბოს განვითარების რისკს.

6. სიცოცხლის ხანგრძლივობა. პასიური ცხოვრების წესი ასოცირებულია ნაადრევი სიკვდილის გაზრდილ რისკთან. აქტიური ჩვევები სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია.

ფიზიკური აქტივობის დონის კომპლექსურად გამოხატვის ერთ-ერთი მაჩვენებელი არის ორგანიზმის გულისა და სუნთქვის სისტემის მდგომარეობის შეფასება. ამიტომ, ადამიანის ორგანიზმის სიცოცხლის ძირითადი მხარდაჭერის სისტემების მონიტორინგი წარმოადგენს ჯანმრთელობის ბალანსის კონტროლის მნიშვნელოვანი კრიტერიუმს, რომელიც საშუალებას იძლევა დროულად მოხდეს ფუნქციური სისტემების ტრენირება და გენოტიპური უნარების რეალურ რეზერვებად გადაქცევა.

დასახელებულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ახალგაზრდა მოსახლეობის ჯანმრთელობის საერთო სტრუქტურაში უმეტესად გავრცელებულია სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის ორგანოების დაავადებები. გულისა და სუნთქვის სისტემის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლა და გაძლიერება წარმოადგენს პროფილაქტიკური მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომელიც აჩვენებს თანამედროვე ახალგაზრდების ფიზიკური აქტივობის მდგომარეობას და აფასებს გულისა და სუნთქვის აპარატის ფუნქციურ მდგომარეობას და ჯანმრთელი ცხოვრების წესის მიმართ მოტივაციის დონეს. ასეთი ტიპის კვლევები პერიოდულად ტარდება მსოფლიოში, მაგალითად საქართველოში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება სტუდენტთა ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევები. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარდა კვლევები ახალგაზრდების ფიზიკური აქტივობის შესახებ. მსგავსი კვლევები ტარდება მსოფლიოს მასშტაბით, ევროპის ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO Europe) მიერ ჩატარდა კვლევა "Health Behaviour in School-aged Children" (HBSC), რომელიც სწავლობს სკოლის ასაკის ბავშვების ჯანმრთელობის ქცევებს, ევროპის უნივერსიტეტებში პერიოდულად ტარდება სტუდენტთა ჯანმრთელობის კვლევა (European Student Health Survey). ამერიკაში CDC-ის (Centers for Disease Control and Prevention) მიერ ჩატარებული National Health and Nutrition Examination Survey (NHANES) და American College Health Association-ის ყოველწლიური კვლევები სტუდენტთა ჯანმრთელობის შესახებ. ჩინეთის და იაპონიის სპორტის მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ ყოველწლიურად ტარდება კვლევები ახალგაზრდების ფიზიკური აქტივობის შესახებ. UNICEF-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევაა "State of the World's Children", რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება და მოიცავს ინფორმაციას ახალგაზრდების ჯანმრთელობის შესახებ [7]. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 80 მოზარდმა (18–20 წლის). კვლევის დროს შეფასდა გულისა და სუნთქვის სისტემის მდგომარეობის მაჩვენებლები, სიცოცხლის ინდექსი, კატლის ინდექსი, სკიბინსკის ინდექსი, ადაპტაციის პოტენციალი, ფიზიკური მდგომარეობის დონე, რობინსონის ინდექსი, სისხლის მიმოქცევის ეკონომიურობის კოეფიციენტი, გამძლეობის კოეფიციენტი, კრემპტონის მაჩვენებელი [8, 9].

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ სიცოცხლის ინდექსის მნიშვნელობის მიხედვით, ჯანმრთელობის მაღალი დონე დაფიქსირებულია გამოკვლეულთა მხოლოდ 43%-ში, საშუალოზე დაბალი და დაბალი კი - შესაბამისად 12% და 6%-ში. დაკვირვების ჯგუფის 83% გამოირჩევა ჰარმონიული ფიზიკური განვითარებით, რაც შეფასებულ იქნა კეტლეს ინდექსით.

6%-ს აღნიშნება სხეულის მასის დეფიციტი, ხოლო 11%-ს - მისი ჭარბი მასა. სუნთქვის კარგი სარეზერვო შესაძლებლობები დაფიქსირებულია მხოლოდ გამოკვლეულთა 14%-ში, დამაკმაყოფილებელი (რისკის ჯგუფი) - 84%-ში, ხოლო ცუდი - 2%-ში, მსგავსი ტესტი საშუალებას იძლევა გავერკვეთ ორგანიზმის კარდიორესპირატორულ შესაძლებლობებში და მისი ჟანგბადის

ამსია ციცაბი

ნაკლებობისადმი წინააღმდეგობის უნარში. გამოკვლეულთა 38%-ში გამოვლენილია დონოზოლოგიური მდგომარეობა ადაპტაციური მექანიზმების დაძაბვის გამო, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გამოთიშვა დაღლილობის ან ემოციური აღზნების გამო.

გულის მუშაობის ეკონომიურობის მისაღები მაჩვენებლები (რობინსონის ინდექსი მოსვენებულ მდგომარეობაში) დამახასიათებელი აღმოჩნდა გამოკვლეულთა მხოლოდ 61%-სათვის. სისხლის მიმოქცევის ეკონომიურობის კოეფიციენტი ნორმაშია მხოლოდ 23%-ში, დანარჩენებში კი მისი მნიშვნელობები მიუთითებს დაღლილობის და ჯანმრთელობის გაუარესების არსებობაზე, ისევე, როგორც კვასის ფორმულით გამოთვლილ გამძლეობის კოეფიციენტზე, სადაც გულის საქმიანობის დაქვეითება აღინიშნება გამოკითხულთა 70%-ში [7].

ფიზიკური აქტიურობა უფრო მეტად ასახავს ადამიანის სოციალურად მოტივირებულ დამოკიდებულებას ფიზიკური კულტურისადმი. ფიზიკური აქტიურობა უნდა იქნეს განხილული როგორც პიროვნების ფიზიკური კულტურის ჩამოყალიბების ძირითადი სფერო. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესაძლებლობები ნაკლებფექტურად გამოიყენება ადამიანთა ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გამყარების პრევენციულ მუშაობაში, ნარკომანიასთან, სიმთვრალესთან, თამბაქოს მოწევასთან ბრძოლაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

„მჯდომარე“ ცხოვრების წესს ძირითადად გამოკითხულთა 89% ეწევა. არდადეგების დროს 54% რჩება სახლში, 45.2% ატარებს დროს აგარაკებზე ან სოფელში, მხოლოდ 37.5% ახორციელებს ტურისტულ მოგზაურობას. ჯანსაღი ცხოვრების წესის აუცილებლობის გაგება არ ხორციელდება ყოველთვის პრაქტიკაში მიზანმიმართულად. ფიზიკური აქტიურობის გაზრდის მცდელობა წარმატებული იყო მხოლოდ 42% შემთხვევაში, ხოლო რესპოდენტების 28% მაინც არ სცადა მის განხორციელება [7].

თანამედროვე ახალგაზრდობა ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გამყარების მიზნით ამჯობინებს სტატეკურ საქმიანობებსა და პასიურ მოქმედებებს: 52.7% ირჩევს ალკოჰოლის მიღების შეზღუდვას, 51.6% - მოწვევის შეზღუდვას, 53.8% - წონის მონიტორინგს, 39.8% - ფსიქიური მდგომარეობის კონტროლს. აქტიურ ცხოვრების წესს ირჩევს მცირერიცხოვანი: 4.3% - გაკაჟებას, 18.3% - აუზის ან სავარჯიშო დარბაზის მონახულებას, 29% - აქტიური სპორტის სახეობებით დაკავებას, 12.9% - დილის ვარჯიშებს ან აერობიკას.

წარმოდგენილი დიაგრამა აჩვენებს სხვადასხვა ფიზიკური აქტიურობის პროცენტულ მაჩვენებლებს ახალგაზრდებს შორის. რამდენიმე საინტერესო დაკვირვება:


1. ყველაზე მეტი პროცენტი დაკავშირებულია პასიურ ქმედებებთან:

- წონის მონიტორინგი (53.8%)
- ალკოჰოლის შეზღუდვა (52.7%)
- მოწვევის შეზღუდვა (51.6%)

2. აქტიური ფიზიკური აქტიურობა გაცილებით ნაკლებია:

- აქტიური სპორტი (29%)
- აუზი/სავარჯიშო დარბაზი (18.3%)
- დილის გიმნასტიკა (12.9%)
- გაკაჟება (4.3%)

დიაგრამა ნათლად ასახავს კვლევაში აღნიშნულ იმ პრობლემას, რომ თანამედროვე ახალგაზრდები უპირატესობას ანიჭებენ პასიურ ქმედებებს აქტიური ფიზიკური აქტიურობის ნაცვლად [7].



დიაგრამა 1. თანამედროვე ახალგაზრდების ფიზიკური აქტივობის მდგომარეობის ანალიზი

დასკვნა. ფიზიკური აქტივობის დეფიციტი თანამედროვე ახალგაზრდებში მულტიფაქტორული პრობლემაა, რომელიც საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას. მნიშვნელოვანია საზოგადოების ყველა რგოლის - მთავრობის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, მშობლებისა და თავად ახალგაზრდების ჩართულობა პრობლემის გადასაჭრელად. ფიზიკური აქტივობის გაზრდა არა მხოლოდ ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, არამედ აკადემიური მოსწრების, სოციალური უნარებისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს.

რეკომენდაციები სკოლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

ტექნოლოგიური ფაქტორების გამკლავება: სასწავლო დაწესებულებებში საჭიროა ლექციების ჩატარება ეკრანთან გატარებული დროის მავნებლობაზე და აქტიური შესვენებების დანერგვა, სადაც მოსწავლეები მცირე ფიზიკურ აქტივობებს შეასრულებენ.

სოციალური ფაქტორების გაუმჯობესება: მნიშვნელოვანია სპორტული და შემოქმედებითი კლუბების ორგანიზება, კონკურსები და გუნდური აქტივობების მოწყობა, რაც ახალგაზრდებს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების გაუმჯობესებაში დაეხმარება. მშობლების ჩართულობაც აუცილებელია აქტიურ ღონისძიებებში.

ინფრასტრუქტურული ფაქტორების გაუმჯობესება: სასწავლო დაწესებულებებმა უნდა შექმნან თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურა და უზრუნველყონ სპორტული ინვენტარის ხელმისაწვდომობა. რეკრეაციული ზონების და უსაფრთხო სათამაშო სივრცეების მოწყობა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ფიზიკურ აქტივობას. ურბანულ სივრცეში სპორტული მოედნებისა და ბაღების შექმნა, სადაც დაცული იქნება ფიზიკური კომფორტი და უსაფრთხოება, ემოციური სიმშვიდე, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ფიზიკურ აქტიურობას.

ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების სტრატეგიები: ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების დინამიკური ფორმების დანერგვა და სავალდებულო სპორტული აქტივობების ორგანიზება სხვადასხვა ასაკის ჯგუფებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ასევე, სასურველია ჯანმრთელობის შესახებ სემინარების ჩატარება. სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში უნდა გაიზარდოს ფიზიკური აღზრდის საათების რაოდენობა.

ბესიკ ციცაგი

ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა: ფიზიკური აქტივობების ფსიქოლოგიურ სარგებელზე ცნობიერების ამაღლება, მედიტაციისა და იოგას გაკვეთილების დანერგვა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ემოციურ კეთილდღეობას.

სოციალური უნარების განვითარება: ახალგაზრდებში ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციისთვის საჭიროა საინფორმაციო კამპანიების წარმოება. სპორტულ გუნდებში მონაწილეობის წახალისება და სოციალური პროექტების ორგანიზება ახალგაზრდებს დაეხმარება სოციალურ გარემოში უკეთესი ინტეგრაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებაში.

სისტემური და სტრატეგიული მიდგომით, სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ახალგაზრდების ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ განვითარებაში, რაც მათ ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე დადებით გავლენას მოახდენს.

PHYSICAL EDUCATION

PHYSICAL ACTIVITY DEFICIT AND ITS CONSEQUENCES IN MODERN YOUTH

BESIK TSITSAGI

e-mail: besik.tsitsagi@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

ABSTRACT: Physical inactivity among modern youth is a growing problem worldwide. The article reviews the causes of this issue, its consequences on health and aspects of the social sphere. Data from international and local scientific literature were used in the research. The article discusses the main causes of physical inactivity and their consequences, and also provides recommendations for the prevention of this problem. The work also includes the results of a complex analysis and assessment of the cardiovascular and respiratory systems in modern adolescents. It also concerns the physical activity index and adolescents' attitude towards a preventive health lifestyle.

KEYWORDS: adolescents, index, cardiovascular system, healthy lifestyle, physical activity.

ლიტერატურა:

1. Anderson, R. & Clark, P. (2018). Obesity and Physical Inactivity in Youth: A Growing Concern. *Journal of Health Studies*, 45(3), pp. 123-134.
2. Brown, T., Smith, J., & Lee, C. (2019). Education and Sedentary Behavior: The Role of Schools in Promoting Activity. *Education Review*, 27(5), pp. 312-330.
3. Jones, A., Robertson, T., & Baker, K. (2020). Cardiovascular Risks Associated with Sedentary Lifestyles. *Heart Health Journal*, 38(2), pp 89-96.
4. Peluso, M. A. M., & Guerra de Andrade, L. H. S. (2005). Physical Activity and Mental Health: The Link Between Exercise and Well-being. *Clinical Journal of Sports Medicine*, 15(3), 19-24.
5. Smith, R., Kelly, D., & Anderson, J. (2021). Screen Time and Physical Inactivity Among Adolescents. *Youth Fitness Research*, 12(4), 44-56.
6. World Health Organization (WHO). (2020). *Urban Design and Physical Activity: A Global Perspective*. Geneva: WHO Publications. <https://www.who.int/>
7. UNICEF-ის ანგარიშები ახალგაზრდების ჯანმრთელობის შესახებ. www.unicef.org
8. ჯ.ზალდასტანიშვილი, ლ.ზიბილეიშვილი, ვალეოლოგია: ჯანსაღი ცხოვრების წესი, თბ. 2005, https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/409439/1/Valeologia_2005.pdf
9. https://img-cdn.tinkoffjournal.ru/-/metod_mifrifps_pr_070303_540301_2016.s9ylht..pdf

ტურიზმი

ეკოლოგიური გამოწვევები და მათი გავლენა აჭარის ტურიზმის ინდუსტრიაზე: მღვრადი განვითარების პერსპექტივები

ენო ღვაკაძე

ელ-ფოსტა: devadze.nino@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: აჭარა, საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული რეგიონი, გამოირჩევა უნიკალური ბუნებრივი რესურსებით, ზღვისპირა ზოლით, მთიანი ლანდშაფტით, კულტურული ღირსშესანიშნაობებით და მრავალფეროვანი ეკოსისტემებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აჭარა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში ბოლო წლების განმავლობაში, რეგიონის ეკოლოგიური პრობლემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტურიზმის განვითარებაზე. გარემოს დაზიანება, კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი რესურსების დაკარგვა პოტენციურად უარყოფითად მოქმედებს რეგიონში ტურისტული ნაკადების რაოდენობასა და ხარისხზე.

აღნიშნული სტატია განიხილავს ძირითადი ეკოლოგიური გამოწვევების გავლენას აჭარაში ტურისტული სექტორის განვითარებაზე და იკვლევს ამ გამოწვევების გადაჭრის შესაძლო გზებს.

სტატიაში განხილულია აჭარაში არსებული ეკოლოგიური პრობლემების გავლენა ტურიზმზე, იმ პრობლემების კვლევა, რომლებიც უშუალოდ ზეგავლენას ახდენენ რეგიონში ვიზიტორების რაოდენობასა და ტურიზმის ეკონომიკურ შემოსავალზე. სტატიაში ასევე მოცემულია რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების გზები მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის.

კვლევის მიზანია გააანალიზოს სხვადასხვა ტიპის ეკოტურისტული აქტივობების როლი რეგიონის მდგრად განვითარებაში და წარმოადგინოს რეკომენდაციები სექტორის შემდგომი განვითარებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ეკოტურიზმი, მდგრადი განვითარება, ბუნებრივი რესურსები

შესავალი:

ტურიზმის ინდუსტრია ეკონომიკის დამოუკიდებელ და ძლიერ სექტორს წარმოადგენს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის დარგებს შორის ლიდერ პოზიციას იკავებს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ტურიზმის განვითარება ბუნებრივი კომპლექსების ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე მიმდინარეობს. ტურიზმის ინდუსტრია იყენებს ბუნებრივ, კულტურულ და ისტორიულ რესურსებს, საჭიროებს მიწის საკუთრებას, წარმოქმნის ნარჩენებს, აბინძურებს ჰაერს, წყალს და ნიადაგს და ახდენს ძლიერ ანთროპოგენურ ზემოქმედებას ბუნებაზე. ეკოლოგიური გამოწვევების დაძლევის ერთ-ერთი გზა ეკოტურიზმის განვითარებაა.

ბოლო პერიოდში, მდგრადი განვითარების კონცეფციის ფართოდ დანერგვის ფონზე, იზრდება ეკოლოგიურად მდგრადი ბუნებრივი რესურსების გამოყენების მნიშვნელობა, მათ შორის ეკოტურიზმის როლი.

ეკოტურიზმზე მზარდი მოთხოვნა განაპირობებს დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შექმნასა და პირველ რიგში ნაკრძალების, ეროვნული და ბუნებრივი პარკების და განვითარებას. ამჟამად სწორედ ეს ტერიტორიები წარმოადგენენ ეკოტურიზმის ძირითად ობიექტებს, როგორც მთელს მსოფლიოში ასევე საქართველოში.

6060 ღვკაკი

დასავლეთ საქართველოს და განსაკუთრებით აჭარის რეგიონს აქვს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების პოტენციალი და ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსის განვითარების პერსპექტივა. აჭარა ერთ-ერთი პრიორიტეტული რეგიონია საქართველოში შიდა ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების კუთხით. აჭარის სასტუმრო-საკურორტო და ტურისტული კომპლექსი ყველაზე დიდია საქართველოში, მხარის ბუნებრივი პირობები უნიკალურია მრავალფეროვნებითა და კონტრასტული, დაბლობის ტყის ლანდშაფტები, ნოტიო შავი ზღვის სუბტროპიკები, მთის ლანდშაფტები შერეული ტყეებიდან, მუდმივ მყინვარებამდე და თოვლის საფრამდე. ყოველწლიურად აჭარის მხარეს მილიონობით ვიზიტორი სტუმრობს, რაც ბუნებრივია, გავლენას ახდენს გარემოს მდგომარეობაზე.

რეგიონში ტურისტული საქმიანობის განვითარებას სჭირდება განსაკუთრებული მიდგომა, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ველური ბუნება, უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებას გულისხმობს, რომელიც ეფუძნება უნიკალური ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული პოტენციალის გონივრულ გამოყენებას და ლანდშაფტური მრავალფეროვნების დაცვას.

ეკოტურიზმს შეუძლია დაიცვას და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადოს აჭარის უნიკალური ბუნება გაზარდოს ეკოლოგიური აღზრდის და განათლების დონე. ეს არის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური გარემოს გაჯანსაღების პერსპექტიული გზა. ეკოტურიზმი წარმოადგენს რეგიონის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ გარანტს.

ამ პრობლემის არასაკმარისი შესწავლა და სამეცნიერო ცოდნის დეფიციტი აქტუალურს ხდის სამეცნიერო კვლევებს, რომლებიც მიმართულია ეკოტურიზმის ორგანიზაციული მექანიზმის სრულყოფისკენ, რაც აჭარაში ეკოტურისტული საქმიანობის პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზაციას უზრუნველყოფს.

აჭარის რეგიონის ტურიზმისა და გარემოს დაცვის ისტორიული განვითარება

როგორც აღვნიშნეთ აჭარის რეგიონი თავისი უნიკალური ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნებით საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურისტული ცენტრია. მისი სანაპირო ზოლი, მთიანი ლანდშაფტები და სუბტროპიკული კლიმატი ტურისტებს სხვადასხვა სეზონზე იზიდავს. ტურიზმის ისტორია აჭარაში მე-19 საუკუნის ბოლოს იწყება, როდესაც ბათუმი საერთაშორისო მნიშვნელობის პორტად და საკურორტო ზონად ჩამოყალიბდა.

საბჭოთა პერიოდში აჭარა გახდა ერთ-ერთი მთავარი საკურორტო მიმართულება შავი ზღვის სანაპიროზე. განვითარდა სანატორიუმები, დასასვენებელი პარკები და პლაჟები. ბათუმი განსაკუთრებით პოპულარული იყო როგორც საკურორტო და ტურისტული ცენტრი. ამ პერიოდში ყურადღება ნაკლებად ექცეოდა გარემოს დაცვის საკითხებს, რაც ზოგიერთ ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების დეგრადაციას იწვევდა.

2000-იანი წლებიდან დაიწყო რეგიონის მასშტაბური აღორძინება ტურისტული ინფრასტრუქტურის კუთხით. თანამედროვე სასტუმროები, რეკრეაციული ზონები და სხვადასხვა ღირსშესანიშნაობები ბათუმში სწრაფად განვითარდა, რამაც რეგიონი საერთაშორისო ტურისტული ბაზრისთვის მიმზიდველი გახადა.

მნიშვნელოვანი გახდა გარემოს დაცვის საკითხების ინტეგრირება ტურიზმის განვითარებაში. შეიქმნა დაცული ტერიტორიები, მათ შორის მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკები, ქობულეთის და კინტრიშის დაცული ტერიტორიები. ეს ტერიტორიები არამარტო უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვას, არამედ ეკოტურიზმის განვითარებასაც ემსახურება.

ბუნებრივი რესურსები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურიზმის განვითარებაში. დღეს-დღეობით უამრავი ქვეყანა ებრძვის ისეთ ეკოლოგიურ გამოწვევებს, როგორცაა წყლის რესურსების გადამეტებული გამოყენება, ჰაერის და ნიადაგის დაბინძურება და კლიმატის ცვლილება, რომელიც აუმჯობესებს ან ქმნის ადგილობრივ ტურისტულ ბაზარს. მსგავსი პრობლემები არაერთხელ იყო განხილული საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში. კვლევები აჩვენებს, რომ მდგრადი ტურიზმი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ბუნების დაცვაზე და რესურსების შემცირებულ გამოყენებაზე, ხელს უწყობს ეკოლოგიის გაუმჯობესებას და ამასთანავე, რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას.

აჭარისთვის დღეს მნიშვნელოვანია გარემოს დაბინძურების გაუარესების შედეგების კვლევა, რადგან ეს პირდაპირ გავლენას ახდენს მისი ტურისტული მიმზიდველობის ხარისხზე. სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ეკოლოგიური პრობლემები აჭარის სანაპირო ზონებში (მაგალითად, სანაპიროს და ზღვის წყლის ნარჩენებით ან მძიმე მეტალებით დაბინძურება) მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ რეგიონში ვიზიტორების ნაკადზე.

ნაშრომში კვლევა ეფუძნება როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ კვლევებს. რაოდენობრივი მეთოდები მოიცავს სტატისტიკური მონაცემების ანალიზს, რომლებიც მოიცავს აჭარაში 2015-2023 წლების პერიოდში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობისა და ეკოლოგიური გამოწვევების დონეების შედარებას.

შედეგები და განხილვა

ეკოლოგიური პრობლემები აჭარაში.

აჭარის რეგიონში არსებული ეკოლოგიური პრობლემები მრავალმხრივია და სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემა, რომელიც ძირითადად გამოწვეულია ავტოტრანსპორტის გამონახობლივით, სამრეწველო ობიექტების საქმიანობითა და მშენებლობების შედეგად წარმოქმნილი მტვერით.

განსაკუთრებით მწვავედ დგას წყლის რესურსებთან დაკავშირებული საკითხები. შავი ზღვის სანაპირო ზოლი და მდინარეები ხშირად ბინძურდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. პრობლემას ამძაფრებს არასათანადოდ მოწყობილი საკანალიზაციო სისტემები. ასევე შეინიშნება სანაპირო ზოლის ეროზიის პროცესები, რაც საფრთხეს უქმნის როგორც ეკოსისტემას, ისე სანაპირო ინფრასტრუქტურას.

ნარჩენების მართვის საკითხი კვლავ რჩება ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად. რეგიონში დიდი პრობლემაა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორი განთავსება და პლასტიკის ნარჩენების დიდი რაოდენობა. ნაგავსაყრელების არასათანადო მართვა კი დამატებით ეკოლოგიურ საფრთხეებს ქმნის.

ტყის რესურსების მდგომარეობა ასევე სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს. უკანონო ხე-ტყის ჭრა და ტყის მასივების შემცირება უარყოფითად აისახება რეგიონის ბიომრავალფეროვნებაზე. ეს პროცესი კიდევ უფრო ამძაფრებს ნიადაგის ეროზიასა და მეწყერულ მოვლენებს.

ტურიზმის სწრაფი განვითარება, მართალია, ეკონომიკური თვალსაზრისით დადებითი მოვლენაა, მაგრამ ამავდროულად ქმნის დამატებით ეკოლოგიურ პრობლემებს. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ხშირად იწვევს ბუნებრივი რესურსების დეგრადაციას, ხოლო სანაპირო ზოლის გადატვირთვა ზრდის გარემოზე ზეწოლას.

აღსანიშნავია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემებიც, მათ შორის ზღვის დონის მატების საფრთხე, ექსტრემალური ამინდის მოვლენების გახშირება და სანაპირო

6060 დეკაპი

ზოლის დატორვის რისკები, რაც სპეციალური ადაპტაციური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.


ურბანული განვითარების კუთხით პრობლემას წარმოადგენს ქაოსური მშენებლობები და ქალაქებში მწვანე საფარის შემცირება. არასათანადო ურბანული დაგეგმარება კი ართულებს ამ პრობლემების მოგვარებას.

ამ პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გამკაცრებას, ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვას, მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარებას და ეკოლოგიური განათლების დონის ამაღლებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მდგრადი ტურიზმის პრინციპების დანერგვას და გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემების გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვანია, რომ ამ პრობლემების მოგვარებაში აქტიურად იყენენ ჩართულნი როგორც ხელისუფლება და ბიზნეს სექტორი, ასევე სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი მოსახლეობა. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი აჭარის რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

ტურიზმის განვითარება და ეკოლოგიური პრობლემები

აჭარის რეგიონში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ საზღვრის კვეთის მონაცემების მიხედვით ვიზიტების რაოდენობა მზარდია ბოლო წლების განმავლობაში და სრულად აღდგა პანდემიამდე არსებული მაჩვენებელი (დიაგრამა 1):



დიაგრამა 1: საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტები (2011-2023)

მთავარი მოვლენები რომლებმაც გავლენა იქონიეს ტურისტების რაოდენობაზე შეიძლება დავყოთ პოზიტიურ და ნეგატიურ ფაქტორებად:

პოზიტიური:

- ახალი სასტუმროების გახსნა
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება
- მარკეტინგული კამპანიები საერთაშორისო ბაზრებზე
- პირდაპირი ავიარეისების დამატება
- სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარება


ნეგატიური:

- COVID-19 პანდემია და შეზღუდვები
- რეგიონული გეოპოლიტიკური დამაბულობა
- სეზონურობის პრობლემა
- ინფრასტრუქტურული გამოწვევები პიკის სეზონზე

2025 წლის პროგნოზირებული ზრდის მთავარი ფაქტორებია:

- ახალი სასტუმროების გახსნა
- საერთაშორისო ღონისძიებების დაგეგმვა
- მარკეტინგული აქტივობების გაძლიერება
- ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია
- ოთხი სეზონის ტურიზმის განვითარება

დიაგრამებზე თვალსაჩინოების სახით წარმოდგენილია ეკოლოგიური პრობლემების და ტურისტების რაოდენობის კორელაცია:




დიაგრამა 2: ეკოლოგიური პრობლემების და ტურისტების რაოდენობის კორელაცია

დიაგრამაზე წარმოდგენილია ორი მთავარი მაჩვენებელი: ეკოლოგიური პრობლემების ინდექსისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის კორელაცია აჭარაში.

6060 ღვაპი

მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში ეკოტურიზმის განვითარების მთავარ პრობლემებს წარმოადგენს:

- ეკოლოგიური რეგულაციების სისუსტე;
- მოსახლეობის დაბალი ცნობიერება გარემოსდაცვით საკითხებზე;
- ტურისტული პროექტების ეკოლოგიური შეფასებების ნაკლებობა.



ნახ. 3 ეკოლოგიური პრობლემების და საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის კორელაცია აჭარაში 2012-2023 წლებში

ტურიზმისა და გარემოსდაცვითი სექტორის ურთიერთქმედება

ტურისტული ინდუსტრიისა და გარემოსდაცვითი სექტორის ურთიერთქმედება თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია. ახალი საკურორტო ზონების და სოლიდური სასტუმრო კომპლექსების შექმნა ხშირად იწვევს უნიკალური ბუნებრივი გარემოს განადგურებას, რაც წარმოადგენს ტურიზმისა და დასვენების წარმატების მთავარ კომპონენტს.

ახალი საკურორტო სტრუქტურების შექმნისას, რეკრეაციული რესურსები ხშირად ირაციონალურად გამოიყენება. ბუნება დაქვემდებარებულია სპორტისა და ტურიზმის განვითარებაზე, რაც ამცირებს ეკოსისტემების მდგრადობას და საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნებას.

არსებული პროცესების ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ ეკოლოგიური პრობლემები მნიშვნელოვნად აფერხებს მდგრადი ტურიზმის განვითარებას. ეს მოითხოვს როგორც გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაუმჯობესებას, ასევე ახალ თეორიულ მიდგომებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ტურიზმისა და ეკოლოგიის თანაარსებობას.

რეკომენდაციები

1. ახალი რეკრეაციული კლასტერების განვითარება

- **მდგრადი განვითარების პრინციპები:** რეკრეაციული კლასტერების დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვას და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას.
- **ინოვაციური პროექტები:** სასურველი ეკო-მეგობრული და მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ტურისტული პროექტების მხარდაჭერა.

2. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გაუმჯობესება

- **ნარჩენების მართვა:** ნარჩენების გადამუშავების სისტემების დანერგვა და არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
- **მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარება.** ტყეების დაცვა, ტყის რესურსების მდგრადი მართვა და უკანონო ტყეკაფვის კონტროლი. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ღონისძიებების გატარება, გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემების გაუმჯობესება

3. განათლება და ცნობიერების ამაღლება

ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია ეკოლოგიური განათლების ზრდა და ეკოტურიზმის პოლიტიკის განმტკიცება.

- **ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა:** გარემოსდაცვით პროექტებში მოსახლეობის აქტიური ჩართვა და მათი ინფორმირება ეკოლოგიური საკითხების შესახებ.
- **ტურისტების ცნობიერება:** ტურისტებისთვის სპეციალური საინფორმაციო კამპანიების ჩატარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბუნების დაცვას.
- **ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა:** მთავრობისა და ტურისტულ კომპანიებს შორის თანამშრომლობა ეკოლოგიური პრობლემების აღმოსაფხვრელად.

დასკვნა.

აჭარაში ეკოლოგიური პრობლემები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ტურიზმის განვითარების პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაღალმთიანი რეგიონების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან სწორედ ეს ზონები წარმოადგენენ ტურისტული პოტენციალის მნიშვნელოვან ნაწილს. რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება არა მხოლოდ შეინარჩუნებს აჭარის ტურისტულ მიმზიდველობას, არამედ უზრუნველყოფს მისი ეკონომიკური განვითარების მდგრადობასაც. ეს მოითხოვს ტურისტული ინდუსტრიისა და გარემოსდაცვითი სექტორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და მდგრადი განვითარების პრინციპების გამოყენებას.

რეგიონის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია ეკოტურიზმის მოდელების დანერგვა, მკაცრი გარემოს დაცვითი რეგულაციების შემოღება და ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია.

TOURISM

ECOLOGICAL CHALLENGES AND THEIR IMPACT ON ADJARA'S TOURISM INDUSTRY: SUSTAINABLE DEVELOPMENT PERSPECTIVES

NINO DEVADZE

e-mail: devadze.nino@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

ABSTRACT: Adjara, one of Georgia's important tourist regions, is distinguished by its unique natural resources, coastline, mountainous landscape, cultural attractions, and diverse ecosystems. However, despite Adjara playing a significant role in Georgia's economy in recent years, the region's ecological problems significantly impact tourism development. Environmental pollution, climate change, and loss of natural resources potentially negatively affect both the quantity and quality of tourist flows in the region.

This article discusses the impact of major ecological challenges on tourism sector development in Adjara and explores possible ways to address these challenges.

The article examines the impact of existing ecological problems on tourism in Adjara, studying issues that directly affect the number of visitors in the region and tourism's economic revenue. The article also presents ways to improve the region's ecological condition for sustainable tourism development.

The research aims to analyze the role of various types of ecotourism activities in the region's sustainable development and present recommendations for further sector development.

KEYWORDS: ecotourism, sustainable development, natural resources

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ვებ გვერდი: <http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?pid=810&gid=7&lid=1>
2. საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციის ვებგვერდი: <https://gnta.ge/statistics/>
3. საქსტატის ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.geostat.ge/>
4. Visit Batumi-ს ოფიციალური პორტალი, <https://visitbatumi.com/reportebi-da-angarishebi-018>
5. Georgian Green Movement. (2019). Environmental Challenges in Georgia. Tbilisi: Green Georgia.
6. Gössling, S., Scott, D., & Hall, C. M. (Eds.). (2020). Tourism and Water. Oxford: Channel View Publications.
7. Hall, C. M., & Lew, A. A. (2018). Understanding and Managing Tourism Impacts: An Integrated Approach. London: Routledge.
8. IPCC. (2021). Climate Change 2021: Impacts, Adaptation, and Vulnerability. Cambridge University Press.
9. Jones, A. (2018). Coastal Erosion in the Black Sea Region. *Journal of Coastal Studies*, 34(2), 123-135.
10. Smith, B., Brown, C., & Johnson, D. (2020). Environmental Pollution and Tourism: A Case Study of the Black Sea. *Environmental Research Journal*, 45(3), 210-220.
11. UNWTO. (2021). Sustainable Tourism Development. United Nations World Tourism Organization.
12. Weaver, D. B. (2018). Sustainable Tourism Futures: Perspectives on Systems, Restructuring and Innovations. Bristol: Channel View Publications.
13. World Commission on Environment and Development. Our Common Future, Oxford; Oxford University Press: New York, NY, USA, 1987

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების 2019-2023 წლებში შესრულებული კვლევითი და საორგანიზაციო საქმიანობის ძირითადი შედეგები და პერსპექტივები

წარმოდგენილი ანგარიში, აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ასახავს 2019-2023 წლების პერიოდში აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს და დარგობრივი კომისიის სხდომებზე განხილული საკითხების და გადაწყვეტილებების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ კვლევითი მუშაობის შედეგებით მიღებულ მასალებს, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინაშე.

ცენტრის მუშაობის ძირითადი მიმართულებები ორიენტირებულია რეგიონში სამეცნიერო კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესრულებული მეცნიერული კვლევების განხილვა-შეფასების, სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონში მეცნიერული პრობლემების გადაჭრაში მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ კომისიებთან, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო და სხვა პროფილის დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და სტრუქტურებთან, საქართველოს საპატრიარქოსთან, ბათუმ-ლაზეთის და სხალთის ეპარქიებთან, საჭიროებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური მცდელობის ფარგლებში სახელმწიფო ორგანოებთან კონსულტირება-თანამშრომლობა. აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ასახავს 2019-2023 წლების პერიოდში აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს და დარგობრივი კომისიის სხდომებზე განხილული საკითხებისა და გადაწყვეტილებების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ კვლევითი მუშაობის შედეგებით მიღებულ მასალებს, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინაშე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის დარგობრივი კომისიების მიერ ყოველწლიურად წარმოდგენილი ანგარიშების ცენტრის სამეცნიერო საბჭოზე განხილვისა და შეფასების საფუძველზე, შედარებით ამომწურავი შედეგების განთავსება ხდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოველწლიურად გამოცემულ ნაკრებ ანგარიშებში.

ცენტრისა და ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის (შუახვევის მუნიციპალიტეტი, ხიჭაური) რექტორატის, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა საჯარო ლექციები ამავე უნივერსიტეტში. ლექციები წაიკითხეს ცნობილმა მეცნიერებმა.

ცენტრის დარგობრივი კომისიისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით, ორგანიზებულ იქნა სხვადასხვა სახის საიუბილეო ღონისძიება;

პანო კაკუნიძე

რეგიონული ცენტრის მიერ განხორციელებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში მყოფი აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერული პოტენციალის გამოყენების ხელშეწყობის უზრუნველყოფი სამუშაოები, რაც დარგის რეაბილიტაცია-განვითარების, რენტაბელობის ამაღლების და შენარჩუნების პრობლემების გადაჭრას უწყობს ხელს.

შესწავლილია საკითხები აჭარაში ტურისტული ნაკადების მოდინების პერიოდების, რაოდენობისა და მოხმარებული კვების პროდუქტების სტრუქტურასა და მოცულობაში ადგილობრივი პროდუქციის ხვედრითი წილის შესახებ.

ცენტრის შესაბამისმა დარგობრივმა კომისიებმა შეისწავლეს გარემოსდაცვითი, ტყეთსარგებლობის, ფლორისა და ფაუნის შენარჩუნების მდგომარეობა და მოამზადეს რეკომენდაციები რეგიონის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის დარგობრივი კომისიის და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ეროვნულ კოორდინატორთა სამეცნიერო ჯგუფმა მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის აღორძინების მიმართულე-ბით, მათ მიერ შემუშავებული იქნა საქართველოში კერძოდ, აჭარა-გურიის რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინების გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც, პირველ რიგში, ითვალისწინებს აღნიშნული რეგიონების მოსახლეობის ვაზის უნიკალური ჯიშების სტანდარტული ნერგებით უზრუნველყოფას.

მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო კვლევებით დადგინდა სარწყავად ვარგისი წყლის რესურსები, მათი მიწოდებისა და გამოყენების რაციონალური წინადადებები, შემუშავდა მოსახლეობისათვის სასმელი წყლების სხვადასხვა მინარევებისაგან გაწმენდის ეფექტური ტექნოლოგია; მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ძირითადი ბუნებრივი, ეკონომიკური და დარგობრივი სტრუქტურის ფაქტორების, აგრეთვე, არსებული საწარმოო საშუალებების ობიექტური შეფასების საფუძველზე მეცნიერულად იქნა შესწავლილი და შემუშავებული აჭარის აგროსექტორში ჩამოყალიბებული კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო წარმოების იდენტიფიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენელ სხვა დარგებთან საწარმოო-ეკონომიკური კავშირების გათვალისწინებით.

რეგიონული ცენტრის დარგობრივი კომისიის წევრები ჩართულნი იყვნენ აჭარის სახელისუფლო სტრუქტურების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროექტებისა და პროგრამების რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აჭარაში მეფუტკრეობის თანამედროვე მიღწევების დანერგვის, ალპური მესაქონლეობის განვითარებისა და კვალიფიკაციური ვეტერინარული მომსახურების საკითხები.

ცენტრი ასრულებდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის პროექტს - „მაღალი კონსერვაციული და განსაკუთრებული დაცვითი ღირებულებების მქონე ტყეების გამოვლენა, მათი საზღვრების დაზუსტება და რუკაზე გადატანა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“.

ცენტრის მიერ განხილვასა და შეფასებასთან დაკავშირებით საინტერესო მასალას იძლევა გეოგრაფიის, გეოლოგიისა და ექსტრემალური ეკოლოგიური სიტუაციების მიმართულეებით მეცნიერული კვლევები, რომელთა ჩატარებისა და მიღებული შედეგების პრაქტიკული გამოყენების არეალი მოიცავდა აჭარის რეგიონის რელიეფურ და კლიმატურ პირობებს, ჰიდრო-გეოგრაფიულ ქსელს, ლანდშაფტების ფორმირებისა და გარდაქმნის, მათი მდგრადობის და

პოტენციალის შეფასების საკითხებს, ნიადაგების სხვადასხვა ტიპის გეოგრაფიულ გავრცელებას, გენეზისსა და თვისებებს და ა.შ. შემუშავებული ღონისძიებების და რეკომენდაციების, წინადადებების განხორციელების ობიექტებად განსაზღვრულ იყო რეგიონის ჰიდრორესურსების ათვისების უზრუნველყოფი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობები, ტურისტული ინდუსტრიის ობიექტების ქსელის გაფართოება, ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება, სამეწარმეო საქმიანობისათვის მიწისა და ტყის რესურსების კვლავ წარმოება და გამოყენება, მეწყერული მოვლენების თავიდან აცილება, ნაპირგამაგრება, ინერტული მასალების მოპოვება, ავტომაგისტრალების მშენებლობა და ა.შ.

ბიოტექნოლოგიების, აგრო-ტექნოლოგიების, აგრო-ინჟინერიისა და კვების პროდუქტების წარმოება-გადამუშავების მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი საპროექტო და დანერგვითი სამუშაოები ეხებოდა ტექნოლოგიების შემუშავებას და დანერგვას, რომლებიც შესაძლებელს გახდის აჭარის რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების გაფართოების, გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების, კონკურენტუნარიანი კვების პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის გაფართოების მიზნების მიღწევას. შემუშავდა რეკომენდაციები და წინადადებები ცალკეულ პროდუქტებზე იმპორტ-ჩანაცვლებისა და ადგილობრივი წარმოების ინტერესების დაცვის პრობლემებთან დაკავშირებით.

მედიცინის დარგში მუშაობის პროგრამა მოიცავდა სხვადასხვა სახის ღონისძიების, პროგრამების, პროექტებისა და რეკომენდაციების შემუშავება-განხორციელებას, მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებების და ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით ისეთი მიმართულებით, როგორცაა სასწავლო საკონსულტაციო პროგრამები, საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები და გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის დაავადებათა გავრცელების მიზეზების, სპეციფიურობის და მკურნალობის, გერეანტოლოგიის და გერეატრიის, ქირურგიის, ბიომედიცინის, დიაბეტთან და სიმსივნეებთან ბრძოლის, გულსისხლძარღვთა დაავადებებთან ბრძოლის, მიკრობიოლოგიის, ფარმაცოლოგიის და სხვა პრობლემების გადაჭრის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დანერგვა.

ისტორიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის და ხელოვნების დარგში გამოქვეყნდა მონოგრაფია „აფხაზები აჭარაში-წარსული და თანამედროვეობა, ქართული ტრადიციული საზოგადოების არქიტექტონიკის თეორიული პრობლემები“, ჩატარდა ექსპედიციები ტაოში, ბეშუმის ნამოსახლარში. გრძელდებოდა არქეოლოგიური ექსპედიციები გონიო-აფსაროსის შესასწავლად პოლონელ მეცნიერთა მონაწილეობით. გრძელდებოდა მუშაობა საგრანტო პროექტებზე „ტაო“ და „მარადიდი“ .

ქართული ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის სფეროში მომზადდა და დაისტამბა ორმოცდაათამდე სამეცნიერო შრომა. კვლევის მასალებში ასახულია ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, სალიტერატურო ენის, ქართული ლიტერატურის საკითხები. მონაწილეობა იქნა მიღებული საერთაშორისო კონფერენციებში „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“, „ადმოსავლეთ ევროპის მულტიკულტურული სივრცე“. ჩატარდა სავსე ექსპედიციები მარადიდელ მუჰაჯირთა დასახლებებში მარმარილოს ზღვის რეგიონში. განხორციელდა პროექტები „ტაო-ისტორიულ ფილოლოგიური გამოკვლევა“ და „მარადიდი“, ბსუს ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა ჯგუფს მონოგრაფიისათვის „კლარჯეთი“ მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის პრემია.

უკანასკნელი წლების მანძილზე გააქტიურდა საკითხების შესწავლა და ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე განხილვა, ფილოსოფიის, პოლიტოლოგიის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა

პანო კაკუნიძე

და იურიდიულ მეცნიერებათა დარგებში. მონაწილეობა იქნა მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში და წაკითხულ იქნა მოხსენებები. მომზადდა სამეცნიერო ნაშრომები.

სისტემატიურად მიმდინარეობს თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ძირძველი და მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა ისტორიის, ყოფისა და კულტურის საკითხების შესწავლა. ყოველწლიურად ხორციელდება სათანადო სამეცნიერო ექსპედიციები. აღწერილი და დამუშავებული იქნა სტამბოლის ქართული სავანის არქივი და ბიბლიოთეკა. გამოიცა დოკუმენტური მასალების ორი კრებული.

აგრარული მეცნიერების მიმართულებით შესწავლილი და გამოვლენილია აჭარის რეგიონში აგრობიზნესის განვითარების მდგომარეობის შემფერხებელი მიზეზები, რის საფუძველზეც ფართო მსჯელობა გაიმართა ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის ახლებური მოდელის ჩამოყალიბების პროცესების მიმდინარეობის, ამ პროცესის განვითარების სუსტი მხარეების აღმოფხვრის უზრუნველყოფი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავების, პროექტებისა და პროგრამების მომზადების ინიცირების მიზნით ფართო მსჯელობა გაიმართა ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე,

რეგიონის პედაგოგიური მიმართულების მეცნიერები ჩართული იყვნენ ევროკავშირის საერთაშორისო პროექტებში.

ცენტრის მიერ გამოცემულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ა. რ. რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომების“ V-IX ტომები.

ფიზიკა-მათემატიკის კვლევების მიმართულებით უკანასკნელ წლებში ინტენსიურად ისწავლება ისეთი ახალი ფუნქციური სივრცეები, როგორცაა: ე. წ. გრანდირებული ანუ „გრანდ“ ფუნქციური სივრცეები, მორის ტიპის სივრცეები, ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის, სობოლევის და მორის სივრცეები. მათემატიკის მიმართულებით ხორციელდება მრავალწლიანი სამეცნიერო პროექტები: „ტოპოლოგიურ სივრცეთა და უწყვეტ ასახვათა ჰომოლოგიური, ჰომოტოპიური და შეიპური ინვარიანტები“ და „მრავლადწრფივი ექსტრაპოლაციისა და აპროქსიმაციის თეორიის ამოცანები გრანდ და მორის ტიპის ფუნქციურ სივრცეებში“.

მათემატიკის მიმართულებით გამოიცა 30-ზე მეტი ბეჭდური პროდუქცია როგორც საქართველოში ასევე მსოფლიოს რეფერირებულ საერთაშორისო გამოცემებში და ინდექსირებულია Scopus, Web of Science, Springer, Elsevier, Google Scholar სამეცნიერო ბაზებში:

ფიზიკის მიმართულებით - აჭარის ფიზიკოსებმა მიიღეს დაფინანსება მიზნობრივი პროექტების ფარგლებში: „მართვადი პროგრამირებადი მულტიფუნქციური ელექტრონული დაფის“ შექმნისთვის (შესრულება გადაიდო პანდემიის გამო). 2021 წლის ნოემბერში წარმატებით განხორციელდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პროექტი: „ბიონანოაგენტების კვლევის თანამედროვე მეთოდები“, რომელიც დაფინანსდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამით: განმტკიცდა არსებული მეცნიერული კავშირები ამ მიმართულებით, საფუძველი ჩაეყარა კვლევების საერთო ინტერესებს, მომზადდა საფუძველი ახალი პროექტების მოზიდვისა და ერთობლივი კვლევების ჩატარებისათვის. ჩატარდა 3 საერთაშორისო კონფერენცია და ფორუმი, რამაც გარკვეული ინტერესი შთაუწერა ახალგაზრდა მკვლევარებს, მაგისტრებს და დოქტორანტებს აღნიშნულ პროცესში ჩართულობისთვის.

სამეცნიერო პერსონალი აგრძელებდა კვლევებს შემდეგ გარდამავალ სამეცნიერო კვლევით პროექტებზე: 1. „ნაწილი სტრუქტურების ელექტრული და ოპტიკური თვისებების გამოკვლევა, ეფექტური გარემოს მეთოდების გამოყენებით“, 2. „ნივთიერების ოპტიკური თვისებების კვლევა რამდენიმე პოპულარული ქართული თეთრი ღვინის სახეობის სტატისტიკურ-კომპიუტერული ეტალონური მოდელების შექმნის მაგალითზე“. გამოიცა სახელმძღვანელოები: 1. „ფიზიკური პროცესების მოდელირება“, 2. „ზოგადი ფიზიკა“, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნდა 20-ზე მეტი სამეცნიერო სტატია.

კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებით აკადემიური პერსონალი მიერ გამოქვეყნებულია სტატიები, რომელიც ეხება ხელოვნური ინტელექტის, კიბერ უსაფრთხოების, ეკონომიკური პროცესების მოდელირების, ციფრულ მოწყობილობებში ხარვეზის სიმულაციების, სტატისტიკის ამოცანების, კრიპტოგრაფიის და სხვა პრობლემებს. ადგილობრივ და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნდა 30-მეტი სამეცნიერო ნაშრომი. შრომებს უმრავლესობა ინდექსირებულია და განთავსებულია Scopus და Web of Science სამეცნიერო მონაცემთა ბაზაში.

კომპიუტერული მეცნიერების მიმართულების 15 მეცნიერმა მონაწილეობა მიიღო 12 საერთაშორისო, რესპუბლიკურ და რეგიონალურ სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში.

საინჟინრო მეცნიერებათა და ენერგეტიკის მიმართულებით დასრულდა მუშაობა და სამეცნიერო კვლევა მრავალწლიანი პროექტის სამეცნიერო პროექტების ფარგლებში, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის მიმართულებით, „ბენტონიტური თიხების თვისებების კვლევა ახალი ტექნოლოგიების დამუშავების მიზნით“, ასევე შესრულდა რეგიონისთვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „ნედლი ნავთობის და ბუნებრივი აირის რეაგენტული და სორბციული დამუშავება შემდგომი ტრანსპორტირებისა და გადამუშავების მიზნით“. ჩატარებულია ექსპერიმენტები და დადგენილია ასკანთიხის სორბციული თვისებები მიკროორგანიზმის მიმართ. კვლევის შედეგები მოხსენებულია საერთაშორისო კონფერენციებზე და გამოქვეყნებულია რეფერირებულ სამეცნიერო ჟურნალებში.

დაიბეჭდა ფართო თემატიკის სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა საქართველოსა და უცხოეთის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში: ფარდობითი ნაზრდის მეთოდზე დაფუძნებული მინიმალური დანაკარგების მქონე რეაქტიული წყაროების სიმძლავრეების განსაზღვრის შესახებ; ნავთობშლამის გამოყენების პერსპექტივის შესწავლა ანტიკოროზიული დანაფარებისა და ინჰიბიტორების შემადგენლობაში; ახალი ტექნოლოგიების შექმნა და არსებული ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაცია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით; სამირკვლების სუსტ გრუნტებზე მოწყობის პრობლემატიკა; სამრეწველო, ფუნქციური დანიშნულების ტექნოლოგიური სითხეების წარმოებისა და გამოყენების ანალიზი ნავთობმრეწველობის დარგში; არსებული წყაროების ქიმიურ ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა წყლის წყაროების წყალმომარაგების სისტემებში გამოყენების მიზნით და სხვ.

აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლების მიერ აგრარული და კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების მიმართულებით განხორციელდა სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები. სამეცნიერო კვლევები ტარდებოდა თემაზე: „აჭარაში არსებული ენდემური და ინტროდუცირებული მცენარეული ნედლეულის (სუბტროპიკული და კონტინენტალური ხეხილოვანი კულტურები, ვაზი, ტყის ნაყოფის

პანო კაკუნიძე

მომცემი და სამკურნალო მცენარეები) წარმოება-გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის ეფექტური ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვის ორგანიზაცია“. პროექტი მოიცავდა ორ ეტაპს „მოცვის (*Vaccinium myrtillus* L.) ფოთლების გრანულირებული მწვანე ჩაის საფუძველზე ფიტო ჩაის კომპოზიციების ტექნოლოგია“ და „აჭარაში გავრცელებული ინტროდუცირებული ვაზის ჯიშის ცოლიკოურის, ჩხავერის ყურმნიდან ღვინის ალტერნატიური ტექნოლოგიის შემუშავება“. კვლევის შედეგები მოხსენებულია საერთაშორისო კონფერენციებზე და გამოქვეყნებულია რეფერირებულ სამეცნიერო ჟურნალებში.

მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით საანგარიშო პერიოდში მოხდა ელექტრო-მემბრანული, ბარომემბრანული და სორბციული პროცესებისა და ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვა; ელექტრო მემბრანული აპარატების კონსტრუქციული ელემენტებისა და ტექნოლოგიური პროცესების კონტროლის აპარატურისა და მოწყობილობების შემუშავება, გამოცდა და დანერგვა; თერმო და ქიმიურად მდგრადი ბარომემბრანების სინთეზი, გამოკვლევა და მათი პარამეტრების განსაზღვრა; კომპლექსური ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნარჩენების გადასამუშავებლად; ჩამდინარე დაბინძურებული წყლების გაწმენდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისაგან, მძიმე მეტალებისაგან; კალიუმის სასუქების მიღების კომპლექსური ტექნოლოგიური პროცესის შემუშავება. აღნიშნული მიმართულებით შემუშავდა და მომდინარეობს კვლევები 9 სამეცნიერო პროექტის ფარგლებში: 1.1. ულტრა-და მიკროფილტრაციული მემბრანების სინთეზი. 1.2. „ციტრუსოვანთა ნარჩენების კომპლექსური გადამუშავება ელექტროდიალიზის გამოყენებით პექტინის და სხვა ბიო აქტიური ნაერთების მიღების მიზნით“. 1.3. კალიუმით გამდიდრებული კლინოპტილოლიტის მიღება სორბციული და კომპლექსური მეთოდით. 1.4. „მძიმე მეტალების იონების შემცველი ჩამდინარე წყლების გაწმენდა (გაუმარილება-დაკონცენტრირება) ელექტროდიალიზის გამოყენებით. 1.5 „პოლიმერული ბარომემბრანების სინთეზი, მათი მახასიათებლების დადგენა“, 1.6 „ელექტრომემბრანული ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის მძიმე მეტალების შემცველი ხსნარების წინასწარი მომზადება, შესწავლა და ოპტიმალური პარამეტრების დადგენა. რეჟიმების სრულყოფა და რეგლამენტის შედგენა“. 1.7 „მცენარეული ნარჩენებიდან ეთერზეთების, პექტინის, ვიტამინი P და საკვები ბოჭკოების მიღების ახალი ტექნოლოგიის შემუშავება ელექტრო და ბარომემბრანული პროცესების გამოყენებით, 1.8 „ნავთობპროდუქტების შემცველი ჩამდინარე წყლების გასუფთავება კომპლექსური სორბციული და მემბრანული მეთოდების გამოყენებით“, 1.9 „სასმელი და ბუნებრივი (ზედაპირული და მიწისქვეშა) წყლების ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზი“. კვლევის შედეგები მოხსენებულია საერთაშორისო კონფერენციებზე გამოქვეყნებულია რეფერირებულ სამეცნიერო ჟურნალებში.

ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების მიმართულებით კვლევები წარმოებდა შემდეგი ოთხი გარდამავალი საბიუჯეტო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში: 1. დაბალკალორიული პროდუქტები და დამატკობლები, 2. დასავლეთ საქართველოს დაცული ტერიტორიების ზოგიერთი ენდემური მცენარის და ინტროდუცირებული ციტრუსოვნების ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა და მათი ქიმიური შედგენილობის შესაბამისად პასპორტიზაცია. 3. აჭარის ზოგიერთი ადვენტური და ინტროდუცირებული მცენარის ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა და მათი გამოყენების პერსპექტივები. 4. „საქართველოსათვის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიკროგამრავლების ტექნოლოგიების ოპტიმიზაცია და მათი *in vitro* ბანკის შექმნა“; 5. „დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ენდემური,

ინტროდუცირებული და ადვენტური მცენარეების ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა და მათი გამოყენების პერსპექტივები“.

ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლები მუშაობდნენ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდით დაფინანსებულ სამეცნიერო პროექტებზე: **1).** „FR-23-1945 - სუბტროპიკული ნედლეულის გადამუშავების ნარჩენებიდან, მრავალ-ფუნქციური ბიო-დანამატები ფუნქციონალური პროდუქტებისთვის წრიული ეკონომიკის გათვალისწინებით“ (2024-2026). **2).** „FR-22-2857-ეკოლოგიურად სუფთა, უნარჩენო ტექნოლოგიის შემუშავება ნავთობ პროდუქტებით დაბინძურებული წყლის გაწმენდისათვის“ (2023-2025). **3).** „FR-22-4236 - მცენარეული ნედლეულისა და გადამუშავების ნარჩენების ვალორიზაციის ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შესუსტების მიზნით ციკლური ეკონომიკის პრინციპების გამოყენებით“ (2023-2025); **4).** „PHDF-22-2787 - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი“ (2022-2023). **5).** SCR-22-157 - სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ (2022-2023); **6).** PHDF-22-2895 - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი “ტყემლის ველური და კულტურული ჯიშებისა და მისგან წარმოებული პროდუქტების ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები”; (2022-2023წწ). **7).** PHDF-22-3218 - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი: “დასავლეთ საქართველოში მოწეული თაფლის ბოტანიკური წარმოშობის დასადგენად თაფლის მტვრიანების, ბიო-აქტიური ნაერთებისა და ბიოლოგიური აქტიურობის კვლევა“ (2022-2023).

საანგარიშო პერიოდში აგრეთვე განხორციელდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი პროგრამით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები: **1).** „აჭარის სუბალპურ ზონაში ადგილობრივი და ინტროდუცირებული მოცვის ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების რაციონალური ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვის ორგანიზაცია“. პროექტის ხელმძღვანელი - ზურაბ მიქელაძე. **2).** „ჭურის ტორფნარში მძიმე მეტალების დაგროვების ბუნება შრეების მიხედვით“; **3).** „ფართო დიაპაზონის ფოროვნების მაღალი მექანიკური, თერმო და ქიმიურად მდგრადი მიკროფილტრაციული მემბრანების მიღება“. ინსტიტუტის მეცნიერების ბექდური პროდუქციის დაიბეჭდა საქართველოში და უცხოეთის რეფერირებულ ჟურნალებში.

ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევის მიმართულებით მიმდინარეობდა მუშაობა ფიტოპათოლოგიური დაავადებების კვლევისა და კონტროლის სფეროში, კერძოდ, ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა. შესწავლილია ეკონომიკურად მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების სოკოვანი და ბაქტერიული, მათ შორის, საკარანტინო დაავადებები, მათი გამომწვევი პათოგენების ბიოლოგიური თავისებურებები,

ბიომრავალფეროვნების პრობლემების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა პროექტის: „ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტის შესწავლა, დაცვა, შენარჩუნება, გონივრული გამოყენება“. ამ მიზნით ტარდებოდა ფენოლოგიური დაკვირვებები; განხორციელდა საველე ექსპედიციები, რის შედეგადაც, წინა წლებში შედგენილ ინვაზიურ სახეობათა ნუსხას შეემატა ახალი სახეობები; კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის მიმართულების მეცნიერთა მიერ, წლების განმავლობაში, შესრულებულმა კვლევებმა, გააძლიერა *UNESCO* -ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის

პანო პავნიძე

უბანის ნომინაცია და 2021 წლის 26 ივლისს, UNESCO-მ, „კოლხეთის ტენიანი ტყეები და ჭარბტენიანები“, ოფიციალურად შეტანილი იქნა მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის ნუსხაში; ასევე, „საქართველოს წითელი ნუსხის“ ექსპერტთა ჯგუფმა დაასრულა მუშაობა, რის საფუძველზეც ფლორისა და ფაუნის სახეობათა დაფიქსირებული სტატუსი საფუძველად დაედება საქართველოს წითელი ნუსხის ახალი ოფიციალური ვარიანტის შექმნას.

რეგიონის მეცნიერ ბიოლოგების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით განხორციელდა 6 სამეცნიერო კვლევითი პროექტი. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა კიდევ 14 სამეცნიერო პროექტის ფარგლებში. **შესრულდა** ეროვნული სამეცნიერო ფონდის 3 პროექტი და ბსუ-ს მიზნობრივი 2 საგრანტო პროექტი. სამეცნიერო პერსონალის მიერ, საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია 20 მეტი ნაშრომი და სამეცნიერო სტატია Scopus და Web of Science ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში; მიღებულია მონაწილეობა 15 საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში; ჩატარდა „მცენარეთა ჯანმრთელობის“ კლინიკები აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტში;

ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შესრულდა და მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებულ 15 მეტ პროექტზე და სამეცნიერო გრანტზე: მეცნიერების მიერ მუშავდებოდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტები ჰუმანიტარული მეცნიერების, ისტორიის და არქეოლოგიის მიმართულებით: **1.** „კინტიშის არქეოლოგიური კომპლექსი“, **2.** „ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ისტორია“, **3.** „ადრე შუასაუკუნეების (IV-VII სს) ხანის ამფორები ციხისძირიდან“. **4.** „ქართული ეროვნული მოძრაობა 1994 წლის 1 მარტიდან 2003 წლის 23 ნოემბრამდე და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო“. **5.** „სამხრეთ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის სამეურნეო სახე გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში“. **6.** „ციხისძირის საეკლესიო ხუროთმოძღვრება (შემაჯამებელი კვლევა)“. **7.** „გზები და ხიდები აჭარაში (XIX-XX საუკუნის 20-იანი წლები)“. **8.** „სამონეტო მიმოქცევა ზემო აჭარაში“. **9.** „აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სიტყვის კონა“, „ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები, ვიზუალური მასალა) თემატური დამუშავება, გამოსაცემად მომზადება და გამოცემა“. **10.** „ქ. ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით), **11.** დამუშავდა და გამოსაცემად მომზადდა სტამბოლის ქართული სავანის მასალების მესამე ტომი.

დასრულდა განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ მოძიებული და ბარათებზე გადატანილი ლექსიკური ერთეულების შედარება ქართული სალიტერატურო ენის დიალექტების ლექსიკონებთან.

ასევე დასრულდა პროექტი „ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი“ და ვარშავის უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული პროექტი „გონიო-აფსაროსის პოლონურ-ქართული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია“, ჩატარებული კვლევების შედეგები აისახა 60 მეტ სტატიაში, ოთხ კრებულში და ხუთ მონოგრაფიაში.

აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის მიმართულებით სამეცნიერო პედაგოგიური პერსონალის მიერ გრძელდებოდა კვლევები გარდამავალ სამეცნიერო-კვლევით პროექტზე: „დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი ზონების ნიადაგების აგრო-საწარმოო დახასიათება, მათი ტყის კულტურების ათვისების მიზნით“, „ტყის აღდგენა-განახლება“ და „ტყის კულტურები“ (პროექტის ხელმძღვანელი, ვ. პავნიძე). მოცემული თემის ირგვლივ სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების შესწავლა გრძელდებოდა წინა წელს შეუსწავლელ სხვადასხვა ნიადაგურ და

კლიმატურ პირობებში, რისთვისაც გამოყოფილი იქნა ბუნებრივი ზონების მიხედვით არსებული ნიადაგის ტიპები ტყის კულტურების გასაშენებლად. წინასწარ გამოყოფილ ნიადაგის ტიპზე მოინიშნა ჭრილები, ჩატარდა აღნიშნული ნიადაგების ჭრილების მორფოლოგიური აღწერა.

მიმართულების მეცნიერების მიერ მიღებული შედეგები აისახა რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ჟურნალ „მოამბეში“, სხვა პერიოდულ გამოცემებში, კონფერენციებისა და ფორუმების მასალებში, იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში.

აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის მიმართულებით შემუშავებული იქნა მსოფლიოში აღიარებული გოჯი ბერის (*Lycium Barbarum L.*), როგორც ორგანიზმისათვის მრავალმხრივ სასარგებლო ნაყოფის მომცემი, ბიოაქტიურ ნივთიერებებს შემცველი მცენარის, *in vitro* გამრავლების, ნათესარ-ნერგების აღზრდის ვადის შემცირებით, ფართობის ერთეულზე დიდი რაოდენობით სტანდარტული სარგავი მასალის წარმოების ეფექტური ტექნოლოგია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზედაპირული წყლების მრავალწლიანი ქიმიური და ეკოლოგიური კვლევებით მიღებულ შედეგებს მიემდვნა მიმართულების მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფია: „Results of Chemical and Ecological Research of Surface and Waste Waters in Adjara and their Impact on Ensuring Environmental Security“.

მიმართულების მეცნიერების მიერ მიღებული შედეგები აისახა სხვა პერიოდულ გამოცემებში და საერთაშორისო იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში.

საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის მიმართულებით განხორციელდა მუშაობა პროექტებზე - „ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები რეგიონში ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევების პირობებში“ (ხელმძღვანელი. პროფ. გ. აბუსერიძე); „მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების კრიზისი და მისი პრევენცია პოსტ-კანდემიის პერიოდში საქართველოში“. (ხელმძღვანელი. გ. ქათამაძე).

დასრულდა ბსუ-ს მიზნობრივი პროექტი - „დაგროვებითი საპენსიო სისტემით მისაღები სოციალური სარგებლის ღირებულების პროგნოზირება გრძელვადიანი დეპოზიტის ღირებულების ცვლილების მიხედვით“. შესწავლილი იქნა კრიზისის დროს ბიზნესის „ქცევის“ და მისი სტრატეგიების ანალიზი.

აღნიშნული პროექტების ირგვლივ გამოქვეყნებულია სტატიები და სამეცნიერო შრომები.

საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და საგადასახადო საქმის მიმართულებით რეგიონის მეცნიერთა მიერ შესრულდა სამუშაოები სამეცნიერო პროექტებზე: - „უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე“ კვლევის შედეგებიდან გამოქვეყნებული იქნა ნაშრომები: **მონოგრაფია: „უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე“ და 8 სამეცნიერო ნაშრომი.**

ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის მიმართულებით სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული იქნა სამეცნიერო-კვლევითი პროექტები: **1.** მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი: „ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები რეგიონში ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევების პირობებში“. **2.** „უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე“. ბათუმის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი **3**

პანო კაკუნიძე

პროექტი. მიმართულების მეცნიერების მიერ მიღებული შედეგები აისახა სხვა პერიოდულ გამოცემებში და საერთაშორისო იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში.

ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის მიმართულებით სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო 20 მეტ სამეცნიერო ფორუმში და უცხოეთში მოწყობილ 9 სამეცნიერო კონფერენციაში

ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით „ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები რეგიონში ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევების პირობებში“. სამეცნიერო-კვლევითი კონკურსში გაიმარჯვა პროექტმა: „უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე“ გამოიცა მონოგრაფია: „უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე“, ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში მომუშავე მეცნიერების ნაშრომები გამოქვეყნებულია იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული იქნა სტატიები:

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულებით მიმდინარეობს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი კვლევები 2 პროექტის ფარგლებში: **1)** საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციული მმართველობა (1878-1921 წწ.)“ 2022-2025 წწ., FR-22-12278; **2)** „მუჰაჯირობიდან მუჰაჯირობამდე (აჭარაში დასახლებულ აფხაზთა მუჰაჯირობა მე-19 ს. ბოლოს - მე-20 ს. დასაწყისში და მუჰაჯირობა შთამომავლებთან აჭარაში მცხოვრები აფხაზების ურთიერთობის 21-ე ს. რეალობა) 2022-2025 წწ., FR-21-33194;

დასრულდა ბსუ-ს საუნივერსიტეტო გრანტით დაფინანსებული პროექტი „ღია მმართველობა როგორც საჯარო მმართველობის რეფორმირების ახალი მოდელის შესწავლა საქართველოს მაგალითზე“.

2023 წელს გამოქვეყნდა მონოგრაფია „ევროპული ერთობა. ედეა, პოლიტიკა, ინტეგრაცია“. საზოგადოებრივი და პოლიტიკური მეცნიერებათა მიმართულებით ჩატარებული კვლევების გადიოდა აპრობირებას საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებზე და სტატიების სახით სისტემატურად იბეჭდებოდა იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში.

სამართლისა და საჯარო მმართველობის მეცნიერთა ჯგუფი მუშაობდნენ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებზე: „ჟან მონეს“ კათედრის მრავალწლიან გარდამავალ პროექტს „უფრო ახლოს ევროკავშირთან“ (2022-2026 წწ.), 2023 წელს დასრულდა კვლევები ორი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროექტების ფარგლებში: „ევროპის კავშირის ძირითადი ღირებულებები“ და „დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების დაცვა“. გამოქვეყნდა სახელმძღვანელო „შესავალი სამართალმცოდნეობაში“.

2023 წლის 23-25 ივნისს საჯარო სამართლის საერთაშორისო საზოგადოების „ICON-S საქართველო“ ეგიდით ბათუმში ჩატარდა პირველი ყოველწლიური კონფერენცია „თანამედროვე საჯარო სამართლის გამოწვევები“.

სამართლისა და საჯარო მმართველობის მეცნიერებათა მიმართულებით ჩატარებული კვლევების გადიოდა აპრობირებას საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებზე და სტატიების სახით სისტემატურად იბეჭდებოდა იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში.

ფსიქოლოგიის მიმართულებით, ბსუ-ს ფსიქოლოგიის დეპარტამენტში ჩატარდა პანდემიით გამოწვეული საზოგადოებრივი პრობლემების კვლევა კერძოდ, იყო შესწავლილი და სტატიების

სახით გამოქვეყნებული ადრეული ასაკის ბავშვის მშობელთა შფოთვის კვლევა COVID-19 პანდემიის დროს.

გამოქვეყნებულია ორი მონოგრაფია: 1) „აპროპრიაციის ფსიქოლოგიის პრობლემები“, 2) „ფსიქოლოგიური ეტიუდები“, 3). „შალვა ჩხარტიშვილის სამეცნიერო შემოქმედება“, 4). „მიხეილ მახარაძე - 75“. გამოიცა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დანიშნულების მქონე, ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „ჩემი გადასახედიდან“. სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში ჩატარებული კვლევების შედეგები ასახულია საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებული სამეცნიერო ჟურნალებში, კონფერენციებისა და ფორუმების მასალებში.

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის მიმართულებით დასრულდა კვლევები ბსუ-ს საუნივერსიტეტო გრანტით დაფინანსებული პროექტების ფარგლებში: „ხუცუბნის უძველეს მონადირე-შემგროვებელთა საცხოვრებელი გარემო და მათი მობილურობა ადრე ჰოლოცენის ხანაში (ძვ.წ. X-VII ათ.)“, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტი „კოლხეთის უძველესი რკინის მეტალურგიის ინტერდისციპლინური კვლევები“, „Roman fort Apsaros – place in a local environment and role in the border control system the Roman Empire“.

წარმატებით გრძელდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შემდეგი მრავალწლიანი გარდამავალი პროექტების ფარგლებში: 1). „**ლაზური ეთნოლოგიური ლექსიკონი**“ (FR-21-12533, 2022-2025 წწ.) 2). „მუჰაჯირობიდან მუჰაჯირობამდე“ (აჭარაში დასახლებულ აფხაზთა მუჰაჯირობა მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში და მუჰაჯირთა შთამომავლებთან აჭარაში მცხოვრები აფხაზების ურთიერთობის 21-ე საუკუნის რეალობა) (FR-21-33194, 2022-2025 წწ.), 3). „ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციული მმართველობა“ (FR-22-12278 2022-2025 წწ.) 4). „XVIII საუკუნის თბილისი და მისი შემოგარენი ოსმალური დავთრებისა და დოკუმენტების მიხედვით“ FR - 21-2069, 2022-2025 წწ., 5). „პოლონელების დეპორტაცია საქართველოში და პოლონურ-ქართული გეოპოლიტიკური თანამშრომლობა (1830-1921)“, 2023-2026 წწ. 6). „ობსიდიანის ტრანსპორტირება და **Homo Sapiens**-ის მობილურობა დასავლეთ ამიერკავკასიაში ადრე ჰოლოცენის ხანაში“ (CS-I-23-027 2023-2024 წწ.) 7). „ოსმალურ საეკლესიო დავთრებში დაცული ცნობები ქართული ეკლესიამონასტრების შესახებ“ (HE - 21-103 - 2021-2024 წწ.);

დაიბეჭდა ფართო თემატიკის სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა, გამოქვეყნდა მონოგრაფიები: „გონიოს ციხის გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალები“, The main results of archeological excavations carried out at different times outside the Gonio-Apsaros fort“, „კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI საუკუნეებში (ისტორია, კულტურა, თანამედროვეობა)“, „სერგო დუმბაძე-85“, „იუსუფელის რაიონი“ (კაშხალთმშენებლობა, სოფლები და ძეგლები), „კულინარიული მოგზაურობა აჭარაში“, „ინგლისის სავაჭრო ბურჟუაზიის საქველმოქმედო საქმიანობა XV-XVI საუკუნეებში“,

ჩატარებული კვლევების შედეგები გადიოდა აპრობირებას საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებზე და სტატიების სახით სისტემატურად იბეჭდებოდა იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში.

ადმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით, 2023 წელს დასრულდა საქართველოს ეროვნული ფონდით მიერ დაფინანსებული კვლევები თემაზე „ორი ოსმალური დავთარი და დოკუმენტები ბათუმის შესახებ“, FR-19-7386, 2020-2023 წწ., მიმდინარეობს მუშაობა კატალოგის

პანო კაკუნიძე

შექმნაზე - „თურქეთის არქივებში დაცული მასალები საქართველოსა და ქართველების შესახებ რეზიუმირებული კატალოგი (ოსმალური არქივის შვიდი ფონდი) HE – 22-766. 2022-2025 წწ.,

აღსანიშნავია, რომ ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პროფესორ ემზარ მაკარაძის რედაქტორობით გამოქვეყნებულმა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალმა „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“ აამაღლა საერთაშორისო სამეცნიერო ინდექსირების (ISI)/International Scientific Indexing ბაზაში მოიპოვა რეიტინგი (ელექტრონული გამოცემა).

ფილოსოფიის მიმართულებით დასრულდა მუშობა სამეცნიერო-კვლევითი პროექტზე: „ფილოსოფია, როგორც სწავლების მეთოდოლოგია“ (2019-2024 წწ.), გამოქვეყნდა მონოგრაფიები: „მეცნიერება, ხელოვნება“, „შალვა ხიდაშელი. ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა“, დაიბეჭდა ათამდე სტატია რეფერირებად ჟურნალებში.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ჩატარებული ღია ლექციების თემატიკის ფართო სპექტრი: ლალი ანთიძე - პლატონის ფილოსოფია, დევიდ ჰიუმის ფილოსოფია, ორი რამ აინ რენდის შესახებ; გიორგი მასალკინი - „ჰოლოკოსტის ფილოსოფიური გააზრება“, „წიგნის მნიშვნელობა 21 საუკუნეში“, „ხელოვნური ინტელექტი. ძირითადი გამოწვევები“//ხელოვნური ინტელექტი და საპინსი“ და სხვ.

ქართული ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის მიმართულებით ქართული ენისა და კულტურის ინტერდისციპლინარული კვლევების შედეგები ასახულია მონოგრაფიებში: ქართული ენის კლარჯული დიალექტი, „შენ ხარ მგოსანი“ (დავით თედორაძის შემოქმედება), აღსანიშნავია მონოგრაფია „ტაოური ჩანაწერები“, გამოცემულია უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები, „ენათმეცნიერების შესავალი“, „ქართული ზეპირსიტყვიერება“.

2023 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ იყო დაფინანსებული პროექტი „სპერი - ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ FR-236916. ბსუ-ს მიერ დაფინანსდა ინტერდისციპლინური პროექტი „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით შესრულებული ხელნაწერების ციფრული კორპუსი“.

ქართული ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის სფეროში ჩატარებული სხვა მკვლევარების სამეცნიერო მუშაობის შედეგები აისახა 40-მდე სამეცნიერო სტატიაში, რომლებიც დაიბეჭდა სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემასა და მოხსენების სახით, რომლებიც წაკითხულ იქნა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე.

ჰუმანიტარული სამეცნიერო ინტერდისციპლინარული პარადიგმის ფარგლებში დასრულდა აჭარის განათლების სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი „მეთოდური ლიტერატურის ამონარიდი (ქართულ ენაზე)“, 2022-2023 წწ. მომზადდა სამას გვერდიანი კრებული და ამჟამად მიმდინარეობს მისი რედაქტირება. მთარგმნელობით სფეროში გრძელდება გარდამავალი სამეცნიერო პროექტი „თარგმანი: ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები“ (2019-2025 წწ.).

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსდა პროექტი „ევროპარლამენტის TermCoord-ისა და ბსუ-ს corpus.bsu.edu.ge-ს ტერმინოლოგიური კოორდინაცია“, 2023-2024 წწ.; გამოიცა ექვსი სახელმძღვანელო.

ანგლისტიკის, გერმანისტიკის, რომანისტიკის, სლავისტიკის მიმართულებების მეცნიერები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებში, მათი კვლევითი მუშაობის შედეგები აისახა 50 მეტ სამეცნიერო სტატიაში და გამოქვეყნებულია რეფერირებად ჟურნალებში.

პედაგოგიკის მიმართულებით 2020-2023 წლებში მიმდინარეობდა და დასრულდა „ჰორიზონტი 2020“-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტი „ციფრული ინოვაციების დანერგვა სკოლებში რეგიონული ინოვაციური ჰაბებისა და მენტორინგის მოდელის საშუალებით“ (**„iHubs4Schools**), დასრულდა პროექტი CPEA-LT-2016/10003 - „გლობალური ეკონომიკური, ტექნოლოგიური და გარემოს დაცვითი ცვლილებებით გამოწვეული კვლევებზე დაფუძნებული ორიენტირებული განათლება ინდუსტრიისა და მომსახურების რისკის მართვაზე“, 2018-23 წწ.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტების ფარგლებში განხორციელდა თემატიკის კვლევები: **1)** „XX საუკუნის ქართული დიდაქტიკური აზროვნების განვითარების ისტორიის საკითხები“ (2023-2024 წწ.); **2)** „ზღაპრებიდან ეკონომიკურ ცნობიერებამდე“ NFR-22-9547 16, 2023-2026 წწ. **3)** „მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად“ FR-21-3869, 2022-2024 წწ. გამოქვეყნდა მონოგრაფია და სახელმძღვანელოები.

უახლესი კვლევების შედეგები განხილული იყო საერთაშორისო კონფერენციებზე და ფორუმებზე, სტატიები გამოქვეყნდა მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში.

ცენტრის ხელმძღვანელი-აკადემიკოსი ვანო პაპუნძიძე

მეზუსრი ავტორთათვის

1. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს ნახედი სახით და ელექტრონული ფორმით (ჟურნალის ელექტრონული ფოსტის მისამართზე). მიუთითეთ: ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი, სამეცნიერო / აკადემიური წოდება, სამუშაო ადგილი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

2. სტატია შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე მთავარი რედაქტორის სახელზე. სტატიას უნდა ახლდეს აგრეთვე:

- ცნობები ავტორის (ავტორების) შესახებ;
- ორი კვალიფიციური რეცენზია სხვადასხვა ინსტიტუტიდან;
- მიმართვა რედაქციის სახელზე გამოქვეყნების თხოვნით იმ დაწესებულებიდან, სადაც შესრულებულია შრომა;

სტატიას განიხილავს სარედაქციო საბჭო და გადაწყვეტს მისი გამოქვეყნება-არგამოქვეყნების საკითხს.

3. სტატია უნდა გაფორმდეს შემდეგი სახით:

- მეცნიერების დარგი;
- სტატიის სათაური;
- ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი;
- სამუშაო ადგილი, ელ. ფოსტა;
- ანოტაცია;
- საკვანძო სიტყვები;
- ძირითადი ტექსტი;
- რეზიუმე ინგლისურ ენაზე;
- ბიბლიოგრაფია, ლიტერატურის ჩამონათვალი.
- ინგლისური ან რუსულენოვანი სტატიის ძირითადი ტექსტის შემდეგ რეზიუმე ქართულ ენაზე (გაფორმებული იმავე თანმიმდევრობით, როგორც ინგლისური ტექსტი), მოცულობა მაქსიმუმ 300 სიტყვა;
- დამოწმებული ლიტერატურის სია უნდა დალაგდეს ტექსტში ციტირების მიმდევრობის მიხედვით (ლიტერატურა ტექსტში აღნიშნული უნდა იყოს ციფრებით კვადრატულ ფრჩხილებში);
- ნახაზები და ცხრილები შესაძლებელია ჩაისვას როგორც ტექსტში ასევე ცალკე გვადეზე;
- ნახაზები უნდა შესრულდეს JPEG ან PNG ფორმატში, სურათებს და ნახაზებს უნდა ახლდეს წარწერები;

▪ **ელექტრონული ვერსია:** ტექსტის ფორმატირებისთვის საკმარისია პროგრამა MS Word-ის სტანდარტული პარამეტრები. სტატია აკრეფილი უნდა იყოს A4 ფორმატში. შრიფტი - Sylfaen, მინდვრები - ტექსტის ზემოთ და ქვემოთ 30 მმ, მარცხნივ და მარჯვნივ დატოვებული უნდა იყოს 25მმ, ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა უნდა იყოს 10,5 pt, სტრიქონებს შორის დაშორება – 1,15. სქოლიოებში (შენიშვნებში) შრიფტის ზომა – 9pt, სტრიქონებს შორის დაშორება – 1,0. ნახაზე და ცხრილებზე წარწერები 10pt. სტატია უნდა აიკრიფოს ურ სვეტად, სვეტების სიგანე 7,5 სმ, ერთმანეთს შორის დაშორება 1 სმ.

4. სტატიის ტიპოგრაფიული თუ ელექტრონული სახით გამოქვეყნებაზე ავტორმა უნდა განაცხადოს თანხმობა;

▪ მიღებული სტატიის გასწორებული ვერსია, ან დაწუნებული ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება.

▪ სარედაქციო საბჭო არ განიხილავს ნაშრომს, რომელიც მოთხოვნების მიხედვით არ იქნება გაფორმებული.

▪ ავტორს შეუძლია ნიმუშად გამოიყენოს ჟურნალის რომელიმე ნომერი.

5. ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა.

ბათუმი, ნინოშვილის 35,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოთახი 306

ტელ.: 576 262687; 577 179713

e-mail: mikheil.donadze@bsu.edu.ge

GUIDE FOR AUTHORS

Manuscripts should be presented in the following form:

1. Two double-spaced copies of the manuscript, printed on a white paper A4, margined 30 mm below and above, 25 mm on the sides, must be provided. The length of the manuscript should not exceed 12 printed pages, including all text with figures, tables, and equations.

2. Manuscripts can be written in Georgian, English and Russian and sent to the Editorial Board. Attached to the manuscript should be:

- Short information about the research work by the author(s);
- Qualified references from different Institutions;

Articles will be evaluated by the Editorial Board and may be rejected or subjected to further review.

3. Manuscript order:

- Classification;
- Title;
- Full name(s), surname(s) of the author(s);
- Affiliation(s), postal address, e-mail;
- Abstract;
- Key words;
- Text, including acknowledgements and funding sources;
- References in the order of citation (square brackets used);
- After the main text of the English or Russian-language article, a summary in Georgian (in the same order as the English text), maximum 300 words;
- The list of referenced literature should be sorted in the order of citation in the text (literature should be indicated in the text by numbers in square brackets);
- Drawings and tables can be inserted both in the text and on a separate page;
- Drawings must be made in JPEG or PNG format, images and drawings must be accompanied by captions;
- **Electronic version:** Standard text settings for MS Word are sufficient for text formatting. The article should be typed in A4 format. Font - Sylfaen, margins - above and below the text 30 mm, left and right should be 25 mm, the size of the main text font should be 10.5 pt, the distance between the lines - 1.15. In footnotes (font) font size - 9pt, spacing between lines - 1.0. Captions on charts and tables 10pt.

4. The author will be asked to give consent to publish the manuscript in print and electronic version.

- Corrected version is not returned to the author(s).
- The Editorial Board reserves the right not to consider the paper, if the instructions are ignored.
- For symbols and style conventions, authors should consult current issues of the Journal.

5. Publication is free of charge.

35 Ninoshvili Street, Batumi

Batumi Shota Rustaveli State University, Room 306

Tel.: 576 262687; 577 179713

e-mail: mikheil.donadze@bsu.edu.ge